

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი

## დერბი'მან გოგოლაქი

ქართული სასელეფიფოს წარმოშობის  
საკითხისათვის



გამომცემლობა «მერიდიანი»  
თბილისი  
2003

ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისა და მისი ქრონოლოგიის საკითხმა XX ს-ის დასასრულს ქართული ისტორიული მეცნიერების დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც ბუნებრივია, რადგან სახელმწიფოს წარმოშობა, თუ უპირველესი არაა, ყოველი ერის ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საამაყო ნიშანსვეტია.

ქართული სახელმწიფოს წარმოშობის ქრონოლოგიამ ბოლო დროს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში აზრთა დიდი სხვაობა და კამათი გამოიწვია, რაც გასაკვირი სრულიადაც არაა, რადგან საკითხი უაღრესად პრობლემური და რთულია, როგორც რეალურ-ისტორიული სინამდვილის, ისე თეორიული გააზრების მხრივ. ერთი კი ამჟამად, რასაც, ვფიქრობ, ყველა ეთანხმება: ქართველი ხალხი და მისი სახელმწიფო ძველი სამყაროს ცივილიზაციას განეკუთვნება, მას ფესვები ძალიან შორეულ წარსულში აქვს.

წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთი ცდაა, მისმა ავტორმა მოცემულ პრობლემურ საკითხზე თავისი კონცეფციური შეხედულება წარმოადგინოს, რომელიც წყაროების ავტორისეულ ახსნა-გააზრებებთან ერთად, ბუნებრივია. ეყრდნობა, ასევე, ქართულ ისტორიულ-არქეოლოგიური მეცნიერების მიღწევებს.

ავტორს მიაჩნია, რომ მოცემულ ასეთ რთულ პრობლემურ საკითხზე ყოველი ერთი ნაბიჯის წინ გადადგმაც კი, მნიშვნელოვან მეცნიერულ მიღწევად ჩაითვლება. ასევე, ბუნებრივია, მოცემულ საკითხზე, ქართველი ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი.

ნაშრომი დასრულდა 2000 წლის ბოლოს.

ამასთან, აღენიშნავთ, რომ ნაშრომში შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგრანტო საპრობლემო თემით ჩემს მიერ შესრულებული ერთ-ერთი საკითხი, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემულ ქართული სახელმწიფოს წარმოშობას ეხება.

რედაქტორები - ა. ბოგვერაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

პ. ს. ტყეშელაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

# წიგანის ტყვე

## საკითხის ისტორიიდან

ქართული სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი კარდინალური და ქართველი ხალხისთვის ფრიალ მნიშვნელოვანი საკითხია. ეს ეპოქალური ისტორიული მოვლენა დაკავშირებულია ქართული ცივილიზაციის საწყისთან, რადგან კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოქმნა ერთდროული მოვლენებია და, ამასთან, ცივილიზაციის სინონიმი ცნებებია. ცივილიზაციის საწყისი – ეს იგივე სახელმწიფოს წარმოქმნაა, რომელშიც კლასობრივი საზოგადოება თავისთავად იგულისხმება.

ქართული კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხი საქართველოს ძველი ისტორიის ცენტრალური, ხოლო მთელი მისი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, ამიტომ მისი აქტუალობა თავისთავადია.

ქართული სახელმწიფოს დასაბამი განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღეს, მესამე ათასწლეულის დასაწყისში, როცა, როგორც ქვეყნის მთავრობამ, ისე ქართულმა მეცნიერულმა ისტორიოგრაფიამ გადაწყვიტეს კიდევ ერთხელ გაეაზრებინათ ეს პრობლემა და ეროვნული მასშტაბით სათანადოდ აღნიშნონ იგი.

ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის გაშუქებისას, ცხადია, იგულისხმება, რომ საქმე ეხება არა კონკრეტულად აღმოსავლურ ქართულ, ან დასავლურ ქართულ სახელმწიფოს გაჩენის, ანდა კიდევ ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ფაქტს, არამედ საერთოდ ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას და მის თარიღს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ. როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობაზე რკვევა, ცხადია, პრობლემის ეს მხარე იგულისხმება.

ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა-გენეზისის საკითხის ისტორიოგრაფიული სიმდიდრით, სიმართლე უნდა ითქვას, განებივრებულნი არ ვართ, პირიქით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს პრობლემატური საკითხი ქართული ისტორიოგრაფიის მიღმა

არ დარჩენილა. ამასთან, ქართული სახელმწიფოს მეცნიერული გააზრების საჭიროება დღესაც აშკარად იგრძნობა.

ქართული სახელმწიფოს წარმოშობისა და მისი დროის საკითხით ჯერ კიდევ ჩვენი ძველი წინაპრები დაინტერესდნენ. პირველი ქართული ორიგინალური ძეგლი, რომელშიც ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ცნობებია მოცემული, არის VII ს-ის პირველ ნახევარში საბოლოოდ რედაქტირებული უძველესი საისტორიო თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის ავტორი იცნობს და გვაუწყებს ორი ქართული სახელმწიფოს არსებობას: 1) ალექსანდრე მაკედონელამდე, ძვ.წ-ის IV საუკუნემდე არსებულ „არიან-ქართლის“ სამეფოს, რომელიც, მკვლევართა მეტი ნაწილის აზრით, ტერიტორიულად მოიცავდა მდ.ჭოროხისა და შავი ზღვისპირა რეგიონს და 2) ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლო მესამედში, ალექსანდრობის ხანაში, „არიან-ქართლის“ სამეფოდან მეფის ძე აზოს მეთაურობით სამეფო სახლის დიდკაცობისა და სხვა ქართველთა პოლიტიკური მიგრაციის გზით ჩრდილოეთში, მცხეთის რეგიონში, წარმოქმნილ მეორე ქართულ სახელმწიფოს, – ცენტრით მცხეთაში. პირველი ქართული სახელმწიფოს „არიან-ქართლის“ წარმოქმნის პროცესზე, ან მისი დასრულების თარიღზე „ქართლის მოქცევის“ მემატიანე არაფერს გვაუწყებს, მაგრამ მისი ცნობით, ეს ქართული სახელმწიფო ალექსანდრე მაკედონელამდე არსებობდა. ხოლო რა დროიდან, არ გვაუწყებს. მცხეთის ქართლის სამეფოს წარმოქმნა კი, მისივე ცნობით, ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობის პერიოდში, ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლო მესამედში მოხდა.

„ქართლის მოქცევის“ ცნობები ორი ქართული სახელმწიფოს არსებობა-წარმოქმნის შესახებ მეტად დიდმნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერული ღირებულება.

• შემდგომი ცნობები ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის შესახებ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, გაცილებით დიდი მასშტაბებითა და პროცესებით, მოცემულია საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროში, XI ს-ში შედგენილი საისტორიო



კრებული „ქართლის ცხოვრების“ ძველ მატთანში, – „მეფეთა ცხოვრებაში“, რომლის ავტორი-რედაქტორი ლეონტი მროველია.

ლეონტი მროველის მიერ ქართლის სახელმწიფოს (სამეფოს) წარმოქმნა და მისი სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი, რომლის დასაბამს იგი ალექსანდრე მაკედონელის დროს, ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მესამედს უკავშირებს, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, მოცემულია ისტორიზმის დაცვით კლასიკურ ფორმებში, არსებითად, ძირითად ხაზებში, თითქმის თანამედროვე ისტორიული მეცნიერების დონეზე. ამ მხრივ ლეონტისთან დავა შეიძლება მხოლოდ ქართული სახელმწიფოს (ქართლის სამეფოს) წარმოქმნის ქრონოლოგიურ თარიღზე.

შემდგომი ხანის ფეოდალურმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ლეონტისთან შედარებით ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხი, ან მასზე ლეონტისეული ნააზრევი ოდნავადაც ვერ წასწია წინ, ვერც ქრონოლოგიურად, ვერც თეორიულ-კონცეფციურად და ვერც მეთოდოლოგიურად. ხდებოდა მხოლოდ ლეონტის მიერ მოცემული ქართული წინასახელმწიფოებრივი საზოგადოებრივი ეპოქისა (გვაროვნულ-მამასახლისობის ხანა) და ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესის, ასევე, მისი თეორიულ-კონცეფციური ნააზრევის გამეორება (ვახუშტი, თეიმურაზ ბაგრატიონი....). ძვრები, ამ მხრივ, მხოლოდ გვიან XX საუკუნეში დაიწყო.

ძველი ქართული სახელმწიფო წყობილებით XX საუკუნის დასაწყისში დიდი ქართველი ისტორიკოსი, ახალგაზრდა ივ.ჯავახიშვილი დაინტერესდა. თავის ნაშრომში „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“ (რუსულ ენაზე, 1905 წ.) იბერიის (ქართლის) შესახებ სტრაბონის ცნობებიდან დაწყებული „ქართლის ცხოვრების“ (საწყისი ძველი მატთანე) და სხვა ძველი ქართული ორიგინალური ძეგლებისა და უცხოური წყაროების საფუძველზე, მართალია, მან სათანადო სურათი მოგვცა ძვ.წ-ის I – ახ.წ-ის VII საუკუნეებში ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისა, მისი ადმინისტრაციულ-სახელისუფლო და სოციალური ინსტიტუტებისა და მათი შესაბამისი ტერმინების ძიება-გარკვევით, მაგრამ ქართული სახელმწიფოს

წარმოშობის პროცესსა და მისი წარმოქმნის თარიღზე ივ.ჯავახიშვილი არაფერს გვაუწყებს. თუმცა, ზოგადად, მისი აზრით, ქართული სახელმწიფო უძველესი დროიდანვე არსებობდა. მაგრამ უნდა ითქვას, მან ქართული სახელმწიფოს წარმოქმნისა და მისი წყობილების საფუძვლები მართებულად ვერ გააშუქა.

სახელდობრ, ივ.ჯავახიშვილის თვალსაზრისით, როგორც ძველად (ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ისე I-VII სს-ში, სახელმწიფოებრივი წყობილება საქართველოში მოწყობილი იყო გვაროვნული წყობილების საფუძველზე, რომ „არა მარტო სამეფო ხელისუფლება, არამედ მთელი ადმინისტრაციული იერარქია ორგანიზებული იყო გვარის მსგავსად“ (Государственный строй древней Грузии и древней Армении, ივ.ჯავახიშვილი, თხზ. ტ. XII, გვ.108), რომ „გვაროვნული წყობილება საქართველოში იყო საფუძველი არა მარტო სოციალური, არამედ სახელმწიფოებრივი წყობილებისა“ (იქვე). როგორც ვხედავთ, ავტორი ძველი დროიდანვე სახელმწიფო და გვაროვნულ წყობილებათა „თანაარსებობის“ თვალსაზრისზე ღვას.

შემდეგში, XX ს. 20-იან წლებში ივ.ჯავახიშვილი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს თავისი „ქართული სამართლის ისტორიის I წიგნში (1928 წ.), მაგრამ ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის თარიღზე აქაც არაფერს გვაუწყებს. ამასთან, იგი აქაც არსებითად იმაზე იმეორებს ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და მის წყობილებაზე, რაც ზემოაღნიშნულ პირველ ნაშრომში აქვს მოცემული. მაგრამ „ქართული სამართლის ისტორიაში“ (I) უძველესი დროიდანვე ქართულ სახელმწიფო წყობილებასთან დაკავშირებით, დამატებით სვამს „გვაროვნული“, „საგვარეულო წესწყობილების პირველადობის საკითხს“, კერძოდ, სტრაბონის დროინდელ ქართლში. აქ მას მოაქვს მასალები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს დიდგვარიანი ფეოდალური სახლების, გვარების, შეყრილობა-გაყრილობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ასეთი პროცესი იყო დაბალი წოდების გვარებს შორისაც, და რომ, როგორც გვიანდელ, ისე ადრეულ პერიოდებშიც გვართა გაყრილობის დროს არსებული კერძო საკუთრება გვართა შეყრილობისას (საგვარეულო სახლების გაერთიანებისას) კვლავ ისპობოდა, საერთო-კო-

ლექტიურ საკუთრებად იქცეოდა და გვაროვნული წყობილება კვლავ იშვებოდა, განსაკუთრებით, ჩანს, საგარეო საშიშროების დროს, თავდაცვის მიზნით. „ასეთ პირობებში და ამ გზით გვაროვნული წყობილება ერთხელ დაშლილი შეიძლება კვლავ განახლდეს და სოციალური ცხოვრების ისევ ძირითად მოვლენად და ქვაკუთხედ დაწესებულებად იქცეს” (ივ.ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI, გვ. 144). ამიტომ, მისი დასკვნით: „ადვილი შესაძლებელია სტრატონის დროინდელი საქართველოს სახელმწიფოს გვაროვნული წესწყობილება პირველადი არ იყოს”, რომ შესაძლებელია იგი იყოს „მეორადი ან მესამედი გზისიც” (იქვე, გვ. 140, 144).

ეს თვალსაზრისი, ცხადია, მართებული არაა და მასზე სიტყვას არ გაავარძელებთ, რადგან გვაროვნული წყობილების მოსახლეობის გვარები თავიანთი კოლექტიური საკუთრებით, მიწის კოლექტიური დამუშავებით და მიღებული პროდუქციის თანაბარი მოხმარების წესით, როცა საზოგადოება უკლასო და უსახელმწიფოა, ცხადია, სულ სხვაა, ვიდრე კლასობრივი და სახელმწიფოებრივი საზოგადოების გაბატონებულ და ექსპლუატირებული გვარები თავიანთი მფლობელობა-საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმებით, ასევე გვარების შეყრილობა-გაყრილობით, რაც წარმოების წესს და კლასობრივ (ფეოდალურ ან სხვ.) საზოგადოებას სრულიადაც არ ცვლის და გვაროვნულ საზოგადოებას არ უბრუნდება.

შესაძლოა, შემდეგში ივ.ჯავახიშვილმა შეიცვალა აღნიშნული შეხედულება (ივ.ჯავახიშვილის თვალსაზრისი მოცემულ საკითხზე დაწერ. იხ. მისი თხზ., XII, გვ. 108, VI, გვ. 140-144).

ამ პერიოდში ვერც ს. კაკაბაძემ გადაჭრა დადებითად ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის დროის და მისი წყობილების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ მან ამ პრობლემურ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა და ძალზე საყურადღებო ქართლის ეთნიკური, გეოგრაფიულ-ტოპონიმიკური და სოციალურ-ტერმინოლოგიური კვლევა-ძიება ჩაატარა (იხ. ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924 წ.). მისი თვალსაზრისით, ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი ძვ.წ-ის II ს-ის შუა ხანის მოღვაწეა, სტრატონის

ცნობები ქართლის (იბერიის) შესახებ გაუღენთილია გეაროვნული საზოგადოების ინსტიტუტებით და მაინცდამაინც სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ვერ წარმოგვიჩენს და მხოლოდ სტრაბონის შემდგომ ხანაში, მეფე ფარსმან ქველის დროს, არსებობს ქართლში ნამდვილი პოლიტიკური სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია (იქვე გვ. 78-120).

ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხს, საერთოდ, ბევრი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა ს.ჯანაშიამ. უნდა ითქვას, მან პირველმა სწორ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე გააშუქა ეს საკითხი. ს.ჯანაშიას ამოსავალი სახელმძღვანელო ქართული სახელმწიფო წყობილების წარმოშობის საკითხში იყო გეაროვნულ საზოგადოებაზე ლ.მორგანის ნაშრომი „ძველი საზოგადოება“ და განსაკუთრებით ფრ.ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომელნიც, სხვა მკვლევარების მემკვიდრეობასთან შედარებით, ღღესაც, უდავოა, წარმოადგენენ სწორ მაგისტრალურ ორიენტირს მოცემული რთული პრობლემური საკითხის გამუქებაში.

აღნიშნული ნაშრომების საფუძველზე 30-იანი წლების საბჭოური ისტორიოგრაფია, საერთოდ, უკვე სწორ მეცნიერულ პოზიციაზე იდგა, რომელიც გეაროვნულ წყობილებას პრინციპულად განასხვავებდა კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფო წყობილებისაგან. ამ სწორი მეთოდოლოგიური პოზიციის საფუძველზე ს.ჯანაშიამ მეცნიერულად მართებულად გააშუქა გეაროვნული წყობილება ქართველ ტომებში და კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. ძველ წერილობით წყაროებს, მათ შორის სტრაბონის ცნობებს ქართლის (იბერიის) შესახებ, მან ახლებური ახსნა მისცა და დაასკვნა, რომ ძვ. და ახ.წ-ის I საუკუნეებში საქართველოში უკვე სავსებით ჩამოყალიბებული კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო გვაქვს. რაც შეეხება ქართული სახელმწიფოს წარმოშობის ქრონოლოგიურ თარიღს, მას მიაჩნდა, რომ ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლოს წარმოქმნილი ფარნავაზიანთა დინასტიის ქართლის სამეფომდე არსებობდა ქართველთა პოლიტიკური გაერთიანება „არიან-ქართლის“ სამეფოს სახით, რომელსაც იგი, ისე როგორც ქართველი ხალხის ეთნოგენეზისს, წი-

ნა აზიის უძველეს ხალხებსა და ცივილიზაციას, კერძოდ, ხეთურ-მითანურ სამყაროს უკავშირებდა. ს.ჯანაშიას მიაჩნდა, რომ ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლოს ქართველთა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა ცენტრმა ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე „არიან-ქართლიდან“ ჩრდილოეთში, დღევანდელ ქართლში (მცხეთის) გადაინაცვლა. თვით „არიან-ქართლის“ სამეფოს (სახელმწიფოს) წარმოქმნის ქრონოლოგიურ თარიღზე კი, იგი არაფერს აღნიშნავს. ამასთან, ს.ჯანაშიას აზრით, ძვ.წ-ის VI-IV სს-ში დღ.საქართველოს ტერიტორიაზე „ქართველ ტომებს ორი დიდი სახელმწიფო ჰქონდათ“: კოლხეთი – ბერძ. „კოლხიდა“ და ქართლი – ბერძ. „იბერია“ (ს.ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ.131-172; გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, გვ.102-129; მისივე, შრომები, V, გვ.51, 60, 211).

30-იან წლებში უკვე სხვა ქართველ მკვლევრებსაც მიაჩნდათ ქართლში სახელმწიფოს არსებობა ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლოს (ფარნაეზის დროს), თუმცა იყვნენ გამონაკლისების სახით ისეთნიც (გ.სოსელია და სხვ.), რომელთაც არა თუ ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლოს, არამედ სტრაბონის დროინდელ (ძვ. და ახ.წ-ის I სს.) ქართლშიც კი უარყოფდნენ სახელმწიფოს არსებობას და გვაროვნულ წყობილებასა და მხოლოდ მისი რღვევის პროცესს ხედავდნენ (Г.Соселия, К вопросу о происхождении государства у картвельских племен, "Научные записки", т.1, Тиф., 1931; მისივე, Существовала ли рабовладельческая формация в Грузии? ВИ, 1956, № 10).

30-40-იან წლებში ქართული ისტორიოგრაფია გვაროვნული საზოგადოების, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფო წყობილების არსის საკითხში უკვე მეთოდოლოგიურად და თეორიულად სწორ მეცნიერულ პოზიციაზე იდგა. ამ პერიოდში წერილობითი წყაროების კვლევას დაემატა საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური ძიების შედეგად მიღებული გრანდიოზული მონაპოვრები და მათი ანალიზი, გამოვლინდა ბევრი დიდი მატერიალური კულტურა და საკითხი დადგა ქართულ „არქეოლოგიურ“ საზო-

გაღობათა სოციალურ-პოლიტიკური წყობის რეკონსტრუქციისა. შესაბამისად, გაიშალა მეცნიერული კვლევა და დავა ქართული სახელმწიფოს წარმოშობის ქრონოლოგიურ თარიღზე.

50-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ივ. სურგულაძის ნაშრომი „სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში“ (თბ., 1951 წ.). „ქართლის ცხოვრების“ (ლეონტის ძველი მატეიანის) მონაცემების განხილვით, იგი სახელმწიფოს არსებობას ქართლში ფარნავაზიანთა დინასტიით ამტკიცებს ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლო ხანებში. ამასთან იგი ეთანხმება ს.ჯანაშიას თვალსაზრისს, რომ, ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ, ძვ.წ-ის VI ს-ში საქართველოში მომზადებული იყო ნიადაგი სახელმწიფოს არსებობისათვის, რის შედეგად ძვ.წ-ის VI ს-ში წარმოიშვა კოლხეთის სამეფო, სადაც მონეტაც (ფული) კი იჭრებოდა (დასახ.ნაშრომი, გვ.11-13, 31-34).

1954 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში ჩატარდა სპეციალური დისკუსია ქართული სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე. გარდა იმისა, რომ დისკუსიის მონაწილე მკვლევარებმა მცხეთის არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე ისტორიულ რეალობად ცნეს ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლოს ქართლის სახელმწიფოს (სამეფოს) არსებობა ფარნავაზიანთა დინასტიით სათავეში, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო დისკუსიის მთავარი მომხსენებლის გ.მელიქიშვილის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის ქრონოლოგიური თარიღის გაცილებით არქაულ ეპოქაში, ძვ.წ-ის XII-VIII საუკუნეებში გადატანა: ქართულ „სახელმწიფოებრივ თუ გასახელმწიფოებრიობის მიჯნაზე მდგარ“ ერთეულად მან ცნო ამ პერიოდში მცირე აზიაში არსებული ქართული ეთნიკური გაერთიანებანი დიაოხი – ძვ.წ-ის XII ს. და კოლხა – ძვ.წ-ის VIII ს. (გ.მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ.85-92). შესაბამისად, მათი პოლიტიკური მემკვიდრეები შემდეგში იყო: ქართლის სამეფო და კოლხეთის სამეფო (ძვ.წ-ის VI ს.). ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ეს არქაიზებული ქრონოლოგიური თვალსაზრისი, თუმცა ფრთხილი და არა ერთიანი („სახელმწიფო-

ებრივი ან გასახელმწიფოებრიობის მიჯნაზე მდგარი”), ამიერიდან ფართოდ გავრცელდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, შევიდა ნ.ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოში (1958 წ.), ასევე, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულში (ტ. I), ზოლო გვიან, 80-იანი წლებიდან ოფიციალურ სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომლის ძველი ისტორიის ნაწილის კონსულტანტი გ.მელიქიშვილია. აღნიშნული თვალსაზრისი იქ უკვე ერთიანია, ცალსახაა: დიაოხი და კოლხა მიჩნეულია ქართულ „სახელმწიფოებრივ ერთეულად“ და „ადრეკლასობრივ სახელმწიფოდ“.

დისკუსიის შემდგომ პერიოდში, 50-60-იან წლებში კვლავ გაგრძელდა მუშაობა საქართველოს ისტორიის მოცემულ პრობლემატიკაზე, როგორც წერილობითი წყაროების შესწავლის თვალსაზრისით, ისე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი წყაროების (მატერიალური კულტურის ნაშთების) შესწავლის შედეგადაც.

ქართული ისტორიოგრაფიის მიერ ჩატარებული მთელი ეს დიდი სამუშაო – ქართული კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესთან დაკავშირებული ქართული და უცხოური (ძველადმოსავლური, ანტიკური – ბერძნულ-რომაული, სომხური და სხვ.) წყაროები და მათი ანალიზი, ასევე, XX ს-ის 70-იან წლებამდე საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული გრანდიოზული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მეტად დიდძალი მასალები და მათი ანალიზი, ცხადია, სათანადო გამოკვლევების (ლიტერატურის) დამოწმებით, კომპაქტურად თავმოყრილი და მოცემულია ქართული ისტორიული მეცნიერების ფუნდამენტურ კოლექტიურ ნაშრომში „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის I ტომში. აღნიშნულ „ნარკვევებში“ მოცემულმა ცალკეულმა გამოკვლევებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი ცოდნა, როგორც ქართული გვაროვნული საზოგადოების, ისე ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის პრობლემატიკაზე, თუმცა მასზე თვალსაზრისთა სხვაობადღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

რაც შეეხება წყაროების კლასიფიკაციას და შეფასებას, უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მოსაზღვრე მცირე აზიაში არსებულ ძველ ქართულ სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით, ცნობები დაცულია ძველადმოსავლურ და ანტიკურ წერილობით წყაროებში, რომელთა დიდი ნაწილი ეპოქის თანადროული და, ამდენად, მეტად ღირებულია, ხოლო ერთადერთი ქართული საამისო ძეგლი „ქართლის მოქცევის“ მატთანე, მართალია გვიანდელია, მაგრამ, ცხადია, ისიც უცილობლად გასათვალისწინებელია.

თვით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე კი სახელმწიფოებრიობის წარმონაქმნების საწყის ქრონოლოგიურ თარიღზე და მასთან დაკავშირებით, ჩვენ გვაქვს ძველი ეროვნული ორიგინალური წერილობითი წყაროები – „ქართლის მოქცევის“ მატთანე და „ქართლის ცხოვრების“ კრებულის პირველი თხზულება, „ჰამბავი ქართველთა მეფეთა და ნათესავთა“, ასევე არქეოლოგიური მატერიალური კულტურის მასალები. მაგრამ აღნიშნული ეროვნული წერილობითი წყაროები ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ხანას აქაც ძალიან დაშორებულია და გვიანდელი, ხოლო არქეოლოგიური მონაპოვართა მასალები ქართული სახელმწიფოებრიობის წარმონაქმნების პროცესის თანადროულია და ამდენად, ბუნებრივია, ამ მხრივ განუზომლად ღირებული.

როდესაც ჩვენ დღ. საქართველოს ტერიტორიაზე ამ დიდ პრობლემურ საკითხზე სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ეპოქის მეტ-ნაკლებად თანადროული წერილობითი წყარო არა გვაქვს, სწორედ სახელმწიფოებრიობის ეპოქის მატერიალური კულტურის ნაშთების არქეოლოგიურ მონაპოვრებს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ დიდი პრობლემური საკითხის მეცნიერულად გააზრებისა და გადაჭრის საქმეში.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, არქეოლოგიური ნივთიერი „დოკუმენტაციის“ საფუძველზეც კი კატეგორიულობა ამ საკითხში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, გამორიცხულია. მაშინ როცა, უძველესი „არქეოლოგიური საზოგადოების“ მატერიალური კულტურის ნივთიერი მონაპოვრებით – შრომისა და ბრძოლის იარა-



ღების, საყოფაცხოვრებო ნივთების, საცხოვრებელი ნაგებობების, სამაროვნების თუ სხვა ნაშთებით შეიძლება (ხშირად კატეგორიულადაც) „არქეოლოგიური“ საზოგადოების სამეურნეო და ტექნიკური განვითარებისა და თვით ამ საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციის დონის რეკონსტრუქცია, შესაბამისი დროის „არქეოლოგიური“ საზოგადოების, პოლიტიკური გაერთიანებანის და მათი სოციალურ-იურიდიული სტრუქტურის ანუ სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა-არსებობის დადგენაში კატეგორიულობას ვერ დაიჩემებ. არქეოლოგიური მასალა, იმდროის წერილობითი წყაროების არარსებობის შემთხვევაში, პირდაპირი საბუთით, – ეთნოსის წერილობითი ენით, – ვერ გვამცნობს გარდასული „არქეოლოგიური“ საზოგადოების პოლიტიკური ზედნაშენის – სახელმწიფოს არსებობას თუ უარყოფას ამა თუ იმ არქეოლოგიურ პერიოდში. კატეგორიულობას დაიჩემებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არქეოლოგიური ნივთიერი კულტურა ისეთი დონითა და სიმდიდრითაა წარმოდგენილი, რომ სახელმწიფოებრიობის წარმონაქმნის არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ეს კი, მაინც, იშვიათია.

ამიტომ, პირადად ჩვენ, რომელსაც დიდძალი წერილობითი დოკუმენტაციის ბაზაზე დაფუძნებულ სამეცნიერო გამოკვლევებში შუა საუკუნეების (ფეოდალური) საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პრობლემური საკითხის თუ კონკრეტული მოვლენების მეცნიერული რკვევისას, როგორც წესი, უმეტესწილად, კატეგორიული მტკიცებულებანი გვახასიათებს, ქართული სახელმწიფოებრიობის წარმონაქმნების საწყისი დროის შესახებ, პირდაპირი საბუთების უქონლობის გამო, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ასეთი კატეგორიულობა გამორიცხულია.

ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისის პირდაპირი საბუთის უქონლობა არის სწორედ იმის მიზეზი, რომ XX ს-ის მიწურულს, როცა საქართველოს მთავრობამ და ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ გადაწყვიტეს მესამე ათასწლეულის დასაწყისში, XXI ს-ის პირველ წელს, საზეიმოდ აღნიშნულიყო ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის თარიღი, მძაფრი პაექრობა გაჩაღდა მასზე და, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოითქვა ურთიე-

რთგამომრიცხავი მრავალი „ქრონოლოგიური“ მოსაზრებანი. სახელდობრ, დღეს ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის თარიღზე ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში, მეტ-ნაკლები საბუთიანობით და მოსაზრებით, მრავალი განსხვავებული შეხედულებაა: 3.000 წელი (გ.მელიქიშვილი, თ.მიქელაძე, მ.ინაძე და სხვ.), – ამოსავალი საწყისი: დიაოხი (დაიაენი) – სამხრეთ-ქართული პოლიტიკური გაერთიანება ძვ.წ-ის XII-X სს.; 3500 წელი (ლ.სანიკიძე, თ.გამყრელიძე) – ამოსავალი საწყისი: არგონავტების დროინდელი კოლხეთი; 2.800 წელი (მ.ლორთქიფანიძე) – საწყისი: კოლხა – დასავლურ-ქართული სახელმწიფო; 2550 წელი (ნ.ლომოური), – საწყისი: კოლხეთის სახელმწიფო – ძვ.წ-ის VI ს-ის II ნახევარი; 2300 წელი (რ.ბარამიძე, გ.ყორანაშვილი და სხვ.) – საწყისი: ქართლის სამეფო (პირველი მეფე ფარნავაზი) – ძვ.წ-ის IV-III სს-ის მიჯნა. შეიძლებოდა სხვა ქრონოლოგიური ვარიანტების მოტანაც.

როგორც ვხედავთ, ქართველი მკვლევრები გვთავაზობენ ქართული ცივილიზაციის წარმოქმნის სხვადასხვა თარიღს. „ცივილიზაციაში“ კი, როგორც ცნობილია (ლ.მორგანი, კ.მარქსი, ფრ.ენგელსი და სხვ.), სავსებით სამართლიანად იგულისხმება კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო.

მეცნიერულმა დავამ მოცემულ პრობლემურ და საპასუხისმგებლო საკითხზე 2000 წლის ივნისში კვლავ გამოიწვია დისკუსიის ჩატარება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახ.ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. ამჯერად დისკუსიის ცენტრალურ საკითხად იქცა აღნიშნულ წელს გ.ყორანაშვილის მიერ გამოცემული ნაშრომი „საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი“, რომელშიც ავტორს ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის თარიღად კატეგორიულად მიანიჭია ძვ.წ-ის IV ს-ის დასასრული, – ამ დროს ქართლის სამეფოს წარმოქმნა ფარნავაზიანთა დინასტიით, ე.ი. მისი წარმოქმნიდან 2.300 წელი. დისკუსიაზე გაიშალა მძაფრი პაექრობა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საწყის თარიღზე შეთანხმება არ მოხდა (იხ.ქართული სახელმწიფოებრი-

ობის სათავეებთან, სამეცნიერო დისკუსიის მასალები, „მემატინი“, თბ., 2001 წ.).

პრობლემასთან დაკავშირებით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როცა პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს სახელმწიფოს (მათ შორის ქართულის) წარმოქმნის შესახებ ამა თუ იმ კონკრეტულ დროში (ვთქვათ, რომელიმე საუკუნეში), ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოქმნის უარყოფა ერთობ ადვილია, ხოლო მისი დამტკიცება, ასევე, ერთობ – ძნელი.

პაექრობა მოცემულ პრობლემურ საკითხზე, აშკარაა, მომავალშიც კვლავ გაგრძელდება.

ჩემი წინამდებარე ნაშრომის მიზანია რამდენადმე გააფართოვოს ჩვენი ცოდნა და მეტი სინათლე და გარკვეულობა შეიტანოს ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ამ მეტად რთული ამოცანის, – დროის განსაზღვრის, – საკითხში. თუ რამდენად შეძლო იგი ავტორმა, ეს ფართო მკითხველი საზოგადოების, უპირველესად, სპეციალისტი მკვლევრების შეფასებაზეა დამოკიდებული.

დაბოლოს, მიგვაჩნია, რომ ამ მეტად რთულ პრობლემატურ საკითხში ერთი ნაბიჯის წინ გადადგმაც კი, ავტორისთვის მნიშვნელოვანი წარმატება იქნება და მისასალმებელი უნდა იყოს.

1. ამოსავალი ვითარება. სახელმწიფოს წარმოქმნა  
და მისი ძირითადი ნიშნები  
(საკითხის თეორიული მხარე)

როდესაც საკითხი ეხება ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას, იგულისხმება ზოგადად მისი სათავეები, პირვანდელი წარმონაქმნი, რა ფორმითაც იგი არ უნდა არსებულებო. პირველადი სახელმწიფოებრიობის ფორმები კი პრიმიტიული იყო და მისი სოციალური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტრუქტურის სრულყოფა საუკუნეებში ხდებოდა.

ამოსავალი ვითარებისას, თეორიულ-კონცეფციულურად გარკვეული და ნათელი უნდა იყოს სახელმწიფოებრიობის (სახელმწიფოს) პოლიტიკური სტრუქტურის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რითაც ამა თუ იმ ეთნოსის სახელმწიფოს წარმოქმნისა და არსებობის დადასტურებას ვახდენთ. ამოსავალი ვითარების ამ საწყისის გარეშე სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის სათავეების ქრონოლოგიის შესახებ მსჯელობა და დავა დაუსრულებელი და უსაფუძვლო იქნება.

სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციაა. იგი წარმოიშვა გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე ამა თუ იმ ეთნოსის საზოგადოებაში კერძო საკუთრების გაჩენისა და მის საფუძველზე კლასების წარმოშობის და მათ შორის დაპირისპირების (ანტაგონიზმის) არსებობის შედეგად.

სახელმწიფოს წარმოქმნისას გააჩნდა სამი ძირითადი ნიშანი:

1. გარკვეული ტერიტორია თავისი სახელმწიფოებრივი საზღვრებით, სადაც მოსახლეობა (ეთნოსი) დასახლებული იყო როგორც ტერიტორიული, ისე გვაროვნული სახით, ე.ი. შერეული პრინციპით:

ა) სისხლის გვაროვნულ-ნათესაობის მიხედვით, ანუ ერთი მონათესავე გვარით – ერთგვარიანი ოჯახებით დასახლებული დაბა-სოფლებით (გვაროვნული დასახლების პრინციპი);

ბ) მონათესავე და არამონათესავე საგვარეულო ოჯახებით დასახლებული დაბა-სოფლებით, კუთხეებით (ტერიტორიული

პრინციპი), - ე.წ. „სამეზობლო თემი“ ანუ „სამეზობლო სოფელი“.

2. უკლასო გვაროვნული წყობილების რღვევის შედეგად საზოგადოებაში კერძო საკუთრების გაჩენა წარმოების საშუალებებზე და მის საფუძველზე საზოგადოების მეტ-ნაკლები ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია - ქონებრივად მდიდრებისა და ღარიბი ფენების წარმოშობა, შედეგად გაბატონებული კლასისა და მისი მორჩილი დაქვემდებარებული მოსახლეობის არსებობა.

3. სახელმწიფოს მესამე ძირითადი ნიშანი არის საჯარო ხელისუფლება, ანუ იძულების სპეციალური აპარატის (სტრუქტურის) შექმნა, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს ხელისუფლება ანხორციელებს მისი ნებისა და გაბატონებული კლასის, ასევე, საზოგადოებისათვის, ქვეყნისათვის საჭირო მოთხოვნილებებსა და მიზნებს, აფიქსირებს და იურიდიულად (წერილობით ან ზეპირად) ამკვიდრებს ქვეყანაში შექმნილ რეალურ ვითარებას.

საამისოდ სახელმწიფოს მმართვეის აპარატს ორი ფუნქცია (პოლიტიკა) გააჩნია: საშინაო და საგარეო. საშინაო ფუნქციებში შედიოდა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიურ-კულტურული საქმეები. საგარეოში - დიპლომატიური ურთიერთობა გარესამყაროსთან, მეზობლებთან, ქვეყნის დაცვა მტრების შემოსევებისგან და აქტიური საგარეო პოლიტიკაც.

ახალწარმოქმნილ სახელმწიფოს სხვადასხვა ქვეყნებში საჯარო ხელისუფლების, ანუ მმართვეის სხვადასხვა ფორმები გააჩნდა: მონარქიული - მეფე-სუვერენი, ორმეფობა (ორი მეფე), „უფროსი“ (არხონტი), ანდა დემოკრატიული - „უხუცესთა საბჭოს“ ან მსგავსი პოლიტიკური აპარატის არსებობა ქვეყნის სათავეში, ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის შედარებით მარტივი სტრუქტურებით.

ცხადია, იგულისხმება, რომ ახალწარმოქმნილ სახელმწიფოს, საწყის ეტაპზე, მმართველობის მარტივი ორგანიზაციული ფორმები (აპარატი, სტრუქტურები) ახასიათებდა, რომლის სრულყოფა საუკუნეებში ხდებოდა.

სახელმწიფოს წარმოქმნის ისტორიული პროცესი სქემატურად შემდეგნაირად წარმოჩნდება.

სახელმწიფოს წარმოქმნამდე, უკლასო გვაროვნულ საზოგადოებაში ბალახა კრიაობა (კომუნა) – სახალხო კრება და „უხუცესთა საბჭო“ ასრულდება ყველა საზოგადოებრივ ფუნქციას: საწარმოო. საოჯახო-ყოფას, ერთობის (კოლექტივის) რელიგიურ კულტმსახურებას.

გვაროვნულ საზოგადოებაში არსებობდა საერთო საკუთრება წარმოების საშუალებებზე (მიწა, შრომის იარაღები), კოლექტიური წარმოება და, ასევე, პროდუქციის განაწილების კოლექტიური ფორმა.

შემდგომში საწარმოო ძალების (ადამიანები, შრომის იარაღები) განვითარებისა და შრომის საზოგადოებრივი განაწილების ზრდის შედეგად, გაძლიერდა მწარმოებლური ეკონომიკა, წარმოების ინდივიდუალიზაცია, გაფართოვდა და განმტკიცდა ოჯახის ინდივიდუალური სამეურნეო როლი, ინდივიდთა საწარმოო ჩვევები და გამოცდილება.

ასეთ ვითარებაში ჩანსაზოგადოებლური შრომისგან ორგანიზატორული ფუნქციის გამოყოფა, რის შედეგად გვაროვნულ საზოგადოებრივ ერთობებში (კომუნებში) წარმოიშვა თანამდებობები და ამ თანამდებობის პირები, ასევე, სატომო ბელადები, რომელნიც თავიანთ ხელში თანდათან თავს უყრიან ძალაუფლებას: მათ ხელშია ტერიტორიის განაწილება, კოლექტიური სამუშაოების ხელმძღვანელობა, სამხედრო საქმის ორგანიზაცია, საგვარეულო-სატომო კულტის მსახურების საქმე და სხვა მრავალი საზოგადოებრივი ფუნქციები. ამით გვაროვნული საზოგადოებრივი ერთობის შიგნით გაჩნდა მმართველის ინსტიტუტი, სოციალური ძალაუფლება, რომელიც გამოდიოდა მთელი საზოგადოების ერთობის საყოველთაო წარმომადგენლად. ეს ეტაპი არის ე.წ. „სამხედრო დემოკრატიის“ ეპოქა (ლ.მორგანის შემოღებული ტერმინი).

პრეისტორიული ხანის (სახელმწიფოს წარმოშობამდე) ამ ბოლო საფეხურზე, განვითარებული გვაროვნული საზოგადოება

(ტომი, ტომთა კავშირები) სათანადოდ იყო ორგანიზებული: სამეურნეო, საკულტო-რელიგიური, საოჯახო-საგვარეულო სამართლის, თავდაცვის და სხვა არსებით სფეროში. საზოგადოებას მართავდა სამხედრო ბელადი (მხედართმთავარი), მასთან ერთად „უხუცესთა საბჭო“ და სახალხო კრება. ეს იყო „სამხედრო დემოკრატიის“ ეპოქა. „სამხედრო დემოკრატია“ ნიშნავდა ტომისა და ტომთა კავშირის ბელადის მიერ სახალხო ლაშქრის (ჯარის) სამხედრო ხელმძღვანელობას. „სამხედრო დემოკრატიის“ ბელადი, გარდა მხედართმთავრისა, იყო აგრეთვე უმაღლესი ქურუმი და მსაჯულიც. რაც მთავარია, გვაროვნულ საზოგადოებაში მართვის ინსტიტუტის წარმოქმნით საფუძველი ჩაეყარა ამ გვაროვნული ინსტიტუტის გადაზრდის შესაძლებლობას პოლიტიკურ ხელისუფლებაში, რომელიც შემდეგში მალლა დადგა მთელ საზოგადოებაზე.

სამხედრო დემოკრატიის ეპოქაში ჩნდება და იზრდება კერძო საკუთრება, სიმდიდრის დაგროვება სატომო-გვაროვნული არისტოკრატიის ხელში, ხდება ქონებრივი დიფერენციაცია გვაროვნულ საზოგადოებაში, რასაც მოჰყვა მისი სოციალურ-უფლებრივი, ანუ კლასობრივი დიფერენცირებაც. დაიჩნდა გვაროვნული საზოგადოების საფუძვლები. გვაროვნულ არისტოკრატიულ დიდკაცობას გაუჩნდა მოპოვებული სიმდიდრის დაცვისა და შემკვიდრეობით გადაცემისათვის დამცავი ძალისმიერი სტრუქტურის შექმნის, ასევე, საზოგადოებაში პრივილეგირებული მდგომარეობის უფლებრივ-იურიდიული აღიარება-დაკანონების პოლიტიკური მოთხოვნილება. სიმდიდრით აღზევებულმა და უკვე კლასად ორგანიზებულმა გვაროვნული არისტოკრატიის მოთხოვნილებამ და მიზნებმა ძველი გვაროვნული ურთიერთობისა და მმართველობის ნანგრევებზე შვა პოლიტიკური ორგანიზაცია – სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებული იყო არა გვაროვნულ უჯრედებზე (რგოლებზე) და გვაროვნულ გაერთიანებებზე, არამედ ტერიტორიასა, კერძო საკუთრებასა და საჯარო ხელისუფლებაზე. სწორედ საზოგადოებისაგან გამოყოფილ საჯარო ხელისუფლებას უნდა დაეცვა სიმდიდრით და თანამდებობით აღზევებული გვაროვნული დიდ-

კაცობა და მისი უფლებრივი პრივილეგიები. საამისოდ კი საჯარო ანუ სახელმწიფო ხელისუფლებას (ხელისუფლებას ხალხზე) უნდა ჰქონოდა ძალისმიერი სტრუქტურები. ასეთი ძალოვანი სტრუქტურაც შექმნეს – პოლიცია, ჟანდარმერია, რომლის გარეშე სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაცია წარმოდგენელი იყო, სახელმწიფოს არ შეეძლო პოლიციის გარეშე არსებობა. ჟანდარმერიას ევალებოდა სახელმწიფოს მმართველი გვაროვნული არისტოკრატიისა და სახელმწიფოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ისეთი ფუნქციების განხორციელებაში, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ასევე ქვეყნის დაცვა საგარეო მტრების თავდასხმებისაგან, ქვეყნის მთელი მოსახლეობაც იყო დაინტერესებული და დადებითად ეკიდებოდა.

ამრიგად, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის შედეგად გვაროვნული წყობილების ერთობის (კომუნის) საზოგადოებრივი ფუნქციების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო მმართველობის ხელში ექცევა: „სამხედრო დემოკრატია“ თავისი სატომო ბელადით იქცა კლასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად, სახელმწიფოდ, მეფით სათავეში. სამხედრო დემოკრატიის მმართველობის სტრუქტურა შეიცვალა სახელმწიფო მართვის ორგანოებით, ხოლო სამხედრო დემოკრატიის ბელადი პოლიტიკურ მმართველად, – მეფედ, – იქცა.

ამა თუ იმ ეთნიკურ ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოქმნისას საზოგადოება ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის შედეგად დაყოფილია კლასებად – გაბატონებულ ექსპლოატატორებად და დამორჩილებულ ექსპლუატირებულებად. ჩნდება ექსპლუატაციის პირველი ფორმა „მონობის“ (მორჩილების) სახით. ეს ხდება გვაროვნული საზოგადოების განვითარების ბოლო საფეხურზე, სამხედრო დემოკრატიის ეტაპზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოებრიობის რეალური ჩანასახები და, ასევე, მისი შექმნის იდეა სატომო-გვაროვნული დიდკაცობის („უხუცესთა საბჭო“, ტომის ბელადი) მენტალიტეტში, ჩვენი აზრით, უნდა გაჩენილიყო ჯერ კიდევ სამხედრო დემოკ-



რატიის წიაღში და მისი არსებობის პირობებში. მაგრამ „სამხედრო დემოკრატია“ სახელმწიფოსთან არ უნდა გაავიგივოთ.

გვაროვნულ საზოგადოებას და მის მმართველ ელიტას, – სატომო ბელად-მხედართმთავარს და „უხუცესთა საბჭოს“, – არ გააჩნდა ძალმომრეობის მუდმივი, სისტემატური აპარატი მოსახლეობის დასამორჩილებლად. ასეთი აპარატი (სტრუქტურა) წარმოშობისთანავე შექმნა სახელმწიფო ხელისუფლებამ – პოლიცია (ჟანდარმერია), შეიარაღებული რაზმები (ქვეითი და ცხენოსანი), საპყრობილები და ძალოვანი სტრუქტურის სხვა საშუალებები, საზოგადოებაში გაბატონებული არისტოკრატიული ნების წესრიგის დასამყარებლად. ასევე, იქმნება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუროკრატია – ტერიტორიულ ერთეულთა გამგებლები გადასახადების ასაკრეფად, ხალხის სამუშაოზე გასაყვანად, საჭირო შემთხვევაში სამხედრო ძალის – ჯარის გამოსაყვანად.

ახალწარმოქმნილ სახელმწიფოში მდიდარი გაბატონებული კლასის მიერ დანარჩენი მოსახლეობის ექსპლუატაციის სახეები სხვადასხვა იყო: ეკონომიკურად ღარიბ და უქონელთა მასის, ასევე, მევალეების შრომის გამოყენება მდიდართა ოჯახებსა და მეურნეობებში, ტყვეების შრომის გამოყენება სხვადასხვა სახის სამუშაოებზე და სხვ. საერთოდ, დამორჩილებული მოსახლეობის მონური ექსპლუატაცია მრავალფეროვანი იყო. პირვანდელი სახელმწიფოების იურიდიული სახე მონათმფლობელური იყო.

სხვადასხვაგვარი იყო ახალწარმოქმნილ სახელმწიფოთა ფორმებიც: მონარქიული (მეფე, ან კიდევ ორი მეფე სათავეში), არისტოკრატიული მმართველობის (მმართველი დიდკაცობის საბჭო, რომელიც ზოგჯერ ასეულობით წევრს ითვლიდა), ანდა კიდევ სხვა ფორმის. შედარებით გვიან კი, სახელმწიფო ზოგიერთ ქვეყნებში დემოკრატიულ რესპუბლიკადაც გადაიქცა.

სახელმწიფო, როგორც წესი, იშვებოდა ადგილობრივი სპონტანური განვითარების გზით, მაგრამ, ზოგჯერ, გამონაკლისების სახით, დაპყრობის გზითაც. ხშირად დამპყრობნი სახელმწიფოებრივად ორგანიზებულნი იყვნენ. ასეთ შემთხვევაში დამპყრობლებში ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია სახეზე იყო – დამპყრობთა არისტოკრატიული დიდკაცობა ერთის მხრივ, ხოლო

მეორეს მხრივ, რიგითი მოლაშქრე-რაზმელები. ამასთან, დამპყრობთ დაპყრობილ ტერიტორიაზე სახეზე ხვდებოდათ ადგილობრივი მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია, ხშირად სოციალურიც, კერძო საკუთრება, მაგრამ ჯერ კიდევ სახელმწიფოს გარეშე. ასეთ შემთხვევაში სწრაფად იქმნებოდა სახელმწიფო დაპყრობილ ტერიტორიაზე. ასეთ ვითარებაში დამპყრობნი დაპყრობილ ხალხებში ჰქმნიდნენ მხოლოდ სახელმწიფოს ერთადერთ ძირითად ნიშანს – საჯარო ხელისუფლებას და მისი ძალმომრეობის აპარატს: პოლიციას (ჟანდარმერია), საპრობილეებს და სხვა ძალოვან დაწესებულებებს. ხოლო თუ დამპყრობნი გვაროვნული წყობილების სტადიაზე იდგნენ და ცივილიზებულ სახელმწიფოებს იპყრობდნენ, ასეთ შემთხვევაში დამპყრობთა გვაროვნული წყობილება ვერ შეიწოვდა დაპყრობილი ქვეყნების კლასობრივ საზოგადოებას (ფრ.ენგელსი), პირიქით, ასეთ ვითარებაში დამპყრობნი იქცეოდა კლასობრივ-სახელმწიფოებრივ საზოგადოებად, – დაპყრობილ ხალხთა კლასობრივი წყობილების ზემოქმედებით.

მაგრამ, სულერთია, ადგილობრივი სპონტანური განვითარების, თუ დაპყრობის გზით სახელმწიფოს წარმოქმნისას, ახალწარმოქმნილ სახელმწიფოს გააჩნდა ზემოაღნიშნული ძირითადი ნიშნები. ამიტომ სახელმწიფოებრიობის სურათი, თავისი ძირითადი ნიშნებით, უნივერსალურია: 1. ტერიტორია, 2. კერძო საკუთრება და კლასები (გაბატონებული და დამორჩილებული), 3. საჯარო ხელისუფლება – ძალმომრეობის აპარატი (ფრ.ენგელსი). მართალია, კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით, ძველი სამყაროს აზიის სახელმწიფოებში დომინირებდა მიწაზე სახელმწიფო საკუთრება და სათემო-სასოფლო სარგებლობა (კ.მარქსი), მაგრამ მიწაზე ინდივიდუალური საკუთრება (განსაკუთრებით დიდკაცობისა), დაბალი თუ განუვითარებელი სახით, მაინც არსებობდა. ასევე, კერძო საკუთრება სრულად არსებობდა წარმოების იარაღებზე.

დაბოლოს, იხილეთ უნდა აღინიშნოს, რომ პირველყოფილი გვაროვნული ერთობილი საზოგადოების რღვევისა და კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში გაჩენილი კერძო საკუთრე-

ბისათვის დამახასიათებელია ოჯახის ინდივიდუალური საკუთრების არსებობა (სახლი, საკარმიდამო ნაკვეთი, სახნავი – მთელი ან ნაწილი) და მისი შეთავსება სოფლის საერთო საკუთრებასთან, მის საადგილმამულო ერთობასთან (საერთო-სასოფლო სახნავი მიწა, საძოვარი, სათიბი, ტყე, გამოუყენებელი სეარგულები).

არსებითად, ასეთივე ისტორიული გზა უნდა გაეკლათ ქართველ ტომებს სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესში.

## 2. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისი და ქართლის სამეფოს წარმოშობა „ქართლის მოქცევისა“ და „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით

### ა) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“

ჩვენი ეროვნული ორიგინალური წერილობითი წყაროები განეკუთვნება შუა საუკუნეებს და მეტად დიდი მანძილით არიან დაშორებულნი იმ ეპოქას, როცა ქართული სახელმწიფოებრიობა იშვა. ამიტომ ცხადია, ამ წყაროებში არაა საგულვეტელი პირდაპირი ავთენტური ცნობები ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობისა და, განსაკუთრებით, მისი წარმოქმნის დროის შესახებ. მიუხედავად ამისა, ძველ ქართულ ეროვნულ წერილობით წყაროებში ამ ურთულეს საკითხზე მაინც არის მოცემული მეტად დიდმნიშვნელოვანი მეხსიერული თუ მწიგნობრული ისტორიული გადმოცემები და ჩვენებები, ასევე შემატყიანეთა ისტორიული გააზრებანი, რაც დიდად გვეხმარება ამ ურთულესი პრობლემური საკითხის მეცნიერულ შესწავლაში.

ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისისა და ქართლის სახელმწიფოს (სამეფოს) წარმოქმნის შესახებ ჩვენ გაგვაჩნია ორი ძირითადი ორიგინალური ისტორიული წერილობითი წყარო: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრების“ საწყისი (ძველი) ნაწილი, რომლის ავტორია ლეონტი მროველი. უპირველესად, ამ მხრივ, მოკლედ განვიხილოთ უძველესი წყარო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ საკონტროლო ძეგლია.

„ქართლის მოქცევის“ პრეამბულის მეორე ნაწილი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ხალხის ისტორიის დიდი პოლიტიკური მოვლენის, მისი ცივილიზაციის საწყისის მაუწყებელია. პრეამბულის მეორე ნაწილი გვაძლავს, რომ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მეორედ მოსვლისას: „თანაჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძჲს არიან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას

ქერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთად ცროლისა (გ) და წარვიდა.

ხოლო ესე აზოდ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვად სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად – გაცი და გაიმ.

და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა, აზოდ, ძმ არიან ქართველთა მეფისად”<sup>1</sup>

„ქართლის მოქცევის” ძეგლის ავტორი, მოცემული ცნობით, ისტორიულ წარსულში, ძვ.წ-ის IV საუკუნეში, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, ორ ქართლს იცნობს: 1) დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის (ისტორიულ) ქართლს, სადაც ძვ.წ-ის IV საუკუნეში მოსახლეობა ქართულია, რასაც მოწმობს თვით წყაროს მიერ დასახელებული ქართული ტოპონიმიკის ციხე-ქალაქები – უფლისციხე, ურბნისი, კასპი, სარკინე, ოძრკე, „ძუელი მცხეთა”, – რომელნიც აქ ქართული მოსახლეობის არსებობის გარეშე ვერ გაჩნდებოდა. 2) „არიან ქართლი”, რომელიც სამეფო-სახელმწიფოა. ძეგლის ცნობით, ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლო მესამედში, ალექსანდრე მაკედონელის ხანაში, მეორე ქართლიდან, – „არიან ქართლის” სამეფოდან, რომელიც დღევანდელი საქართველოს საზღვრების გარეთ, მკვლევართა აზრით, სადღაც სამხრეთით მდებარეობდა, მოდის მეფის ძე აზო, მოჰყავს ნათესავ-თანამემამულენი, ჯდება „ძველ მცხეთას” და, ამრიგად, სამხრეთიდან ქართველთა პოლიტიკური მიგრაციის გზით ჩრდილოეთში აარსებს მეორე ქართლის სამეფო-სახელმწიფოს – „მცხეთის ქართლში”.

უფრო მნიშვნელოვანია „ქართლის მოქცევის” პრეამბულის ცნობის მეორე მხარე, რითაც ძვ.წ-ის IV ს-ში, ვიდრე მცხეთის რეგიონში ქართული სახელმწიფო შეიქმნებოდა, უკვე სამხრეთით არსებობდა პირველი ქართლის სახელმწიფო „არიან-ქართლის” სამეფოს სახელწოდებით, რომლის წარმოქმნის ადრეულ ქრო-

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963 წ., გვ.81-82.

ნოლოგიურ საწყისს ძეგლი არ გვაუწყებს. ჩანს, ან, შესაძლოა, ქართული სახელმწიფო „არიან-ქართლი“ ძვ.წ-ის IV საუკუნემდე გაცილებით ადრეულ ხანაში წარმოქმნილიყო და არსებულებო.

მაშასადამე, „ქართლის მოქცევის“ პრეამბულის ავტორი ორ ქართლს, ორი ქართლის სახელმწიფოს იცნობს: სამხრეთით მდებარე, ალექსანდრე მაკედონელამდე არსებულ „არიან-ქართლის სამეფოს“ და ჩრდილოეთით ალექსანდრე მაკედონელის დროს დაარსებულ „მცხეთის ქართლის სამეფოს“, რომლის საზღვრებს თვით ძეგლი გვაუწყებს: აღმოსავლეთით ჰერეთი, სამხრეთით სომხეთი, დასავლეთით ეგრისწყალი, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი („მთად ცროლისად“). მიგვაჩნია, რომ ეს ორი „ქართლი“ ტერიტორიულად გაწყვეტილ-განცალკევებული კი არაა და მათ შორის რომელიმე უცხო არაქართული ქვეყანა კი არ დევს, არაჰედენიკურად ერთიანი ტერიტორიაა, სადაც უწყვეტად განფენილია ქართველი ტომები, ქართული მოსახლეობა, მისი საზღვრები აღმოსავლეთით ჰერეთ-ალბანეთი იყო, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით შავ ზღვამდე და კაპადოკიამდე ვრცელდებოდა. ჩანს, როგორც ამას მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, არიან-ქართლი მოიცავდა მდ.ჭოროხისა და შავიზღვისპირა რეგიონს.

მაინც, „არიან ქართლის“ ქვეყნის კონკრეტული ადგილმდებარეობის შესახებ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. თითქმის ყველა მკვლევარს არიან-ქართლი ამიერკავკასიის სამხრეთით ეგულება, მაგრამ კონკრეტულად თუ სად, დადგენილი არ არის. ს.გორგაძის აზრით, „არიან ქართლი“ („არიანის ქართლი“) ესაა ძვ.წ-ის V ს-ის ბერძენი მწერლის ქსენოფონტეს მიერ მოხსენიებული „კარდუხების“ („ქართუქების“) ანუ „ქართუების“ (ქართველთა) ქვეყანა, რომელიც მდებარეობდა ამიერკავკასიის სამხრეთით და მდ.ტიგროსამდე აღწევდა. სიტყვა „არიან“-ი კი მას ქართველთა მეფის სახელად მიაჩნია.<sup>2</sup>

---

<sup>2</sup> ს.გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, I, თბ., 1906 წ., გვ. 20-22.

მ.ჯანაშვილს „არიან-ქართლი“ შუა აზიის „არიანა“-დ მი-  
აჩნდა, რომელსაც იხსენიებს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრო-  
ბის ამბებისას ფსევდოკალისტენეს რომანი.<sup>3</sup>

ს.ჯანაშიას აზრით, „არიან ქართლი“ წინა აზიაში არსებულ  
დიდი ქვეყნის მითანის, ქართველთა მონათესავე „ჰარი“ – „ზურ-  
იტების“ ნაწილი იყო.<sup>4</sup>

ექ.თაყაიშვილის აზრით კი, ეს სახელი – „არიან“-ი –  
„ქართლის მოქცევაში“ IV ს-ის მწერლის ეფრემ ასურის „განძთა  
ქვაბის“ თხზულებიდან არის შესული.<sup>5</sup>

გ.მელიქიშვილის შეხედულებით, „არიან ქართლი“ საქარ-  
თველოს სამხრეთ-დასავლეთი კუთხე იყო, ჭოროხ-შავიზღვის-  
პირა რეგიონი, რომელიც აქემენიდური ირანის საბრძანებელში შე-  
დიოდა და ამიტომ მას ჩრდილოეთში მცხოვრები ქართველები  
„არიან ქართლს“ ანუ ირანის ქართლს უწოდებდნენ.<sup>6</sup>

როგორც ვხედავთ „არიან ქართლის“ ლოკალიზაცია გადა-  
ჭრილი არაა, მაგრამ ეს ხელს სრულიადაც არ უშლის „მოქცევაჲ  
ქართლისაჲს“ მატთანეში „არიან-ქართლის“ შესახებ მოცემული  
ცნობის უაღრესად დიდ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

რაც მთავარია, „ქართლის მოქცევის“ პრეამბულის ავტორი  
სწორად უნდა გადმოგვეცემდეს VI-VII საუკუნეების თუ უფრო  
ადრინდელი ხანის ქართულ ისტორიულ ცნობიერებაში არსებულ  
ტრადიციას, ალექსანდრე მაკედონელამდე (ძვ.წ-ის IV ს.) უფრო  
ადრეულ თუ გაცილებით ძველ ხანაში ქართული სახელმწიფო-  
ებრიობის (ქართული სამეფოს) არსებობის შესახებ. შესაძლოა,  
საამისოდ ავტორი ტრადიციული მეხსიერების გარდა, ძველ რომე-  
ლიმე წყაროს თუ წყაროებსაც ეყრდნობოდა და მწიგნობრული  
გზითაც შესულიყო ეს ცნობა „ქართლის მოქცევაში“. ამრიგად,

<sup>3</sup> მ.ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1906 წ., გვ.52-53, 57-62.

<sup>4</sup> ს.ჯანაშია, შრომები, II, გვ.70

<sup>5</sup> ექ.თაყაიშვილი, საიდან და როგორ გაჩნდა „ქართლის მოქცევის“  
ქრონიკაში სახელწოდება „არიან ქართლი“? „საქართველოს სსრ  
მეცნ.აკად., მოამბე“, IX, 1948 წ., № 9-10.

<sup>6</sup> Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб. 1959 г.  
ст.278 – 279

„ქართლის მოქცევის“ მატიანით, ალექსანდრე მაკედონელამდე და მის დროს, ძვ.წ-ის IV საუკუნეში. დღევანდელი საქართველოს სამხრეთით, არსებობს ქართული სახელმწიფო, „არიან ქართლის“ სამეფო, რომელსაც სათავეში ჰყავს პოლიტიკური მესვეური, მეფე-მონარქი, და არა „სამხედრო დემოკრატიის“ ბელადი. მისივე მეორე ცნობით ძვ.წ-ის IV ს-ში, ალექსანდრე მაკედონელის დროს, „არიან-ქართლის“ სამეფოდან ქართველთა პოლიტიკური მიგრაციის გზით, ჩრდილოეთში, მცხეთის რეგიონის ქართლში წარმოიშვის მეორე ქართული სახელმწიფო, რომლის დედაქალაქ მცხეთაში ქართლის სამეფოს პირველ მეფედ ჯდება „არიან-ქართლის“ სამეფოს უფლისწული აზო.

„ქართლის მოქცევის“ ცნობით, ასე იშვა მეორე ქართული სახელმწიფო მცხეთის ქართლში.

**ბ) ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის  
წინა და საწყისი პერიოდი „ქართლის ცხოვრების“  
მიხედვით. „სამხედრო დემოკრატიის“ ქართული მოდელი**

მეორე გაცილებით დიდი ორიგინალური ქართული წერილობითი წყარო და, ამასთან, საკითხთან დაკავშირებით ჩვენი სპეციალური საკვლევე ძეგლი არის „ქართლის ცხოვრება“, მისი საწყისი ნაწილი – ლეონტი მროველის „ჰამბავი მეფეთა“, ანუ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, სადაც ფართოდ არის მოცემული ქართლის სახელმწიფოებრივი გენეზისისა და მისი წარმოშობის პროცესი. ამასთან, „ქართლის ცხოვრება“ თავის მხრივაც არის ზემოგანხილული „ქართლის მოქცევის“ საკონტროლო წყაროც.

„ქართლის ცხოვრების“ საწყისი ძეგლი მატიანის, ლეონტის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს მიხედვით, ქართლოსიანები (ქართველები) დღევანდელ ქართლში, ანუ ისტორიული „მცხეთის ქართლში“, ქართველთა ეთნარქმა ქართლოსმა მოიყვანა ძველისძველად, უხსოვარ დროს, არა „არიან-ქართლიდან“, არამედ არარატ-მასისის ქვეყნიდან, ლეონტის მიხედვით, ბიბლიური თოგორმადან გამოყვანილ თარგამოსიანთა გამრავლების შედეგად. „ქარ-



თლის მოქცევის” საპირისპიროდ, ლეონტის მიხედვით, ქართლო-სიანები აქ პირველმოსახლენი არიან. არ ჩანს, რომ ქართველებს აქ მოსვლისას სხვა ვინმე მოსახლეობა (ეთნოსი) დახვედროდეს.

ლეონტი, ქართლოსიანთა ქართლში დასახლებისას, აღნიშნავს ქართლის საზღვრებს: „აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისა (დებედა – დ.გ.), დასავლით ზღვა პონტოსი” (შავი ზღვა). ხოლო „სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის”.<sup>7</sup>

ქართლის აღმოსავლეთი და დასავლეთი საზღვარი გარკვევითაა ნათქვამი: აღმოსავლეთით – ჰერეთი, დასავლეთით შავი (პონტოს) ზღვა. ქართლის სამხრეთი საზღვარი კი მას ჰყოფდა პოსიანების სომხეთისაგან, „იწყებოდა მდ.ბერდუჯის სათავეებიდან და გაჰყვებოდა მტკვრისა და არაქსის აუზების წყალგამყოფს მთელს სივრცეზე მტკვრის სათავეების ჩათვლით (პროვინცია „კოლა”)”<sup>8</sup>, ხოლო აქედან – „მთას”, ქედს, რომელიც გადაჭიმული იყო ტაოსა და კლარჯეთს შუა ვიდრე შავ ზღვამდე.

ქართლის ჩრდილოეთის საზღვარს ლეონტი ნათლად არ აღნიშნავს: „ჩრდილოთ საზღვარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქვან ლიხი”.<sup>9</sup>

აქვე ლეონტი აღნიშნავს ქართველთა მეორე მთავარი ტომის ეგროსელების (ეგრისელების) ქვეყნის საზღვრებსაც: „აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვან ლიხი, დასავლით ზღვა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა”<sup>10</sup> (ე.ი. მდ.დონამდე).

<sup>7</sup> „ქართლის ცხოვრება”, I, გვ.4, ს.ყუხჩიშვილის გამოცემა.

<sup>8</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, „მეცნიერება”, 1977 წ., გვ.79

<sup>9</sup> „ქართლის ცხოვრება”, I, გვ.4-5.

<sup>10</sup> იქვე, გვ.5.

ლეონტის მიხედვით, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისისა და ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის ხანგრძლივი პროცესის საწყისი პირველი პერიოდი შემდეგნაირად წარიმართა.

იგი აღნიშნავს, რომ ქართველთა ტომის ბელადი ქართლოსი, სამხრეთიდან, არარატ-მასისის ქვეყნიდან მოსვლისას, ეუუძნება იმ ადგილს, სადაც არაგვი შეერთვის მტკვარს, – აქ მთაზე, ამჟამად არმაზი რომ ეწოდებაო. აშენებს სიმაგრეებს და სასახლურეზიდენციას და ამ მთას უწოდებს თავის სახელს „ქართლოსს“, – ქართლი. ასე ეწოდებოდა ამ მთას „ქართლი“ მანამდე, ვიდრე აქ შემდგომ ააგებდნენ არმაზის კერპს. ლეონტი აღნიშნავს, რომ ამ მთის სახელის „ქართლის“ გამო ეწოდა მთელ ქვეყანას, „ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანიტგან ვიდრე ზღუამდე სპერიისა“.

ქართლოსიანთა ეთნოპატრიარქმა ქართლოსმა, ლეონტის მიხედვით, აღაშენა აგრეთვე „ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვან სამშვილდე. და კუალად აღაშენა მტუერის ციხე, რომელსა აწ ჰქვან ხუნანი“.<sup>11</sup>

ქართლოსიანთა (ქართველთა) ტომი მრავლდება და თანდათან იკავებენ ახალ ტერიტორიებს და აშენებენ და აგებენ ახალ ციხე-ქალაქებს. ქართლოსის გარდაცვალების შემდეგ „ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი“.<sup>12</sup> დედა-ციხე – ჩანს კახეთში, ვახუშტის მიხედვით, დედა-ციხე ბოჭორმაა.

ლეონტის მიხედვით, ქართლოსის მეუღლეს თავისი ხუთი შვილისთვის გაუნაწილებია ქართლის ტერიტორია:

გაჩიოს მისცა ორბის ციხე (სამშვილდე) და ტერიტორია სკვირეთის (ვერე) მდინარიდან აბოცამდე. გაჩიოსმა აღაშენა „ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქვა სანადირო ქალაქი“.<sup>13</sup>

გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით მდინარე ბერდუჯი (დებედა), დასავლეთით ქალაქი გაჩიანი,

<sup>11</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.8

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> იქვე, გვ.9

სამხრეთით „მთა პირველ ხსენებულში“<sup>14</sup> („რომელი მიჰყვების ბერ-  
დუჯის თავსა“? – ქ-ს ც-ა, I, გვ.4), ჩრდილოეთით კი –  
მდ.მტკვარი.<sup>15</sup>

კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, ანუ რუსთავი; მისცა ტერი-  
ტორია არაგვიდან ჰერეთამდე, კახეთის მთასა და მტკვარს შუა.<sup>16</sup>

კახოსს მისცა ქართლის ტერიტორია კავკასიონის მთასა და  
კახეთის მთას შორის, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, მდ.  
არაგვიდან ვიდრე ტყეებამდე, რომელიც ჰერეთის დასავლეთის  
საზღვარი იყო. კახოსს აღუშენებია ჩელები, რომელსა „ბერ ერქუა  
პირველ შენებელსა კახეთისასა“.<sup>17</sup>

ხოლო ყველაზე უფროსი და უგმირესი შვილი ძმათა შორის  
მცხეთოსი დარჩა მამის რეზიდენციაში – არმაზში. მცხეთოსმა აქ,  
მტკვარისა და არაგვის შეერთების ადგილას აღაშენა ქალაქი და  
უწოდა თავისი სახელი მცხეთა. „და დაიპყრა ქუეყანა ტფილი-  
სითგან და არაგვთგან დასავლით ვიდრე ზღუამდე სპერისა“<sup>18</sup> ანუ  
შავ ზღვამდე.

ქართლოსის შვილებმა მიიღეს თავიანთი სამფლობელოები,  
მაგრამ ისინი ემორჩილებოდნენ უფროს ძმას მცხეთოსს, რომელიც  
მათი „განმგე და უფალი“ იყო. შემდგომში კიდევ უფრო მრავლ-  
დება ქართლოსიანები და ქართველი მოსახლეობა. „მცხეთოსის  
ქართლი“ სამ ნაწილად იყოფა მის შვილებს – უფლოსსა, ოძრკოს-  
სა და ჯავახოსს შორის. მცხეთოსის სამფლობელო ქართლიდან  
ოძრკოსს მიეცა ქვეყანა „ტასისკართგან ვიდრე ზღუამდე სპე-  
რისა“. მან აღაშენა ორი ციხე-ქალაქი ოძრკე და თუხარისი.

ჯავახოსს მიეცა ტერიტორია „ფანავრიტგან ვიდრე თავამდე  
მტკუარისა“. ჯავახოსს აღუშენებია ორი ციხე-ქალაქი: წუნდა და  
არტანი, რომელსა მაშინ რქმევია, ლეონტის სიტყვით, „ქაჯთა ქა-  
ლაქი, ხოლო აწ ჰქვან ჰური“.

---

<sup>14</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.8

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე, გვ.9

<sup>17</sup> იქვე

<sup>18</sup> იქვე, გვ.9

უფლოსი კი დარჩა მამის მცხეთოსის „საყოფელსა... მცხეთას“. „და ეპყრა ქუეყანა არაგვთგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრამდე“. მან აღაშენა ციხე-ქალაქები: უფლისციხე, ურბნისი, კასპი და თავის სამფლობელო ქვეყანას – „არაგვთგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე“ უწოდა ზენა სოფელი, რომელსაც ლეონტის განცხადებით, „აწ ჰქვან შიდა-ქართლი“.<sup>19</sup>

მაშასადამე, ლეონტის მიხედვით, ქართლოსის ერთიანი ქართლი ისტორიული და დემოგრაფიული განვითარების შედეგად დაიყო შვიდ კუთხურ-ტერიტორიულ ერთეულად: 1) მცხეთის ქართლი (უფლოსის), ანუ ზენა სოფელი, იგივე შიდა ქართლი, 2) კახეთი, 3) კუხეთი, 4) გარდაბანი, 5) ქვემო ქართლი (გაჩიოსი), 6) ოძრკე ანუ ზემო ქართლი და 7) ჯავახეთი.

დასავლეთ საქართველოში კი იყო ეგროსის ქართულ-კოლხური ქვეყანა.

დაბოლოს, აქ, ქართლოსიანებზე (ქართველებზე, ქართველ ხალხზე) საუბრისას, ლეონტი უძველესი ქართლის მეტად დიდმნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ სურათს წარმოგვიდგენს.

ლეონტი აღნიშნავს, რომ ქართლოსის უფროსი შვილის მცხეთოსის გარდაცვალების შემდგომ ტერიტორიულ კუთხეებად დანაწილებულ ქართველებს (ქართლოსიანებს) შორის დაიწყო ბრძოლა, უფროსად არავის ცნობდნენ, მათ შორის არც მცხეთოსის უფროს მემკვიდრე უფლოსს; დროა დრო, რომელიმე ორი კუთხე აღდგებოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, ხოლო დანარჩენი კუთხეებიდან ნაწილი ერთ მხარეს ემხრობოდა ბრძოლაში, ხოლო მეორე ნაწილი – მეორე მოწინააღმდეგეს. ურთიერთ ბრძოლების შემდგომ „რომელსაჲმე ჟამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის“, მაგრამ მერე „კვლავ შეიშალნიან და ებრძოდიან“.<sup>20</sup>

რაც უაღრესად და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ლეონტი მროველი, აქვე, ქართლოსიანებისა და უძველესი, წინაკლასობრივი მთელი ქართლის (მაგრამ ქართველთა ეთნიკურ-ტე-

<sup>19</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.9-10

<sup>20</sup> იქვე, გვ.10

რიტორიულ კუთხეებად დანაწილებულ) სოციალურ და პოლიტიკურ სურათს მეტად ტყეადი შინაარსითა და, შეიძლება ითქვას, თავის ეპოქასთან (XI ს.) შედარებით მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის კონცეფციური თვალსაზრისით გადმოგვეცემს: „და გაგრძელდა მათ (ქართველებს – დ.გ.) შორის ესევეთარი საქმე, და არაეინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა. და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა. რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებული იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედა-ქალაქად“.<sup>21</sup>

ლეონტი მროველის ამ მეტად დიდმნიშვნელოვან რეზიუმირებულ კონცეფციურ თვალსაზრისს ჩვენ ქვემოდ საგანგებოდ შევეხებით, აქ კი კვლავ მივყვეთ ლეონტის მოცემულ ქართლოსიანთა უძველეს ისტორიას, რომელიც ეხება ძვ.წ-ის I ათასწლეულს.

ლეონტისეული თხრობით, ქართლისა და ქართლოსიანთა ისტორიის შემდგომი პერიოდია ალექსანდრე მაკედონელამდე. მისი თხრობა ამ პერიოდზე ლეგენდარულია, ზოგჯერ ანაქრონისტულიც, თუმცა ისტორიული რეალიებიც არის ასახული. ლეონტი აქ ცდილობს ქართლი და ქართველები მსოფლიო ისტორიის ჭრილში წარმოაჩინოს.

ალექსანდრე მაკედონელამდე ლეონტი ლაპარაკობს, ხაზარების გამოსვლაზე მსოფლიო ასპარეზზე, დარუბანდის გზით გამოლაშქრებით მათ შემოსვლაზე ამიერკავკასიაში, არარატ-მასისის ქვეყნის სომხეთის აოხრებას, შემდგომ კი როგორც დარუბანდის, ისე „არავგის-კარის“ (დარიალის) გზითაც „ხაზართა“ ქართლში შემოჭრას, მის აოხრებას და მთელი ამიერკავკასიის ხალხთა დახარკვას. ლეონტით, ხაზარების, ნათესავნი არიან „ოესნი“ (ოსები).<sup>22</sup> ისტორიულ მეცნიერებაში (ქართულ, უცხ-

<sup>21</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.11

<sup>22</sup> იქვე, გვ.11-12

ოურ) დიდი ხანია აღნიშნულია, რომ ლეონტიანთან „ხაზარებში“ სკვითები და კიმერიელები იგულისხმება, რომელთა შემოსევებს ამიერკავკასიასა და წინა აზიაში ადგილი ჰქონდა ძვ.წ-ის VIII-VII სს-ში<sup>23</sup>. უფრო, ჩვენი და, ასევე, სხვა მკვლევართა აზრით, ლეონტიანთან აქ „ხაზარებში“ სკვითები იგულისხმება, რომელნიც ამიერკავკასიაში სწორედ ლეონტის მიერ აღნიშნული დარუბანდისა (კასპიისპირეთის) და დარიალის გზით შემოიჭრნენ ძვ.წ-ის VII ს. შუა ხანიდან. კიმერიელები კი შავიზღვისპირეთის გზით შემოესიენ კოლხეთის სამეფოსა და წინა აზიის სხვა ქვეყნებს უფრო ადრე, ძვ.წ-ის VIII ს-ის ბოლო მეოთხედში.

მემატიანე აღნიშნავს „ხაზართა“ (სკვითები) ხშირ ლაშქრობებს ამიერკავკასიაში, რის გამო მისი მოსახლეობა („თარგამოსიანები“) მათ შორის, „ქართლოსიანები“ – ქართველები, მათი მოხარკე გახდა. ასე გაგრძელდა „ჟამნი მრავალნი“-ო.<sup>24</sup> თუმცა ისტორიოგრაფიაში მკვლევართა მიერ დადგენილია წინა აზიაში სკვითთა მფლობელობის მხოლოდ 28-წლიანი პერიოდი (დაახლოებით 30 წელი).<sup>25</sup>

ლეონტი აღნიშნავს, რომ შემდგომში გაძლიერდნენ სპარსნი („ნათესავნი ნებროთისნი“), და იწყება სპარსთა ჰეგემონობა. მათი მეფე აფრიღონი იპყრობს რიგ ქვეყნებს, მათ შორის ქართლს, სადაც ერთიანად სპობს „ხაზარებს“. შემდგომ სპარსეთში დაიწყო არეულობა, ბრძოლა აფრიღონის შვილებს შორის, რითაც ისარგებლეს ქართველებმა, ჩრ.კავკასიიდან, ჩანს, დაიქირავეს – „გარდამოიყვანეს ოვსნი“ და გაერთიანებული ძალებით დაამარცხეს ბრძოლაში სპარსელნი და „განთავისუფლდეს ქართველნი“

<sup>23</sup> С.Баратов, История Грузии, тет. I, СПб., 1865 г., ст. 10–11; დ.ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ. 1889 წ., გვ.45; Г.Мелики – швили, К истории древней Грузии, Тб., 1959 г., ст. 35; ო.ლორთქიფანიძე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის (ლეონტი მროველის ცნობები „მცხეთელი მამასახლისის“ შესახებ), საქ.სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. XXIX, № 6, 1962, გვ.803-804; В.Ковалевская, Скифи, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по Леонтию Мровели, „მაცნე“, ისტ.სერია, 1975 წ., № 3, გვ.62.

<sup>24</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.12

<sup>25</sup> В.Ковалевская, დასახ.ნაშრომი, გვ.68

სპარსეთის ბატონობისგან. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ გაძლიერებული სპარსეთი კვლავ იპყრობს ქართლს და მოხარკედ ხდის მას. მცირე ხნის შემდეგ კი მდგომარეობა კვლავ იცვლება. ლეონტი პროველი უკვე მოგვითხრობს სპარსეთის ლეგენდარული მეფის ქაიხოსროს (შიოშის ძის) მიერ თურანელი თურქების და მისი მეთაურის აფრასიაბის სასტიკ დამარცხებას და, ამასთან, აღმოსავლეთიდან გურგანის (კასპიის) ზღვის გამოვლით და მტკვრის ამოყოლით დევნილი თურქების ქართლში შემოხიზნებას, – მათ აღთქმას ქართველთადმი მტრებთან ბრძოლაში დახმარებაზე, მათ მიღებას და დასახლებას მცხეთის მამასახლისის მიერ, მათ დამეგობრებას ქართველებთან,<sup>26</sup> რაც ისტორიული სინამდვილე არაა. ამ ამბის წყარო ლეონტისა, როგორც გამორკვეულია, არის ძვ.წ-ის I ათასწლეულში შექმნილი ირანელთა რელიგიის ზოროასტრიზმის უძველესი ლიტერატურული ძეგლი „ავესტა“ (ჩაწერილია ძვ.წ-ის III ს-ში, ხოლო საბოლოოდ ჩამოყალიბებული ახ.წ-ის VI ს-ში),<sup>27</sup> ასევე, ლეონტის ამავე ლეგენდის წყაროა ფირდოუსის „შაჰნამე“, რომელიც 1010 წელს დასრულდა.<sup>28</sup>

ლეონტის ეს წყაროები თავისებურად გადაუკეთებია და ქართლთან მათი მიმართება გამოუგონია, ან ქართლში, ხალხში არსებული ლეგენდებით გაუმართავს და შეუვსია.

აღსანიშნავია, რომ ო.ლორთქიფანიძის ვარაუდით, ლეონტი პროველის აღმოსავლეთიდან „ოტებული“ (გამოქცეული) „თურქების“ ამბავში, შესაძლოა, გამოძახილი იყოს აქემენიდური ირანის მმართველის დარიოს I ძლევამოსილი ლაშქრობა შუა აზიაში მოსახლე სკვითური ტომების – საკებისა და მასაგეტების ქვეყანაში ძვ.წ-ის 517 წელს და რომ, როგორც ცნობილია ამ დროიდან იწყება ამ „სკვითური ტომების მოძალევა წინა აზიისაკენ“.<sup>29</sup> მნი-

<sup>26</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.14-15

<sup>27</sup> И.Брагинский, Из истории таджикской поэзии, 1956 г., გვ.193,194, 275 – 286; გ.მამულა, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, „მეცნიერება“, თბ., 1979 წ., გვ.150.

<sup>28</sup> კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1951 წ., გვ.218; გ.მამულა, დასახ.ნაშრომი, გვ.150-151

<sup>29</sup> ო.ლორთქიფანიძე, დასახ.ნაშრომი, გვ.804-805

შენელოვანი მოსაზრებაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ არც ლეონტისთან და არც მის წყაროებში („შაჰნამე“, „ავესტა“) თურანელი თურქების წინააღმდეგ სპარსთა ბრძოლებისას არც მეფე დარიოსი იხსენიება და არც მისი ლაშქრობა. ასეთ შემთხვევაში უნდა დაგვეშვა, რომ ლეონტის წყაროში „შაჰნამეში“ სპარსეთის ლეგენდარული მეფე ქაიხოსროს თურანელი თურქების წინააღმდეგ ბრძოლის ამბებში დარიოსის ლაშქრობა იგულისხმება საკებისა და მასაგეტების ქვეყანაში. ასეთი დაშვება კი სპეციალისტ-მკვლევართ, ჩანს, შესაძლებლად არ მიაჩნიათ.

მკვლევარ ვ.კოვალევსკაიას აზრით კი, აქაც ლეონტისთან ისტორიული რეალობაა ასახული. სახელდობრ, ლეონტის სპარსეთის მეფე ქაიხოსრო, ეს არის ძვ.წ-ის VII-VI სს-ის მიდიის ხელმწიფე, ჰეროდოტეს „ისტორიის“ ყიაღსარი (Κινακσαρ), რომელმაც ძვ.წ-ის 585 წ. წინა აზიაში, მიდიის და ასურეთის საზღვრებთან (შუამდინარეთისა და სპარსეთის ყურის რეგიონში) საბოლოოდ გაანადგურა და აქედან განდევნა სკვითები, რომელთა ნაწილი ჩრდ.კავკასიაში წავიდა, ნაწილი დარჩა წინა აზიაში დაქირავებული მეომრების სახით, ხოლო ნაწილი კი დასახლდა ამიერკავკასიაში. მისი აზრით, ლეონტი მროველთან, აქაც, სპარსეთის მეფის ქაიხოსროს მიერ განდევნილ „თურქებში“, – რომელნიც მცხეთის მამასახლისმა მიიღო და დაასახლა ქართლში, – კვლავ სკვითები იგულისხმებაო.<sup>30</sup>

ეს კი მართებული ვერაა, რადგან ლეონტის წყაროებში, – „ავესტასა“ და „შაჰნამეში“ გარკვევით აღწერილია სულ სხვა ამბავი: სპარსეთის ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომები თურანელებთან, თურანის ქვეყანასთან, რომელიც სპარსეთის ჩრდილოაღმოსავლეთ საზღვართან მდებარეობდა; ბოლოს კი, სპარსეთის ლეგენდარული მეფის ქაიხოსროს მიერ თურანელი თურქების სასტიკი დამარცხება, მათი წინამძღოლის აფრასიაბის მოკვლა და თურქების განდევნა, ხოლო ლეონტი მროველმა წყაროების ლეგენდარული ამბების თავისებური გამართვით, ანდა ქართლში ლიტერატურული თუ ზეპირი გზით შემოსული და ხალხში არსე-

<sup>30</sup> В.Ковалевская, დასახ.ნაშრომი, გვ.68-69



ბული ლეგენდით, დევნილი თურქები აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვის გამოვლით ქართლში მოიყვანა და აქ მცხეთის მამასახლისს დაასახლებინა.

მიდიის მეფის, პეროდოტესეული ყიალსარის მიერ ძვ.წ-ის 585 წელს სკვითების განადგურება და განდევნა წინა აზიიდან კი, – ეს სულ სხვა საპირისპირო გეოგრაფიულ რეგიონში მოხდა და სულ სხვა რიგის მოვლენაა. ამდენად ლეონტის, ანუ „ავესტა“- „შაჰნამეს“ სპარსეთის მეფის ქაიხოსროს მიდიის ხელმწიფის ყიალსართან გაიგივება, ზოლო თურანელი „თურქებისა“ – ასურეთის საზღვრებთან მესოპოტამია-სპარსეთის ყურის რეგიონში მყოფ სკვითებთან ასევე გაიგივება, გაუმართლებელი ჩანს.

თუ ჩვენ მაინცდამაინც გვსურს ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ სპარსეთის მეფის ქაიხოსროს ძვ.წ-ის VII-VI სს-ს მიდიის მეფე ყიალსართან, ზოლო ლეონტის „თურქების“ სკვითებთან გაიგივება, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულად საჭიროა დასაბუთდეს თვით ლეონტის წყაროებში, – „ავესტა“- „შაჰნამეში“ მოცემული სპარსეთის მეფის ქაიხოსროს მიდიის მეფე ყიალსართან, ზოლო თურანელი თურქების ძვ.წ-ის VI ს-ში წინა აზიიდან განდევნილ სკვითებთან გაიგივება, რაც საეჭვოა მკვლევარებმა მიიღონ. ამიტომ, ამ შემთხვევაში ვ-კოვალევსკიას თვალსაზრისი არგუმენტირებული და დამაჯერებელი ვერაა.

დაბოლოს, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე ქართლის და ქართლოსიანთა ისტორიის თხრობისას, ლეონტი აღნიშნავს, რომ ქართლში „თურქთა“ შემოხიზნების შემდეგ დიდი დრო („ჟამნი მრავალნი“) გავიდა. მაშინ ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა ააოხრა და დაანგრია იერუსალემი და იქედან დევნილი ურიები მოვიდნენ ქართლს, რომელნიც მცხეთის მამასახლისმა, ხარკის გადახდის პირობით, დაასახლა მდ.არაგეთან, ზანაუზე.<sup>31</sup> ეს ისტორიული ფაქტი, მოვლენა, მართლაც იყო ძვ.წ-ის VI საუკუნეში, – ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ ძვ.წ-ის 588 წელს იერუსალემის დანგრევა, რასაც მოჰყვა ებრაელების „დიდი გადასახლება“, გაფანტვა, სხვადასხვა ქვეყნებში. ლეონტის ეს

<sup>31</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.15-16

ცნობა და, ასევე, ის, რომ ეს მოვლენა ალექსანდრე მაკედონელ-  
ამდე მოხდა, სავსებით სწორია. ასევე, სწორი უნდა იყოს, ნაბუქო-  
დონოსორის მიერ იერუსალემის დანგრევის შემდეგ, დევნილი  
ებრაელთა ნაწილი სწორედ მაშინ, ძვ.წ-ის VI ს-ში მოსულიყო და  
დასახლებულიყო ქართლს.

\* \* \*

მსოფლიოს პოლიტიკური ისტორიის ჭრილში ქართლისა და  
ქართლოსიანების აღნიშნული თავგადასავლის თხრობის შემდეგ,  
ლეონტი მროველი ასახავს ქართველი ხალხის ისტორიის ეპოქა-  
ლურ ტეხილს – ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას ქართველ  
ტომთა ტერიტორიაზე ამიერკავკასიაში, ალექსანდრე მაკედონე-  
ლის დროს.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ ქართლის სახელმწიფოს წარმო-  
ქმნის პროცესს შევეხებოდეთ, ამჟამად ჩვენ დაწვრილებით და სა-  
ფუძვლიანად უნდა განვიხილოთ ალექსანდრე მაკედონელამდელი  
ეპოქის ქართლისა და ქართლოსიანების სოციალური სტრუქტ-  
ურის ლეონტისეული სურათი, წარმოვაჩინოთ მის მიერ დახატ-  
ული წინასახელმწიფოებრივი პერიოდის ქართლის საზოგადოება,  
ასევე მისი სახელმწიფოებრივი გენეზისი, ამისათვის აქ კვლავ  
უნდა ავლნიშნოთ ლეონტის მიერ ლაკონურად, რეზიუმირებული  
სახით მოცემული ქართლის სოციალური სტრუქტურა, რომელიც,  
მისი თხრობით თავსდება ძვ.წ-ის I ათასწლეულის პირველ საუ-  
კუნეებში, სკვითების (ლეონტით „ხაზარების“) შემოსევამდე ამიერ-  
კავკასიაში, ანდა უფრო ადრეულ ხანაშიც.

როდესაც წინაკლასობრივი ქართლოსიანები (ქართველები)  
ქართლის დიდ ტერიტორიაზე ეთნიკურ კუთხეებად დაიყო, ლეონ-  
ტი მროველის შეხედულებით: „არაჲინ იყო მათ შორის უწარჩინე-  
ბულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი  
იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის  
ყოველთა მათ სხუათა ზედა. და არცა სახელ-ედებოდათ მფფედ,  
არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის  
მაზაკებელ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა. რამეთუ ქალაქი მცხე-

თა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედა-ქალაქად”.

ლეონტის მიერ მოცემული წინაკლასობრივი ქართლის ეს სურათი ნათლად არის ქართული გვაროვნული საზოგადოების განვითარების უმაღლესი საფეხური – „სამხედრო დემოკრატიის” ეპოქა; კიდევ მეტი, ჩვენი აზრით, იგი ამ ეპოქის დასასრული და ქართლში სამხედრო დემოკრატიიდან სახელმწიფოს წარმოქმნის ეტაპია. ლეონტით, „ყოველი ქართლი” (ხუნანითგან შავ ზღვამდე) ამ ხანაში დაყოფილია ეთნო-კუთხეებად: მცხეთის ქართლი – არაგვიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით შავ ზღვამდე, გაჩიანის მხარე (ქვემო ქართლი, ისტ.სამშვილდის საერისთავო), გარდაბანი (ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთი განაპირა მხარე), კუხეთი, კახეთი. საკუთრივ „მცხეთის ქართლი” კიდევ სამად გაიყო: „ზემო ქართლად” (ოძრკეს) – ტასისკარიდან შავ ზღვამდე, ჯაფახეთად და შიდა ქართლად – არაგვ-არმაზიდან ტასისკარამდე, რომელსაც, ლეონტით, ადრე ერქვა „ზენა სოფელი”, ხოლო მის დროს – შიდა ქართლი.

მთელი ქართლის ტერიტორიაზე, ლეონტის მიხედვით, ამ ხანაში, რომელსაც ჩვენ სამხედრო დემოკრატიის ხანად მივიჩნევთ, მრავალი ციხე-ქალაქია: ორბი (სამშვილდე), მტკვერის ციხე (ხუნანი), დედა-ციხე, ქართლი (არმაზი), ბოსტან-ქალაქი (რუსთავი), სანადირო ქალაქი (გაჩიანი), ჩელეთი (ბერ), მცხეთა, უფლისციხე, ოძრკე, თუხარისი, წუნდა, არტაანი (ქაჯთა ქალაქი), ურბნისი, კასპი.

ცხადია, ლეონტის არ შეეძლო ზემოჩამოთვლილი ციხე-ქალაქების წარმოქმნის ზუსტი, გნებავთ მიახლოებითი, თარიღები სცოდნოდა (ამას მხოლოდ დღევანდელი მეცნიერული არქეოლოგია ადგენს), მაგრამ „მეფეთა ცხოვრების” მემატიანეს ეს ციხე-ქალაქები ზოგადად ძველის-ძველად მიაჩნია, რაშიც ნაწილობრივ იგი სწორია. თანამედროვე არქეოლოგიური გამოკვლევებით, ქართლის ტერიტორიაზე უძველესი ციხე-ქალაქებია: უფლისციხე, არმაზი, მცხეთა, ურბნისი, კასპი, სამშვილდე და სხვა, რომელთაგან ზოგიერთი სამხედრო დემოკრატიის დროინდელი შეიძ-

ლება იყოს. მაგალითად, უფლისციხე ძვ.წ-ის VII საუკუნის დრო-  
ისაა.

ასევე, ცხადია, ლეონტის, თავისი დროის ისტორიული  
მეცნიერების დონის პირობებში, არც ის შეეძლო მის მიერ დასურ-  
ათებული წინაკლასობრივი, ანუ მისი აზრით, „მეფობამდელი ხა-  
ნის“ ქართლის საზოგადოების (ჩვენ რომ სამხედრო დემოკრატიად  
მივიჩნევთ) სწორი, ზუსტი, ქრონოლოგიური მიჯნები მოეცა, თუ-  
მცა ამ საზოგადოების ბოლო პერიოდის მიჯნას ის განსაზღვრავს  
და მას ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის საწყის პერიოდზე ამთ-  
ავრებს. თუმცა, ცხადია, ქართლის ასეთი ისტორიული ვითარება –  
გვაროვნული საზოგადოების განვითარების უმაღლესი საფეხური  
ანუ სამხედრო დემოკრატიის ეპოქა და ქართული სახელმწიფოს  
წარმოქმნის საწყისი ეტაპი, შესაძლოა, ალექსანდრე მაკედონელ-  
ამდე გაცილებით ადრეულ ხანაში არსებულიყო.

ლეონტის კონცეფციით, წინაკლასობრივ ქართველთა ზემო-  
აღნიშნულ კუთხურ-ეთნიკურ საზოგადოებებში (ასეთი შეიძლება ტერ-  
მინოლოგიური ერთეულია) „არავენ იყო მათ შორის უწარჩინე-  
ბულები“, ანუ, ჩვენი აზრით, მემკვიდრეობითი წოდებრივი წარჩი-  
ნებული, მაგრამ ამ საზოგადოებებში იყვნენ „თავადები“, ანუ  
კუთხეების საგვარეულო უხუცესები (თავკაცები), რომლებიც,  
ჩანს, ჯარის მხედართმთავრებიც იყვნენ და, შესაძლოა, ქურუ-  
მებიც. ხოლო ვინც იჯდა მცხეთას „თავადი“, იგი იყო დანარჩენი  
ქართლოსიანთა კუთხეების საგვარეულო საზოგადოებების უხუ-  
ცესი, უფროსი, რომელიც არც „მეფედ“ და არც „ერისთავად“ არ  
იწოდებოდა, ანუ კლასობრივი საზოგადოების ქვეყნის პოლიტი-  
კურ და ადმინისტრაციულ ხელისუფალთა ტერმინებით, არამედ  
„მამასახლისად“ იწოდებოდა.

უნდა აღინიშნოს, ზოგჯერ მცხეთის მამასახლისს „მეუფე  
მამასახლისს“ უწოდებენ, რაც მართებული არაა. როგორც სა-  
მეცნიერო ლიტერატურაში სწორად აღნიშნეს, „მეუფე მამა-  
სახლისი“ არცერთ წყაროში არ იხსენიება და იგი ხელოვნურად

შექმნილი ტერმინია.<sup>32</sup> ჩვენი აზრით, იგი არც ტექნიკურ ტერმინად გამოდგება, რადგან „მეუფე“ სემანტურად „მეფეს“ უკავშირდება. თუ მაინცადამაინც, „მცხეთის მამასახლისის“ ქვეყნის უფროსად წარმოსახვისას, მას „ქართლის უფროსი მამასახლისი“ უნდა ეწოდოს.

ლეონტის მიხედვით, „მამასახლისი“ აქ უკლასო, გვაროვნული საზოგადოების უფროსის ტერმინია, რადგან მას უპირისპირებს კლასობრივი საზოგადოების ხელისუფალ-სუვეერენის ტერმინებს – „მეფეს“ და „ერისთავს“. თუმცა, ისიც შესაძლოა, ტერმინი „ერისთავი“ უკლასო, გვაროვნულ საზოგადოებაშიც არსებულიყო და იგი სწოდებოდა გვაროვნული კუთხეების ეთნოსთა უხუცეს-თავკაცებს, და ეს ტერმინი აქედან შემდგომ კლასობრივ საზოგადოებაშიც გადმოსულიყო, სადაც უკვე კლასობრივი შინაარსის დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ „მეფის“ და „ერისთავის“ ტერმინები ლეონტის მიაჩნია კლასობრივი საზოგადოების, მეფობისა და სახელმწიფოს დროის შინაარსის ტერმინებად და მათ უპირისპირებს უკლასო გვაროვნული საზოგადოების ხელისუფალთა ტერმინებს – „მამასახლისს“ და „თავადს“. მთავარი ესაა (შინაარსი), თორემ თვით ეს ტერმინებიც: „მამასახლისი“, და „თავადი“ კლასობრივ, სახელმწიფოებრივ, პერიოდშიც გადავიდნენ და აქ უკვე კლასობრივი შინაარსის დატვირთვა მიიღეს. ამასთან, მთავარი აქ ისაა, რომ ლეონტი განარჩევს წინაკლასობრივ გვაროვნულ საზოგადოებას (თუმცა იგი მას „გვაროვნული“ ტერმინით არ მოიხსენიებს) და მისი მმართველობის ინსტიტუტს კლასობრივ-სახელმწიფოებრივი მმართველობისაგან.

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ლეონტის მიხედვით, ჩანს, ქართველ ტომთა კუთხურ-ეთნიკურ საზოგადოებებს ჰქონიათ საკავშირო საბჭო, რომლის ცენტრი მცხეთა იყო. საკავშირო საბჭოს ჰყავს უხუცესი – „მცხეთის მამასახლისი“, რომელიც მემამულიანის მიხედვით, განაგებდა ქართველ ტომთა ყველა საქმეს, როგორც საშინაო, ისე, მათ ურთიერთობებს უცხო ტომებთან: „იგი იყვის

<sup>32</sup> ო.ლორთქიფანიძე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, საქ.სსრ მეცნ.აკად. მოამბე, XXIX, № 6, 1962 წ., გვ.799-800.

მაზავებელ და ბჭე”, ანუ მოსამართლე და მსაჯული „სხუათა ქართლოსიანთა”. მცხეთის მამასახლისის ასეთი უფროსობა ქართველ ტომებზე გამოუწვევია იმას, რომ მცხეთა სხვა ქალაქებთან შედარებით „განდიდებული იყო” და „უწოდებდნენ დედა-ქალაქს”. ამასთან უნდა ვიფიქროთ, „მცხეთის მამასახლისი” ქართველ ტომთა საკითხ-საქმეებს არჩევდა, განაგებდა და წყვეტდა ქართველ ტომთა გვაროვნულ-სატომო არისტოკრატიისაგან შემდგარ საკავშირო საბჭოსთან ერთად. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების” სომხურ თარგმანში (XII ს.) მცხეთის მამასახლისზე აღნიშნულია, რომ იმ „თავადს” (Իշխան-იშხან), რომელიც იქ (მცხეთას – დ.გ.) იჯდა მთელი ქვეყნის მამასახლისი (Տահմուսիք-ტანუტერ) ეწოდებოდა”.<sup>33</sup> ასევე ესმოდა „მცხეთის მამასახლისის” სტატუსი XIII ს-ის ისტორიკოსს სტეფანოს ორბელიანსაც: ქართველებს „ვინადთგან არა ჰყუნდათ მეფე და იმყოფებოდა მამასახლისი ქართლისა დიდსა ქალაქსა ამას მცხეთას”.<sup>34</sup> შესაძლოა, იგი მართლაც, მთელი „ქართლის უფროსი მამასახლისი” ყოფილიყო, რახან იგი „მაზავებელ და ბჭე” იყო ყოველთა („სხუათა”) „ქართლოსიანთა” ქართლის ყველა კუთხისა.

ქართლის ეთნიკურ-ტერიტორიული კუთხეების (ასეთია 7) „მამასახლისი”-„თავადები” (უხუცესები), აღინიშნა ჩანს, იყვნენ ამ ცალკეული კუთხეების ქართული საზოგადოებების მხედართმთავრები (ჯარის უფროსები), ასევე, ჩანს, მოსამართლე და ქურუმებიც. ლეონტი გვაუწყებს, რომ ამ კუთხეებს შორის იყო ხშირი ომები.

ლეონტის მიერ დახატული ძველი ქართული წინაკლასობრივ-წინასახელმწიფოებრივი სურათი, – „მამასახლისობის ხანა”, – ტიპიური გვაროვნული წყობილების „სამხედრო დემოკრატიის”

<sup>33</sup> ილ.აბულაძე, „ქართლის ცხოვრების” ძველი სომხური თარგმანი, თბ., 1953 წ., გვ.14

<sup>34</sup> სტეფანოს ორბელიანი, ცხოვრება ორბელიანთა, ელ.ცაგარეიშვილის გამოცემა, თბ., „მეცნიერება”, 1978 წ., გვ.25.  
„მცხეთის მამასახლისი” „ქართლის ცხოვრებაში”, ლეონტისთან, იხსენიება როგორც „მცხეთის”, ისე „მცხეთელთა მამასახლისი” და „მცხეთელი მამასახლისი”.

ხანაა, უფრო სწორად, კიდევ მეტი, „სამხედრო დემოკრატიის“ უმაღლესი საფეხურის – გვაროვნული საზოგადოების რღვევის, კლასობრივ წყობილებაზე გადასვლისა და სახელმწიფოს წარმოშობის პერიოდი, ისეთი, როგორც ეს თავის დროზე იყო საბერძნეთსა (ათენი) და რომში, თუმცა ზუსტი პარალელური მოდელის განსაზღვრა და გავლება ძნელია.

ძველ საბერძნეთში, როგორც ეს ყველაზე ნათლად ფრ.ენგელსმა წარმოაჩინა, ძვ.წ-ის VIII-VII სს-ში ტომებად გაერთიანებულ ხალხთა გვაროვნული საზოგადოების „სამხედრო დემოკრატიის“ წყობილება ასეთი იყო: 1. ხალხთა ხელისუფლების მუდმივი ორგანო იყო გვარების უხუცესებისაგან შემდგარი საბჭო (bule). 2. უმაღლესი ინსტანციის სუვერენული ხელისუფლება იყო სახალხო კრება (agora), რომელიც მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად იწვეოდა. ყოველ მამაკაცს შეეძლო სიტყვა აელო და ყოველი სრულასაკოვანი მამაკაცი მეომრად ითვლებოდა. 3. სამხედრო დემოკრატიის საზოგადოების ჯარს ჰყავდა მხედარმთავარი (basileus), რომელსაც, ჩანს, ირჩევდა ან სახალხო კრება, ანდა ხალხის აღიარებული ორგანო – გვარების უხუცესთა საბჭო – ბულე. საზოგადოებრივი წესწყობილების მმართველობის ასეთივე ორგანიზაცია იყო გვაროვნული საზოგადოების უმაღლესი საფეხურის „სამხედრო დემოკრატიის“ ხანაში ძველ რომში ძვ.წ-ის VII-VI სს-ში და ძველ გერმანელებში. რომში – 1. უხუცესთა საბჭო (სენატი, სიტყვისაგან cenex – მოხუცი), 2. სახალხო კრება (კურიების კრება), 3. ჯარების მხედარმთავარი – „rex“. როგორც ბასილევსი, ასევე „rex“-სი სამხედრო დემოკრატიის პერიოდში მეფეები (მონარქი) არ იყვნენ.

ეს იყო სახალხო ხელისუფლება, ხალხისაგან გამოყოფილი „საჯარო ხელისუფლება“ კი (სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანი) ჯერ არ არსებობდა: მაგრამ გვაროვნული წყობილების ამ უმაღლეს საფეხურზე ჩანდა უკვე ქონებრივი დიფერენციაცია, წარჩინებულთა ძლიერი ოჯახების გაჩენა, გვარიდან უხუცესის არჩევა ერთი და იგივე ძლიერი ოჯახიდან და, ამრიგად, სატომო არისტოკრატიის გაჩენა. გვაროვნული წყობილების „სამხედრო დემოკრატია“ უკვე სახელმწიფოდ გარდაქმნის ზღურბლზე იდგა.

დაახლოებით, არსებითად, ასეთ ისტორიულ ვითარებას გვი-სურათებს ლეონტი მროველი ძველ წინასახელმწიფოებრივ ქარ-თლში ძვ.წ-ის I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში, ან უფრო ადრეულ ხანაში, სახელდობრ, ძვ.წ-ის VII-VI სს-ის წინარე ხანაში, კერძოდ, ვიდრე სკვითები (ლეონტით „ხაზარები“) შე-მოესეოდნენ ამიერკავკასიას (VII ს.) და ვიდრე ბაბილონეთის მეფე ნაბუქოდონოსორი ძვ.წ-ის 586 წელს იერუსალიმს აიღებდა, და-ანგრევდა და აქედან ლტოლვილი ებრაელების ნაწილი ქართლში შემოესიზნებოდნენ.

მაშასადამე, ლეონტი მროველის ცნობებით, „მცხეთელი მა-მასახლისის“ ინსტიტუტი და მისი მოღვაწეობის პერიოდი ქრონო-ლოგიურად ოთხი საუკუნით მაინც წინ უსწრებს ქართლის სა-მეფოს წარმოქმნას, რაც ძვ.წ-ის IV-III სს-ის მიჯნაზე მოხდა. ცხადია, „მცხეთელთა მამასახლისის“ ძველი გვაროვნული ინსტი-ტუტის არსებობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ლეონტით, ქართლის სამეფოს წარმოქმნაა, ძვ.წ-ის IV-III სს. მიჯნა, ხოლო მისი ზედა ზღვარი ლეონტის მიხედვით არის, სულ მცირე, ძვ.წ-ის VII ს. შუა ხანა – ამიერკავკასიასა და ქართლში „ხაზართა“ (სკვითების) შემოსევამდე, რადგან „მცხეთელი მამასახლისის“ საქმიანობას ქართლოსიანებში იგი მოგვითხრობს ძვ.წ-ის VII ს. შუა ხანამდე, სკვითების ამიერკავკასიაში შემოსევამდე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლეონტის „მცხეთელი მამასახლისის“ წარმოქმნის საწყის ხანად ძვ.წ-ის VII საუკუნე მიაჩნდა. ჩანს, იგი საამისოდ გაცილებით ადრეულ ხანას მიიჩნევდა. მართალია, „მცხეთელი მამასახლისის“ ინსტიტუტის წარმოშობის საწყისი ხანა ლეონტის ცნობებში არ ჩანს, მაგრამ ისტორიულ სინამდვი-ლეში „მცხეთელი მამასახლისის“ სოციალური ინსტიტუტის გა-დატანა ქრონოლოგიურად ძვ.წ-ის VII საუკუნიდან გაცილებით ადრეულ ხანაში უნდა მოხდეს, კერძოდ, ძვ.წ-ის I ათასწლეულის დასაწყისამდე, რადგან გვაროვნული საზოგადოების განვითარების უმაღლესი საფეხური – „სამხედრო დემოკრატია“ (სახელმწიფოს წარმოქმნის პერიოდი), რომელსაც ჩვენ ლეონტის ცნობის „მცხე-თელი მამასახლისის“ ინსტიტუტს ვაკუთვნებთ, ქართლში ძვ.წ-ის II ათასწლეულში მაინც უნდა წარმოქმნილიყო.



„ზაზართა“ (სკვიტების) შემოსევამდე, ლეონტის მიხედვით, როგორც დავინახეთ, ქართლი დაყოფილია შვიდ კუთხურ ერთეულად. ქართლოსიანთა ეს კუთხეები ერთმანეთს ხშირად ებრძვიან, ხან წყნარდებიან და ზავით და მშვიდობით ცხოვრობენ. ქართლოსიანთა საზოგადოება გეაროვნულ-წინაკლასობრივია: არავინ არის მათ შორის წარჩინებული, ე.ი. წოდებრივად დაყოფილი არაა, არ ჰყავთ კლასობრივი საზოგადოების პოლიტიკური სახელმწიფო მესვეური „მეფე“ და არც ასეთი საზოგადოების ადმინისტრაციული მოხელე „ერისთავები“. ქართლოსიანები (ძველი ქართველები) ორგანიზებულნი არიან სატომო-გეაროვნული ორგანიზაციებით და შესაბამისი მმართველობით: ჰყავთ კუთხეების სატომო-საგეარეულო უხუცესები – „თავადები“ (ლეონტის ტერმინით), მათ შორის დაწინაურებულია „მცხეთის ქართლი“ ქ.მცხეთის რეზიდენციით, რომლის „მამასახლისი“ არის უფალგამგებელი (არა მეფე) დანარჩენი ექვსი კუთხის ქართველებისაც, იგი არის მათი „მაზავებელი და ბჭე“ (მოსამართლე). უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არის, ასევე, ყოველი ქართლოსიანთა ტომთა კავშირის მხედართმთავარიც (ბაზილევსი).

თუმცა ლეონტი არ აღნიშნავს, მაგრამ საფიქრებელია, რომ მცხეთის მამასახლის-მხედართმთავართან არსებობდა ქართველ ტომთა (ერთ ეთნოსიანი – საერთო ენით) საკავშირო საბჭო, კუთხეთა სატომო-საგეარეულო უხუცესებისაგან დაკომპლექტებული საკრებულო. უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც მცხეთის, ისე ქართლოსიანთა სხვა კუთხეების „მამასახლისი“-„თავადები“ ამ დროს უკვე დაწინაურებული ერთი და იგივე საგეარეულო ოჯახებიდან ირჩეოდნენ ქართველთა მიერ.

დაბოლოს, ლეონტის აღწერის მიხედვით, მოცემული პერიოდის ქართლოსიანებში, ჩანს, არსებობდა სახალხო კრებაც, რომელიც უმაღლესი ინსტანცია უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. ამას უნდა მოწმობდეს ლეონტის მითითებული კონკრეტული ფაქტები. სახელდობრ, სპარსეთის ლეგენდარული მეფის ქაიხოსროს მიერ გამოდევნილი თურანელი „თურქები“ კასპიის გამოვლით ქართლში, მცხეთას მოვიდნენ, სულ „სახლი ოცდა რვა“. წყაროში „თურქთა“ 28 „სახლი“ აქ 28

ოჯახი კი არაა, არამედ 28 გვარი, საგვარეულო. „სახლი“ აქ ნიშნავს საგვარეულოს, რომელიც ცალკეული ოჯახებისგან შედგებოდა. მათ მცხეთის მამასახლისის სთხოვეს ადგილები ქართლში დასასახლებლად. სამაგიეროდ მცხეთის მამასახლისის აღუთქვეს „შეწევნა“ სპარსელების წინააღმდეგ, რომელნიც ქართველთა მტრები იყვნენ. ლეონტის მიხედვით, ეს საკითხი მცხეთის მამასახლისმა ერთპიროვნულად ვერ გადაწყვიტა და „თურქთა“ ეს თხოვნა მან „აუწყა ყოველთა ქართველთა“<sup>35</sup> და მთელი ქართველი ხალხის, ქართლის მოსახლეობის, თანხმობის („ინებეს“ ქართველთა) შემდეგ, იგი „თურქების“ 28 სახლის ნაწილს ასახლებს ქართლის ქალაქებში: „თურქნი იგი გამოსხმულნი“ „განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“;<sup>36</sup> „ხოლო უმრავლესი მათგანნი“, ე.ი. თურქთა 28 „სახლთაგან“, მცხეთის მამასახლისმა, თვით „თურქთა“ თხოვნით, დაასახლა მცხეთის დასავლეთით რამდენიმე კილომეტრზე, სარკინეში („დიდი მცხეთის“ ერთ-ერთ „უბანში“). მაგრამ წყაროში აქ არ წერია მცხეთის მამასახლისმა ეს გააკეთა „ყოველთა ქართველთა“ თანხმობითო, რადგან „თურქთა“ 28 „სახლის“ დასახლება ქართლში, საერთოდ, გადაწყვეტილი იყო „ყოველთა ქართველთა ნებით“ და, ბუნებრივია, ლეონტი მროველი აღარ იმეორებს მას. ასევეა შემდგომშიც, ბაბილონეთის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ სამშობლო იერუსალემიდან გამოდევნილი ებრაელები მოდიან ქართლში და მცხეთის მამასახლისი ასახლებს მათ ზანავს (კერკს), ხარკის გადახდის ვალდებულებით,<sup>36a</sup> მაგრამ აქაც არაა წყაროში აღნიშნული „ყოველთა ქართველთა“ თანხმობით, რადგან ლეონტი კვლავ არ თვლის საჭიროდ გაიმეოროს იგი, იმიტომ, რომ მან იქვე წყაროში ზემოდ

<sup>35</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 15

<sup>36</sup> იქვე

<sup>36a</sup> იქვე, გვ. 15-16

სწორად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „ყოველნი ქართველნი“ აქ მართო მცხეთელ ქართველებს კი არ აღნიშნავს, არამედ მთელ ქართველ ხალხს, „ქართლოსის შთამომავლებს“ (იხ. შ. მესხია, ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ, კრებ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, „მეცნიერება“, 1966, გვ. 121-124.

უკვე აღნიშნა თავისი კონცეფციური თვალსაზრისი – „მცხეთელთა მამასახლისისა“ და „ყოველთა ქართველთა“, ანუ ქართლოსიანთა წინასახელმწიფოებრივი სამხედრო დემოკრატიის „სახალხო კრების“, ურთიერთდამოკიდებულების უფლებრივ სტატუსზე: დიდ და საქვეყნო საკითხებს მცხეთის მამასახლისი „ყოველთა ქართველთა ნების“, თანხმობის, შედეგად წყვეტდა. ლეონტისთან აქ წინააღმდეგობრიობა არაა. მთავარი კი აქ, ლეონტი მროველის მიზანი ისაა, რომ იგი იაზრებს და წარმოსახავს წინასახელმწიფოებრივ („სამხედრო დემოკრატიის“), ანუ უმეფობის ხანის ქართლოსიანთა საზოგადოებრივი წყობილების თეორიულ ნორმას, რითაც მთელ ამ ქართლოსიანთა საზოგადოებაში, ლეონტის ხაზგასმული კონცეფტუალური სიტყვებით: „არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანესი“, ე.ი. უწოდებრიო (უკლასო) საზოგადოება იყო და ყველა ქართლოსიანი (ქართველი) თანაბარი უფლებით სარგებლობდა. ეს, ცხადია, ეხებოდა „დედა ქალაქ“ მცხეთის მოსახლეობასაც. „ქართლის ცხოვრების“ ამ პასაჟში მთავარია ლეონტის კონცეფცია „მამასახლისობის“ ხანაზე და მისი მმართველობის სტრუქტურაზე, რაც გვაროვნულ-წინაკლასობრივია. ქართლში „თურქთა“ ფაქტის საკითხი კი (უარყოფა) სხვა ამბავია.

მიგვაჩნია, რომ ლეონტის სიტყვებში „აუწყა ყოველთა ქართველთა“ – იგულისხმება ქართლის გვაროვნული ორგანიზაციის „სახალხო კრება“, რომელიც, როგორც გმირული ეპოქის ბერძნებში, რომაელებში და მოგვიანებით გერმანელებში, იყო გვაროვნული წყობილების უმაღლესი საფეხურის, „სამხედრო დემოკრატიის“ საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლესი ინსტანციის სუვერენული ხელისუფლება.

დაბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ ლეონტის ცნობებით, „მცხეთის მამასახლისთან“ იძულების აპარატი (სახელმწიფოებრივი) არ არსებობს, არც აღნიშნავს ამის შესახებ.

---

\* სხვაგვარი თვალსაზრისი აქვს ამ საკითხზე ო.ლორთქიფანიძეს. იხ.მისი დასახელებული ნაშრომი, გვ.801-803.

როგორც ვხედავთ, ლეონტის მიხედვით, ძვ.წ-ის I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში თუ უფრო ადრეულ ქართლშიც ისეთივე სატომო-გვაროვნული ორგანიზაცია მივიღეთ, როგორც იყო გმირული ეპოქის წინასახელმწიფოებრივ, სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე მყოფ საბერძნეთსა და რომში, ასევე, მოგვიანებით გერმანელებში – სამხედრო დემოკრატიის უმაღლესი საფეხურის მმართველობის დროისა: 1. მხედართმთავარი (ქართ. „მამასახლისი“), 2. უხუცესთა (ქართ. „თავადთა“) საბჭო (საკრებულო), 3. სახალხო კრება (ქართ. „ყოველთა ქართველთა ნება“) ანუ მივიღეთ გვაროვნული წყობილების უმაღლესი საფეხურის, „სამხედრო დემოკრატიის“ ეპოქის ქართული მოდელი (ვარიანტი): 1. მამასახლისი, 2. თავადთა (უხუცესთა) საბჭო, 3. „ყოველთა ქართველთა“ სახალხო კრება.

ლეონტის მიერ ძვ.წ-ის I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში, თუ უფრო წინა პერიოდში დასატული ქართული გვაროვნული წინაკლასობრივ-წინასახელმწიფოებრივი სურათი – „მამასახლისობის“ (უმეფობის) ხანა, ისეთივე ტიპიური „სამხედრო დემოკრატიის“ ხანაა, როგორც იყო ძველ საბერძნეთსა და რომში ძვ.წ-ის I ათასწლეულის I ნახევარში. მართალია, ქონებრივი დიფერენციაცია უკვე არსებობს, სახეზეა სატომო-გვაროვნული არისტოკრატიაც (კუთხეთა „თავადები“ („თავადნი“), უხუცესები), მაგრამ ქართლის საზოგადოება წოდებრივ-კლასობრივად ჯერ დაყოფილი არაა, სოციალურ-უფლებრივად ერთნაირია, „არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს“, ქართველთა (ქართლოსიანთა) დიდ კუთხეებს სათავეში უდგანან არა მეფეები ან კლასობრივი პერიოდის ერისთავები, არამედ გვაროვნული ეპოქის თავკაცები – „თავადები“ და „მამასახლისი“. ქართველთა ეს ძველი საზოგადოება არ იცნობს საჯარო ხელისუფლებას – მეფეს, პოლიცია-ჟანდარმერიას და იძულების სხვა ორგანოებს, ასევე, არ იცნობს გადასახადებს. თუმცა ქართველთა ეს საზოგადოება კლასობრივისა და სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოქმნის ზღურბლზე დგას.

მართალია, ლეონტი წინაკლასობრივ-წინასახელმწიფოებრივ, „სამხედრო დემოკრატიის“ ეპოქის ქართლში, ანუ ფაქტიურად მისი ტერმინებით „უმეფობის“ და „მამასახლისობის“ ხანაში მრავალ „ქალაქებს“ და „ციხე-ქალაქებს“ ასახელებს, მაგრამ ეს ლეონტის კონცეფციას – ქართლში ისტორიის ადრეულ ეტაპზე „უმეფობისა“ და წინაკლასობრივ-„მამასახლისობის“ პერიოდის არსებობას არ უარყოფს. როგორც ეს არსებითად სწორად არის აღნიშნული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ლეონტის ეს „მეფობის წინადროინდელი პერიოდის“ „ქალაქები“ იყვნენ „ქართველთა... უფალ-გამგებელთა და მამასახლისთა „საყდრები“ – რეზიდენცია-სიმაგრეები და არა ქალაქები ამ სიტყვის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით”.<sup>37</sup>

არსებითად ეს სწორია და ლეონტისეული „ქალაქთა“ და „ციხე-ქალაქთა“ მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ უმეტესი არა), მართლაც სამხედრო დემოკრატიის ქართველ უფალ-გამგებელთა, „მამასახლისთა“ და „თავადთა“ რეზიდენცია-სიმაგრეები იყო, მაგრამ მათ გვერდით ამ ეპოქაში არსდებოდა მცირე სიდიდის ქალაქებიც, მოსახლეობის მჭიდროდ დასახლებული პუნქტები, ციხეებითა და გარშემოვლებული გალავნებით, რომელთაც მაშინაც, ჩანს, „ქალაქი“ ეწოდებოდა, მაგრამ მათ კლასობრივ-სახელმწიფოებრივი შინაარსი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. მათ ეს შინაარსი კლასობრივ-სახელმწიფოებრივ პერიოდში შეიძინეს. როგორც ვხედავთ, „ქალაქის“ ორი ტიპი უნდა განვასხვავოთ (ისე როგორც დაბა-სოფელი): 1. წინაკლასობრივი სამხედრო დემოკრატიის (გვაროვნული საზოგადოების განვითარების უმაღლესი საფეხური) დროის „ქალაქები“ და 2. კლასობრივ-სახელმწიფოებრივი პერიოდის ქალაქები. პირველში უკლასო ერთიანი სოციალურ-უფლებრივი მოსახლეობა ცხოვრობს, მეორეში – კლასობრივ-სოციალური.

საერთოდ, ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე ანუ „სამხედრო დემოკრატიის“ ეპოქაში, – ცივილიზაციის ზღურბლზე, – საწარმოო ძალების განვითარების შედეგად არსდება ციხე-ქალა-

<sup>37</sup> შ.მესხია, დასახ.ნაშრომი, გვ.128-129

ქები და მცირე ქალაქები – სამხედრო დემოკრატიის (ჯერ კიდევ გვაროვნული) საზოგადოების მხედართმთავართა და „უზუცესთა საბჭოს“ რეზიდენციები. ასეთი ფაქტიური ვითარება იყო ძველ საბერძნეთსა და რომში სამხედრო დემოკრატიის ეპოქაში ძვ.წ-ის I ათასწლეულში, რაც თავიანთ ნაშრომებში კარგად წარმოაჩინეს ჯერ ლ.მორგანმა, ხოლო შემდეგ ფრ.ენგელსმა. ამ მხრივ აანალიზებდა რა ჰომეროსის პოემებს, ფრ.ენგელსი გვაროვნული საზოგადოების უმაღლესი საფეხურის „სამხედრო დემოკრატიის“ პერიოდის საბერძნეთს ასე ახასიათებს: „ბარბაროსობის უმაღლესი საფეხურის („სამხედრო დემოკრატიის“ – დ.გ.) სრულ აყვავებას ჩვენ ვხედავთ ჰომეროსის პოემებში, განსაკუთრებით „ილიადაში“. გაუმჯობესებული რკინის იარაღი, სამჭედლოს საბერველი, ხელის წისქვილი, კეცი, მცენარეული ზეთისა და ღვინის დამზადება, ლითონის განვითარებული დამუშავება, რომელიც მხატვრულ ხელოვნებაში გადადის, ურემი და საბრძოლო ეტლები, გემების მშენებლობა ძელებისა და ფიცრებისაგან, ხუროთმოძღვრების, როგორც ხელოვნების დასაწყისი, გალაგნით და კოშკებით გარშემორტყმული ქალაქები, ჰომეროსის ეპოსი და მთელი მითოლოგია – აი მთავარი მემკვიდრეობა, რომელიც ბერძნებმა ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში გადმოიტანეს“.<sup>38</sup>

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, შესაძლოა, მთლად სიზუსტე ფრ.ენგელსთან აქ დაცული არ იყოს, და მის მიერ, საერთოდ, აღნიშნული „ბარბაროსობის უმაღლესი საფეხურის“, ანუ სამხედრო დემოკრატიის ეპოქის, „გალაგნით და კოშკებით გარშემორტყმული ქალაქები“-ს ნაწილი უკვე სოციალურად დიფერენცირებულ-კლასობრივი და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის პირველადი ფორმა ყოფილიყო (ნიშანდობლივია, პოემით („ილიადა“), ბერძენთა მთავარსარდალი აგამემნონი მიკენის „მეფეა“, ხოლო უმამაცესი აქილეუსი – ტომის „ბელადი“. აგამემნონის ძმა მენელაუსი სპარტის „მეფე“ იყო).

<sup>38</sup> ფრ.ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ.33

დღეს, როგორც ცნობილია, ჰომეროსის მოცემული საბერძნეთის სურათი, არსებითად, ფაქტობრივ-რეალურად დასტურდება.

როგორც ვხედავთ, ჰომეროსის პოემებით, როგორც ჰომეროსის, ისე მისი წინარე ტროას ეპოქის დროინდელ (საერთოდ, ძვ.წ-ის XIII-VIII სს.) სამხედრო დემოკრატიის ეპოქის საბერძნეთში, საწარმოო ძალებისა და ხელოვნების მანამდე არნახულ მაღალ განვითარებასთან ერთად, არსდება „გალავნით და კოშკებით გარშემორტყმული ქალაქები“, სადაც ჯერ კიდევ უფლებრივად გაუდიფერენცირებული, უკლასო მოსახლეობა ცხოვრობს. ასეთივე ვითარება იყო რიგ ძველ ხალხებში.

ჰომეროსისგან სრულიად დამოუკიდებლად, ძვ.წ-ის I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში თუ უფრო ადრეულ ხანაში „სამხედრო დემოკრატიის“ (გვაროვნული საზოგადოების „ბარბაროსობის“ უმაღლესი საფეხურის) ეპოქის ქართლში უკლასო საზოგადოების ასეთივე „ქალაქები“ და „ციხე-ქალაქები“ გაიაზრა ისტორიულად შუა საუკუნეების დიდმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა. ლეონტის ეს სურათი ძველი ქართლის წინაკლასობრივ-წინასახელმწიფოებრივი ყოფისა, საკვებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძვ.წ-ის I ათასწლეულის, როგორც I ნახევრის, ისე მისი წინა პერიოდისა და ასევე, ადრეანტიკური პერიოდის ქართლის სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის შესასწავლად.

## ბ) ლეონტი მროველის კონცეფცია საქართველოს ისტორიის ორ დიდ პერიოდზე და ქართული ისტორიოგრაფია

საქართველოს ისტორიის უკლასო გვაროვნულ, წინასახელმწიფოებრივ პერიოდზე ლეონტის შეხედულების ანალიზისთანავე, თავისთავად იბადება საკითხი – ლეონტი მროველის კონცეფციაზე საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ. ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პირველი, უძველესი პერიოდი.

ლეონტის კონცეფციით, ქართველი ხალხისა და საქართველოს ისტორიის ძველ (პირველ) პერიოდში იყო ისეთი საზოგა-

დოება, როცა არ იყო მეფე, სამეფო-სახელმწიფო, სამეფო მოხელე ერისთავები, არ იყვნენ წოდებრივად წარჩინებულნი და არაწარჩინებულნი, ყველა თანასწორუფლებიანი იყო, ხოლო დიდი ხნის შემდეგ. ისტორიის მეორე პერიოდში გაჩნდა მეფე და სახელმწიფო, მისი მოხელე-ერისთავები, მათი დამცველი ჯარი და პოლიცია, ხალხი დაიყო წოდებრივად წარჩინებულებად და მათ მორჩილ-არათავისუფალ ხალხად, ქართველებში დამყარდა უთანასწორობა – ქონებრივი და უფლებრივი.

ლეონტი მროველის კონცეფცია საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის, მისი ორი დიდი პერიოდის (განსაკუთრებით პირველის): – 1. „მამასახლისობის“ ხანის, ანუ უმეფობის, უკლასო-წინასახელმწიფოებრივი პერიოდის და 2. მეფობისა და კლასობრივ-სახელმწიფოებრივი პერიოდის შესახებ, – შუა საუკუნეების (XI ს.) ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის თვალსაზრისია, მით უმეტეს, როცა ამ ხანაში გაბატონებული იყო თეოლოგიური მოძღვრება ღვთის მიერ მეფის ხელისუფლების თავიდანვე არსებობისა და მისი მარადიულობის შესახებ.

ლეონტი მროველი აღნიშნული კონცეფციის ორიგინალური ავტორია, მისი ეს კონცეფცია ნასესხები არ ჩანს. თუმცა უნდა ითქვას, ამ კონცეფციის მხრივ გლობალური სიცარიელე წარსულში მაინც არ ყოფილა. ჯერ კიდევ იულიუს ცეზარმა და შემდეგ ტაციტუსმა (ძვ.წ-ის I – ახ.წ-ის II სს.) ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, მათი თანამედროვე გერმანელებისა და კელტების ყოფის მაგალითზე იციან, რომ მეფობამდე, კლასობრივ წყობილებამდე და სახელმწიფომდე გვაროვნული საზოგადოება, ქონებრივი თანასწორობა და უმეფობის, უსახელმწიფო ხანა არსებობდა. მაგრამ შემდგომ, შუა საუკუნეებში, ეს თვალსაზრისი ისტორიოგრაფიაში დავიწყებას ეძლევა, ქრება და „მეფობა“ და სამეფო-სახელმწიფო თავიდანვე და მარადიულად ღვთის ნებად ცხადდება. ამიტომ ლეონტის კონცეფცია შუა საუკუნეების თეოლოგიურ და პროვიდენციულიზმის ეპოქაში მით უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, – დამოუკიდებლად მეორედ აღმოჩენა უკლასო გვაროვნული საზოგადოებისა, – რო-



გორც რეალურ-ფაქტორივად, ისე თეორიულად სწორი ისტორიული თვალსაზრისი.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორის (და რედაქტორის), XI ს-ის ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიერ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მოცემული კონცეფცია საქართველოს ისტორიის ორი დიდი პერიოდისა: 1. უკლასო გვაროვნული, უსახელმწიფო და 2. კლასობრივ-სახელმწიფოებრივი საზოგადოებისა, - მეცნიერულად სავსებით სწორი და გამართული თვალსაზრისია, ხოლო ლეონტის დროის შუა საუკუნეთა ეპოქისათვის კი, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მეცნიერული თვალთახედვა.

ლეონტის უკლასო გვაროვნული საზოგადოების კონცეფცია, თავისი მნიშვნელობით, გაცილებით მაღლა დგას ცეზარისა და ტაციტუსის ანალოგიურ თვალსაზრისთან, რადგან ცეზარმა და ტაციტუსმა თავიანთი დროის რეალურ-ფაქტობრივი ვითარება აღწერეს გერმანელთა და კელტების გვაროვნული წყობილებისა, ხოლო ლეონტის დროს უკლასო გვაროვნული წყობილება კავკასიაში და, მით უმეტეს, ქართველ ხალხში, უკვე დიდი ხანია აღარ არსებობდა. ამიტომ, ლეონტიმ თავისი კონცეფცია ძველ ქართველებში (ქართლში) უკლასო, გვაროვნული საზოგადოების არსებობის შესახებ, ისტორიული თვალთახედვით თეორიულად გაიაზრა და მისი, ძველი გვაროვნული საზოგადოების, მეცნიერული რეკონსტრუქცია მოახდინა. ამდენად, ლეონტის კონცეფცია, ქართველ ხალხში ისტორიის პირველ პერიოდში უკლასო გვაროვნული წყობილების არსებობის შესახებ, გადაუჭარბებლად, მსოფლიო ისტორიულ მეცნიერებაში თვითნაბადი ძვირფასი თეორიული სამკაულია.

ფეოდალური ხანის ქართულმა ისტორიოგრაფიამ, როგორც ჩანს, საყოველთაოდ მიიღო საქართველოს ისტორიის ლეონტისეული პერიოდიზაცია, რადგან ამ ხანის ქართულ მწერლობაში, საერთოდ, მათ შორის, ოფიციალურ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, არა თუ ვინმეს უარყვია იგი, არამედ რაიმე კრიტიკული შენიშვნა ან კომენტარი არ გაუკეთებია.

ლეონტი მროველის კონცეფცია საქართველოს ისტორიის ორი დიდი პერიოდის – წინაკლასობრივ-გვაროვნული, „მამასახლისობისა“ და „მეფობის“ ანუ კლასობრივ-სახელმწიფოებრივი პერიოდის შესახებ მიიღო შუა საუკუნეების დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა, ზოლო თეიმურაზ ბაგრატიონმა ლეონტის კონცეფციაზე დაყრდნობით, არსებითად, გვაროვნული წყობილების შესანიშნავი სურათი მოგვცა.<sup>39</sup> ლეონტის კონცეფციას თ.ბაგრატიონის გარდა იზიარებდნენ აგრეთვე XIX საუკუნის სხვა ისტორიკოსებიც (დავით და ვახტანგ ბაგრატიონები).<sup>40</sup>

XX საუკუნეში, განსაკუთრებით კი, საბჭოთა პერიოდში, გვაროვნულ წყობილებაზე ლ.მორგანის, კ.მარქსისა და, განსაკუთრებით, ფრ.ენგელსის, ნაშრომების გაცნობის შემდგომ, ცხადია, ლეონტი მროველის კონცეფცია საქართველოს ისტორიის გვაროვნულ-წინაკლასობრივისა და კლასობრივ-სახელმწიფოებრივი პერიოდების შესახებ სწორად მიიჩნიეს ამ ხანის ქართველმა ისტორიკოსებმაც: ს.კაკაბაძემ,<sup>41</sup> ს.ჯანაშიამ,<sup>42</sup> ივ.სურგულაძემ,<sup>43</sup> კ.გრიგოლიამ,<sup>44</sup> შ.მესხიამ,<sup>45</sup> არ.ბარამიძემ.<sup>46</sup> მათ ლეონტის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პირველი პერიოდი – „მამასახლისობის“ ხანა – მიაჩნიათ ძველ უკლასო გვაროვნულ წყობილებად, ასევე, ორიგინალურ კონცეფციად.

<sup>39</sup> თ.ბაგრატიონი, ისტორია ივერიისა, ანუ გეორგიისა, სანტ-პეტერბურგი, 1848 წ., გვ. 48-50, 87 (შენიშვნა). შ.მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მსკი, I, 1939 წ., გვ.63-66.

<sup>40</sup> არ.ბარამიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და პირველყოფილი თემური წყობილების საკითხი ქართველ ტომებში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXVI, № 5, 1961, გვ.631-638

<sup>41</sup> ს.კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, 1924 წ., გვ. 125

<sup>42</sup> ს.ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, გვ. 117

<sup>43</sup> ი.სურგულაძე, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ., 1951, გვ. 11-12

<sup>44</sup> კ.გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954 წ., გვ. 12-13

<sup>45</sup> შ.მესხია, ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ, კრბ., კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, 1966 წ.

<sup>46</sup> ა. ბარამიძე, დასახელებული ნაშრომი

მხოლოდ ზოგიერთ მკვლევარს არ მიაჩნია ლეონტის ეს კონცეფცია ორიგინალურად და იგი ეფრემ ასურის „განძთა ქვაბის“ შეხედულების გაზიარებად მიაჩნია,<sup>47</sup> ზოგიერთს კი ეს კონცეფცია არ მიაჩნია მეცნიერული ღირებულების მქონედ,<sup>48</sup> ხოლო ზოგიერთნი კიდევ თვლიან, რომ ლეონტის „მამასახლისობის“ პერიოდი არ ჩაითვლება გვაროვნულ წყობილებადო,<sup>49</sup> რაც, ცხადია, არც ერთი ეს თვალსაზრისი მართებული არაა.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაზე მოცემულ გარდა უაღრესად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად სწორი კონცეფციისა, როგორც ისტორიის ორ დიდ პერიოდთან, ისე, კერძოდ, ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესის ჩვენებისას, ლეონტისთან დაცულია ისტორიზმი, სწორადაა მოცემული ისტორიული პერსპექტივა. ამჟამად უნდა განვიხილოთ მეორე დიდ პერიოდში ქართლის სახელმწიფოს (სამეფოს) წარმოქმნის პროცესის ლეონტისეული სურათი და მისი თვალსაზრისი.

#### დ) ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით

როგორც ნათლად წარმოჩინდა, ლეონტისეული საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პირველი პერიოდი ესაა უკლასო-წინასახელმწიფოებრივი გვაროვნული საზოგადოება, უმეფობის ხანა, სოციალურ-უფლებრივად უწოდებრიო, თანასწორთა საზოგადოება. ეს პერიოდი არსებითად, ძირულ-თვისებრივად განსხვავდება ლეონტის („ქართლის ცხოვრების“) მიერ მოცემულ საქართველოს ისტორიის მეორე პერიოდისაგან.

ქართველი ხალხის ისტორიის მეორე პერიოდი ესაა კლასობრივი წყობილებისა და სახელმწიფოს არსებობა საქართვე-

<sup>47</sup> ივ.ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბზ., VIII, გვ.183-184

<sup>48</sup> კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941 წ., გვ.216-217

<sup>49</sup> Г.Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959 г., стр. 35, 404; ა.კიკვიძე, „ქართლის ცხოვრება“ თუ „ახალი ქართლის ცხოვრება“? „მნათობი“, 1957 წ., № 4.

ლოში, რომელთა წარმოქმნის პროცესს და მათ ნიშნებს ლეონტი მროველი, როგორც ისტორიკოსი, შესანიშნავად, მაღალი ისტორიული მოაზროვნის დონით წარმოგვიჩვენს.

ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის მეორე პერიოდს – კლასობრივი წყობილებისა და სახელმწიფოს წარმოშობას მაინცდამაინც საგარეო ფაქტორს, ალექსანდრე მაკედონელის ხანას და მის დაპყრობით ომებს, მისი ლაშქრის ქართლში შემოსვლას და მის დაპყრობას უკავშირებს, რაც ნიშანდობლივია. შესაძლოა, ეს ომები არა ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ომები, არამედ ქართლის კუთხეებს შორის შინაპოლიტიკური დაპყრობითი ომები ყოფილიყო, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნა. ეს მეორე გზა (ვარიანტი) დაშვებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.<sup>50</sup>

ალექსანდრე მაკედონელის ომებთან და მის ეპოქასთან დაკავშირებით, ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის კონცეფცია მოულოდნელად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ ეპოქამ დიდი დიდი დაასვა მომავალ თაობებს, მათ ისტორიულ აზროვნებას, ჯერ ალექსანდრეს დიდი შთამბეჭდავი იმპერიის შექმნამ, ხოლო შემდეგ, ასევე, მისმა დაშლამ და მის ნანგრევებზე მრავალი დიდი თუ მცირე იმპერიებისა და სახელმწიფოების წარმოქმნამ. მრავალი ქვეყნის ისტორიკოსები თავიანთი ქვეყნების პოლიტიკური ისტორიის ტეხილებს, მათ შორის, ეპოქალურს, ალექსანდრობის ხანის პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებდნენ, მით უმეტეს, თუ მათი ქვეყნების ისტორია ალექსანდრე მაკედონელამდე ბურუსით იყო მოსილი. ლეონტი აქ გამოხატავს იმ აზრს, რომ უნდა ყოფილიყო, მით უფრო, თუ მას ალექსანდრე მაკედონელამდე ქართლში სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შესახებ რაიმე ცნობა არ ჰქონდა.

თუ რამდენად რეალურია მაინცდამაინც თვით ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნა და, ამასთან, ის საგარეო ფაქტორის გზა, – ალექსანდრეს დაპყრობითი ომები, – რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე გვაუწყებს, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ლეონტის მიერ ქართული კლას-

<sup>50</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.435-440

სობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის სურათის მოცემა, ამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძირითადი ნიშნების წარმოჩენა, გადაუჭარბებლად, შუა საუკუნეების იმ დროის (XI ს.) ისტორიული აზროვნების მაღალი დონის ნიმუშია.

სახელდობრ, ლეონტის („ქართლის ცხოვრება“) მიერ მოცემული კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესის სურათი ქართლში შემდეგია.

იწყება ალექსანდრე მაკედონელის ეპოქა, ძვ.წ-ის IV ს-ის მეორე ნახევარია. ქართლში წინასახელმწიფოებრივ-უმეფობის, – „მამასახლისობის“ ხანაა, თანამედროვე ტერმინით, გვაროვნული საზოგადოების უმაღლესი საფეხურის – „სამხედრო დემოკრატიის“ ეპოქაა. ქართველთა (ქართლოსიანთა) ტერიტორიულ კუთხეებში უფროს-გამგებლებად უხუცეს-„თავადნი“ არიან. ამასთან, მთელ ქართლს ჰყავს საერთო უფროსი „მამასახლისი“, რომელიც მცხეთას ზის და ყოველთა „ქართლოსიანთა“ გამგებელი – „მაზავებელ და ბჭე“ არის.

ამ დროს (ძვ.წ-ის IV ს. ბოლო მესამედი) ქვეყნის ასპარეზზე გამოდის დიდი პიროვნება ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც იმ დროის მსოფლიოს („ყოველნი კილენი ქვეყანისანი“-ს) იპყრობს. შემოვიდა ქართლშიც, აიღო მისი ციხე-ქალაქები: წუნდა, ხერთვისი, ოძრკე, თუხარისი, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა, სარკინე, ციხე დიდი, ზანაევი, სამშვილდე, რუსთავი, მტკვერის ციხე (ხუნანი) და „კახეთისა ქალაქნი“. მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა ალექსანდრე მაკედონელთან ბრძოლაში დაიღუპნენ. და „დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი“, მოაგვარა აქაური საქმეები, მოსრნა ქართლში მცხოვრები უცხოელები და ქვეყანაში მხოლოდ ქართლოსიანები დატოვა. ქართლის პატრიკად (ერისთავად) და „მპყრობელად ქართლისა“ მან დატოვა სარდალი აზონ, მაკედონიის მკვიდრი, „ასი ათასი კაცის“ სპით<sup>51</sup> და წავიდა ქართლიდან. აზონი ემორჩილებოდა საბერძნეთის მეფეს „ბიზანტიოსს“.

<sup>51</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.17-18

ლენტიის მიხედვით ქართლის მპყრობელი-ერისთავი (პატრიკი) ბერძენი (მაკედონელი) აზო ქართველთა მიმართ იყო ბოროტი მტერი, „კაცი ძნელი და მესისხლე“, რომელიც სპობდა ქართველებს. ამასთან, აღსანიშნავია, აზონი თვით ბერძნების მიმართაც იყო „მესისხლე“ და „მოესრნეს მრავალნი მათგანი“.

ასეთ ვითარებაში მყოფი ქართველები აჯანყდნენ უცხოელი დამპყრობელის და „მესისხლე“ აზონის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა „გონიერი“ და მარჯვე ახალგაზრდა „ქართლელი“ ფარნავაზი – მცხეთის მამასახლისის სამარას ძმის შვილი. ფარნავაზმა აზონის წინააღმდეგ დარაზმა ქართველები, ამასთან, მან, კავშირი გააბა ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) მმართველ ქუჯისთან, ერთობლივი ბრძოლისათვის. გარდა ამისა, ფარნავაზის მოწოდებით ქართლის მოკავშირედ გამოვიდნენ ჩრდილოკავკასიელი „ოვსნი“ და „ლეკნი“, რომელთაც ემძიმებოდათ და არ სურდათ აზონის ხარკის გადახდა. ამ ვითარებაში აზონის ბოროტებისგან შევიწროვებული ათასი ბერძენი მხედარი განუდგა მას და ფარნავაზთან მოვიდნენ მსახურებისთვის. აზონი, რომელიც მასთან დარჩენილ სპას ველარ ენდო, მცხეთიდან წავიდა კლარჯეთს და იქ გამაგრდა. ხოლო ფარნავაზი მოვიდა მცხეთას და დაეუფლა „ყოველ ქართლს თვნიერ კლარჯეთისა“. აზონმა საბერძნეთიდან იხმო ძლიერი ლაშქარი, ხოლო ფარნავაზმა ქართველთა ლაშქარი რიცხოვებრივად გაზარდა. ამავე დროს ფარნავაზმა „ასურასტანის“ (ასურეთის) მეფის (სელეუკიდების სამეფოს დამაარსებელ სელეუკის შვილის და მეფის) ანტიოქოს (ანტიოქოს I) წინაშე „წარავლინა მოციქულნი“ „და აღუთქუა მას მსახურება“ და თხოვა დახმარებოდა ბერძენთა (აზონის) წინააღმდეგ ბრძოლაში. ასურასტანის მეფე დადებითად გამოეხმაურა ფარნავაზის თხოვნას, უწოდა „შვილი თვისი“ „და წარმოსცა გვრგვნი“ (ალბათ, სამეფო). ამასთან, მან უბრძანა დაპყრობილი „სომხეთის ერისთავებს“, რომელნიც „ანტიოქოზისნი“ იყვნენ, შეწეოდნენ ბრძოლაში ფარნავაზს.<sup>52</sup>

<sup>52</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.23

კლარჯეთს გადამწყვეტ ბრძოლაში ფარნავაზმა თავისი ჯარით და მოკავშირეებით სასტიკად დაამარცხა აზონის ბერძენთა ლაშქარი, აზო ბრძოლაში მოკლეს. ფარნავაზი დაეუფლა კლარჯეთსაც და გამარჯვებული მცხეთას დაბრუნდა.

გამარჯვებულმა ფარნავაზმა თავი მთელი ქვეყნის „მეფედ“ გამოაცხადა: „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგრსა ზედა“, ანუ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, – ერთიანი საქართველოს მეფედ. იშვა ერთიანი ქართული სამეფო.

მეფედ გამოცხადებისთანავე ფარნავაზი მაშინვე ატარებს სახელმწიფოებრივ რეფორმებს. უპირველეს ყოვლისა, გაზარდა ქართული ჯარი, საქართველო დაყო რვა ადმინისტრაციულ-საერისთავო ტერიტორიულ ერთეულად და ერთ სასპასპეტოდ, ჩანს, უკვე ადრე არსებული ქართლოსიანთა კუთხეების მიხედვით და „განაწესნა ერისთავნი“. სახელდობრ, ეს საერისთავოები იყო:

1. არგვეთის (მარგვის) საერისთავო – ლიხის მთიდან ეგრი-სამდე. ფარნავაზმა აქ აღაშენა ორი ციხე – შორაპანი და ღიმნა.

2. ეგრისის საერისთავო – ერისთავად დაადგინა თანამებრძოლი ქუჯი.

3. კახეთის საერისთავო – არაგვიდან ჰერეთამდე (კახეთ-კუხეთის ქვეყანა).

4. გარდაბნის (ხუნანის) საერისთავო – ბერდუჯის (დებედა) მდინარიდან ტფილისამდე და გაჩიანამდე.

5. სამშვილდის საერისთავო – სკვირეთის (ვერე) მდინარიდან ტაშირის და აბოცის მთამდე.

6. წუნდის საერისთავო – ფანავრის ტბითგან ჯავახეთ-კოლა-არტაანამდე.

7. ოძრკის საერისთავო – ტასისკართგან არსიანის მთამდე და „ნოსტის თავითგან ზღუამდე“, რომელიც მოიცავდა სამცხეს და აჭარას.

8. კლარჯეთის საერისთავო – არსიანითგან ზღვამდე.

მეცხრე ტერიტორიული ერთეული იყო სასპასპეტო – ტფილისიდან და არაგვიდან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრის ტბამდე. „რომელ არს შიდა ქართლი“.<sup>53</sup>

ფარნავაზის მიერ დადგენილი „სპასპეტი იყო შემდგომადვე მეფისა“, ანუ მეფის შემდგომ მეორე პირი სახელმწიფოში და აღნიშნულ ერისთავთა უფროსი, რომელიც ლეონტის სიტყვებით „მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“.<sup>54</sup>

გარდა ამისა, ფარნავაზმა საერისთავოებში განაჩინა სარდლები, „სპასალარნი და ათასისთავნი“, რომელნიც ერისთავს ემორჩილებოდნენ. საერისთავოებში ფარნავაზმა დააწესა სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი მოხელეების შესანახი გადასახადი: „ხარკი სამეუფო და საერისთავო“.<sup>55</sup>

ერთდროულად ფარნავაზმა მტკიცედ გაამაგრა ქალაქი მცხეთა და აღაშენა „ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი“. ქართველებს შეუქმნა ახალი წარმართული ერთიანი იდეოლოგია – არმაზის კერპის თაყვანისცემა. არმაზი მან აღმართა მთა ქართლზე და მისგან ქართლს (მთას) ეწოდა არმაზი.

სამეფოს შექმნის პარალელურად იშვა წარჩინებულთა წოდებაც, ერისთავ-დიდებულები და აზნაურნი. აღსანიშნავია, რომ ქართლშიც აზნაურ-წარჩინებულნი პირველად გახდნენ მხედრები, სახელდობრ, წყაროს მიხედვით, ის ათასი ბერძენი („პრომნი“) მხედარი, რომელნიც აზონს გამოექცნენ და ფარნავაზს ჯარში ერთგულად მსახურებდნენ. ფარნავაზმა ისინი გაანაწილა და დაასახლა ქართლის კუთხეებში: „განყვნა კევთა და ქუეყანათა შინა“.<sup>56</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ლეონტის მიხედვით, ფარნავაზმა აგრეთვე „შექმნა მწიგნობრობა ქართული“ – ქართული დამწერლობა, ერთიან სახელმწიფო ენად იქცა ქართული და „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა“.<sup>57</sup>

<sup>53</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.24

<sup>54</sup> იქვე, გვ. 24-25

<sup>55</sup> იქვე, გვ.25

<sup>56</sup> იქვე, გვ.25.

<sup>57</sup> იქვე, გვ.26.



„ფარნავაზი იყო პირველი მეფე ქართლისა“, – გვაუწყებს წყარო. ასე იშვა ქართლის (საქართველოს) სახელმწიფო.

„ქართლის ცხოვრების“ საწყის მატრიანეში (ლეონტის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“) ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი და მისი დამახასიათებელი ნიშნები, შეიძლება ითქვას, მოცემულია ისეთ კლასიკურ ფორმაში, როგორც ეს მოხდა ათენსა და რომში (შესანიშნავად აღწერილ-წარმოჩენილი ლ.მორგანისა და ფრ.ენგელსის მიერ).

სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისას, – ყველა სახეზეა. 1. არსებობს ქართველთა ეთნოსის გარკვეული ტერიტორია ქართლი თავისი საზღვრებით და მასთან გაერთიანებული ეგრისი (თუმცა ასეთი გაერთიანება ეგრისთან, აუცილებელი პირობა (ნიშანი) არ იყო ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისთვის). 2. საჯარო ხელისუფლება მეფით სათავეში, მეფისა და წარჩინებულ-არისტოკრატთა საჯარო ხელისუფლება თავისი იძულებითი აპარატი-დაწესებულებებით – ჯარით, პოლიციით, სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობითა და მოხელეებით: ერისთავებით, სპასალარებით, ათასისთავებით და სხვ. 3. დაწესებულია მოსახლეობაზე სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი მოხელეების შესანახი გადასახადები, – „ხარკი სამეფო და საერისთავო“. 4. საზოგადოება სოციალურად დიფერენცირებულია. ერთის მხრივ, არის წოდებრივად გაბატონებული კლასი – მეფე და წარჩინებულნი: დიდებულ-ერისთავები და „აზნაურნი“ („წარჩინებულ ყვენეს აზნაურნი“), საფუძველი ეყრება მემკვიდრეობით სამეფო ხელისუფლებას და მემკვიდრეობით წოდებრივ არისტოკრაციას. მეორეს მხრივ, არიან დადაბლებულ-მორჩილი ქართლოსიანები. ამით ქართველებში („ქართლოსიანებში“) გაქრა „მამასახლისობის“ დროინდელი წინაკლასობრივი გვაროვნული უფლებრივი თანასწორობა.

ერთადერთი, რომელიც ასევე საფუძველად ედო სახელმწიფოს წარმოქმნას, – ქონებრივ-ეკონომიკური საფუძველი, საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაცია, მდიდრებისა და ღარიბების

გაჩენა, – ლეონტიისთან („ქართლის ცხოვრებაში“) წარმოჩენილი არაა და მასზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ, ვფიქრობთ, არ იქნება შეცდომა თუ ვიტყვით, რომ წინასახელმწიფოებრივ სატომო გვაროვნული არისტოკრატიის – მამასახლისთა და „თავადთა“ საგვარეულო ოჯახების ქონებრივი სიძლიერე და სიძლიერე ქართლოსიანთა დანარჩენ საზოგადოებასთან შედარებით, ლეონტის მიხედვით, თავისთავად იგულისხმება, მით უფრო სახელმწიფოს წარმოქმნისას წარჩინებულთა – ერისთავ-სპარსალართა და აზნაურთა ოჯახების ქონებრივ-ეკონომიკური სიძლიერე.

ყოველივე ზემოაღნიშნული ინსტიტუტები: საჯარო ხელი-სუფლება – მეფე, ჯარი, პოლიცია, მოხელე ერისთავები, ერიდან უფლებრივ-წოდებრივად (სოციალურად) გამოყოფილი წარჩინებული ერისთავ-სპასალარები და „აზნაურები“, მოსახლეობაზე დადებული გადასახადები – „სამეუფო და საერისთავო ხარკი“, სრულიად უცხო იყო ქართველთა ისტორიის პირველ პერიოდში – უკლასო, წინასახელმწიფოებრივ გვაროვნულ საზოგადოებაში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ XI ს. ავტორმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა მეცნიერულად საესებით სწორად განჭვრიტა და გაიაზრა საქართველოს ისტორიის (და, შეიძლება ითქვას, მთელი კაცობრიობის) ორი პერიოდი – უკლასო, წინასახელმწიფოებრივი გვაროვნული საზოგადოების პერიოდი და კლასობრივ-სახელმწიფოებრივი პერიოდი, ზოგადი ისტორიული პერსპექტივის დაცვით. ამასთან, ძირითადად სწორად წარმოაჩინა ორივე პერიოდის საზოგადოების არსებითი სურათი და, ასევე, სწორად აღნიშნა მათი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები.

რაც შეეხება ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის ბოლო პროცესის რეალური გზის დადგენას: ეს მოხდა ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე, თუ მართლაც, ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლოს, ალექსანდრე მაკედონელის სიცოცხლეში, თუ მის შემდეგ, მისი იმპერიის ნანგრევებზე შობილ რომელიმე სახელმწიფოს ქართლში შემოჭრა-ინტერვენციის თუ მასთან ქართლის რაიმე კონტაქტების შედეგად (თვით ალექსანდრე მაკედონელი, როგორც საყოველთაოდ მიღებულია, ქართლში და, საერთოდ, კავკასიაში, არ შემო-

სულა), ან ეს მოხდა ქართველთა (ქართლოსიანთა) ეთნო-კუთხეების ურთიერთ ბრძოლისა და დაპყრობათა გზით, რის შედეგად ერთ-ერთმა კუთხემ „მცხეთის ქართლმა“ გაიმარჯვა, ანდა კიდევ, ეს მოხდა მესამე გზით – მშვიდობიანი, სპონტანურ-ისტორიული ადგილობრივი განვითარების შედეგად, ან კიდევ მეოთხე გზითაც – მშვიდობიანი მიგრაციისა და სახელმწიფოებრივი ცენტრის სამხრეთიდან ჩრდილოეთში, მცხეთაში (მცხეთის ქართლში) გადასაცვლებით, – საკონტროლო ისტორიული წყაროების უქონლობის გამო, მასზე პირდაპირი პასუხის გაცემა არ ხერხდება. ცხადია, ზემოაღნიშნული ოთხი გზიდან გამორიცხული არც ერთი არაა. ეს გზები მეტ-ნაკლები არგუმენტაციით აღნიშნულია ქართულ სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში.<sup>58</sup> ამასთან, მიღებულია, რომ ქართლის სამეფოს წარმოქმნა უნდა მომხდარიყო ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლო მეოთხედში, ან ძვ.წ-ის III ს-ის I ნახევარში. სახელდობრ, გ.მელიქიშვილის აზრით, – ძვ.წ-ის III ს. 70-იან წლებში (ანტიოქოს I-ის მეფობის დასაწყისი), ხოლო გ.ანჩაბაძის აზრით, – ძვ.წ-ის 312-301 წლებში.

რაც მთავარია, „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის ავტორ-რედაქტორს, ისტორიკოსს ლეონტი მროველს სწორად აქვს წარმოჩენილი და გააზრებული ქართველი ხალხის ისტორიის უკლასო გვაროვნული და კლასობრივ-სახელმწიფოებრივი პერიოდები, ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი და მოცემული აქვს როგორც გვაროვნული საზოგადოების ძირითადი არსი, ისე სახელმწიფოსა და კლასობრივი საზოგადოების დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. რაც შეეხება აღნიშნული პერიოდების,

<sup>58</sup> ნ.ბერძენიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1947 წ., ს.ჯანაშიას რედაქციით; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გ.მელიქიშვილის ნაწილი; მისივე - საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955 წ.; გ.ანჩაბაძე, ძველი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების დროისა და პირობების შესახებ, „ანალები“, თბ., „მემატთანე“, 1999 წ., № 2; მ.გოგოლაძე, ქართლის სოციალური და პოლიტიკური განვითარება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით (ძვ.წ-ის IV ს. II ნახევარი - ახ.წ-ის VII ს. I ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1999 წ.; ასევე, ავტორუფერატი.

რაც მთავარია, კლასობრივი საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ისტორიულ-ქრონოლოგიურ მიჯნებს, ცხადია, მას, ამ მხრივ სათანადო ისტორიული წყაროების უქონლობისა და ბურუსით მოსილ ძველ პერიოდებსა და მოვლენებზე, ზუსტი პასუხის გაცემა (გნებავთ მიახლოებითის) არ შეეძლო.

ეს პრობლემური საკითხი კი: საქართველოში გვაროვნული საზოგადოების განვითარების უმაღლესი საფეხურის, ანუ „სამხედრო დემოკრატიისა“ და ქართული კლასობრივი საზოგადოების და ქართლის სახელმწიფოს, უფრო ზუსტად, ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ქრონოლოგიური მიჯნისა, – თუ როდის იშვა სინამდვილეში ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები საერთოდ და, კერძოდ, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ქართლში, მართლა ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლოს, თუ სხვა პერიოდში, მათ შორის გაცილებით ადრეულ ისტორიულ ქრონოლოგიურ ეპოქაში, – ეს ცალკე საკითხია, რომელსაც ამჟამად შევხებით.

### **3. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების რეალურ-ისტორიული ქრონოლოგია**

ამჟამად დგას პრობლემის ერთ-ერთი მთავარი საკითხი: რამდენად რეალურ-ისტორიულია ქრონოლოგიურად დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ლეონტი მროველის მიერ მოცემული ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა, სახელდობრ, შესაძლოა თუ არა ლეონტის მიერ მოცემული ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის დროს არქაიზაცია, მის მიერ მოცემული ქართველთა „სამხედრო დემოკრატიისა“ და სახელმწიფოს წარმოქმნის ისტორიული ფენების ქრონოლოგიურად უფრო წარსულში გადატანა? საამისოდ წყაროები ლეონტის არ გააჩნდა, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდელი პერიოდი ლეონტისთვის ბურუსით იყო მო-

სილი. ამ საკითხს მნიშვნელოვნად შუქი მოფინა მხოლოდ თანამედროვე ქართული არქეოლოგიური მეცნიერების მიღწევებმა.

ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ქრონოლოგიური საკითხი დღესაც რთულად დგას და თუ ამ საკითხზე დღეს ახლებური მეცნიერული გააზრებაა შესაძლებელი, ეს მხოლოდ ქართული არქეოლოგიური მეცნიერების მონაპოვრებისა და კვლევითი მიღწევების საფუძველზეა შესაძლებელი. XX ს-ის ქართულმა არქეოლოგიამ გრანდიოზული მასშტაბის ფართო სამუშაოები, კვლევა-ძიება და მოპოვებული მასალის გაანალიზება ჩაატარა; სახელდობრ, ცივილიზაციამდელი (წინასახელმწიფოებრივი) და ცივილიზაციის საწყისის არქეოლოგიური ეპოქების – ბრინჯაოსა და რკინის ხანის, ასევე, ანტიკური ეპოქის კულტურის გამოვლენისა და შესწავლის საქმეში მონაწილეობა მიიღო ქართველ არქეოლოგთა მთელმა პლეადამ, მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა (ე.ქ.თაყაიშვილი, გ.ნიორაძე, ლ.მუსხელიშვილი, ა.აფაქიძე, ალ.კალანდაძე, გ.გობეჯიშვილი, გ.ლომთათიძე, ო.ჯაფარიძე, ო.ლორთქიფანიძე, ლ.ჭილაშვილი, კ.ფიცხელაური და სხვა ათეულობით კვალიფიციური არქეოლოგი). საქართველოსა და ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვით, ასევე, ა.იესენის, ბ.კუფტინის და სხვა უცხოელ მკვლევართა ნაშრომებს. გამოვლენილია ასეულობით ძეგლები, რომელთა შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დღეს, არსებითად, ნათლად არის წარმოჩენილი ქართული წინაცივილიზაციისა და ცივილიზაციის საწყისი ეპოქების სურათი.

გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ადრეული ბრინჯაოს დროიდანვე (ძვ.წ-ის IV – III ათასწლეული) საქართველოს ტერიტორია ინტენსიურადაა დასახლებული. ეს ხანა ემთხვევა ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურას, რომლისთვის დამახასიათებელია პატარა საგვარეულო სამოსახლოები. ადრეული ბრინჯაოს საწყისი პერიოდის ლითონის ნაწარმი, ასევე, იარაღ-საჭურველი და ნივთები მოპოვებულია ტყვიავში, ახალციხეს – ამირანის გორაზე, ურბნისში. გამოვლენილია ლითონსადნობი სპეციალური ღუმელი და სახელოსნო (ამირანის გორა). უნიფიცირებული კერამიკაა წა-

რმოდგენილი ქართლში, თრიალეთში, მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში.

ანალოგიური სახის კულტურაა არსებითად დასავლეთ საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის შუამდინარეთის ტომთა კულტურის გავრცელება ბევრად სცილდება საქართველოსა და ამიერკავკასიას ყველა მიმართულებით და III ათასწლეულში მან მოიცვა აღმოსავლეთი ანატოლია, სადაც და, ასევე, მის მახლობლად შოგვიანებით, მკვლევართა შეხედულებით, ქართველი ტომები (მესხები, ქართვები – ქარდუხები) ცხოვრობდნენ, კიდევ მეტი, აღნიშნული კულტურა აღწევს ცენტრალურ ანატოლიას და სირია-პალესტინის ტერიტორიასაც, ირანს და სხვა ქვეყნებს.

ირაკვევა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები იყვნენ ადგილობრივი მეტალურგიის ფუძემდებლები. ასევე, მტკიცდება, რომ ამ ხანაში სამთამადნო და მელითონეთა დარგები არსებობდა ცალ-ცალკე. დიდი და პატარა საწარმოო კერები უნდა არსებულიყო ასეთივე დიდ-პატარა სამოსახლოებზე.

საზოგადოებრივი განვითარების დონისათვის ნიშანდობლივია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში დასაბამს პოულობს ე.წ. ყორღანული კულტურაც. გამოვლენილია ძვ.წ-ის III ათასწლეულის დასასრულის დიდი და პატარა ყორღანები. სოციალურ-უფლებრივი თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ დიდი, მდიდრული ინვენტარის შემცველი და, ამასთან, კარგად ნაგები ყორღანები (გორასამაროვნები) ტომთა ბელადებს და გვაროვნულ არისტოკრატიას (წარჩინებულ პირებს) ეკუთვნოდა, ხოლო მომცრო და დარიბი ყორღანები რიგითი მოსახლეობისა იყო, რაც გვაროვნული საზოგადოების დაშლასა და ქონებრივი უთანასწორობის დაწყებას ნიშნავდა.<sup>59</sup>

III ათასწლეულის ბოლოდან საქართველოს ტერიტორიაზე იწყება საზოგადოების განვითარების ახალი საფეხური – შუა ბრინჯაოს ხანა, რომელიც II ათასწლეულის შუა ხანამდე გა-

<sup>59</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 152-190.

გრძელდა. ახალ განვითარებას აღწევს მიწათმოქმედება, განსაკუთრებით მესაქონლეობა, უფრო მეტად მეცხვარეობა. შუა ბრინჯაოს პერიოდში ბორბლიან ტრანსპორტზე გამწვევ ძალად ისევ ხარია გამოყენებული, მაგრამ ამ ხანაში, ძვ.წ-ის II ათასწლეულის I ნახევარში, საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე თანდათან ვრცელდება ცხენი. მიწათმოქმედება-მესაქონლეობასთან ერთად, ასევე ვითარდება ხელოსნობის სხვადასხვა დარგი და მეტალურგია. ხდება მთისწინა და მთის ზოლის ათვისება. ამ პერიოდში ყალიბდება ტომთა დიდი კავშირები, რომელთა განვითარების შედეგად, მხოლოდ ეთნიკურად მონათესავე ტომებს შეეძლოთ კიდევ უფრო დიდი ეთნიკური გაერთიანებების შექმნა.

მოცემულ ეპოქაში განსაკუთრებით დაწინაურდა თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომები. ეს კულტურა გამოვლინდა თრიალეთის მაღალმთიან ზოლში (1500-2000 მ. ზღვის დონიდან) და სახელწოდებაც აქედან მიიღო. იგი ფართოდ იყო გავრცელებული და მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს მომიჯნავე რაიონებით. ძვ.წ-ის II ათასწლეულის I ნახევარი თრიალეთის კულტურის აყვავების ხანაა, – აღინიშნება ახალი მოვლენებით მეურნეობაში, ხელოსნობაში, მეტალურგიაში, ტექნიკაში. საკუთრივ თრიალეთი კი ამასთან გამოირჩევა მეტად დიდი და მომცრო ყორღანებით, რის გამოც ამ კულტურას, საერთოდ, მისმა აღმომჩენმა ცნობილმა არქეოლოგმა ბ.კუფტინმა „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“, ხოლო მოკლედ „თრიალეთის ბრწყინვალე კულტურა“ უწოდა.<sup>60</sup>

სოციალური თვალსაზრისით, აქაც, თრიალეთის დიდი და მდიდრული და, ამასთან, კარგად ნაგები ყორღანები, როგორც წესი, ტომთა ბელადებს და გვაროვნულ არისტოკრატიას ეკუთვნოდა, ხოლო პატარა და ღარიბი ყორღანები – რიგით მოსახლეობას. ტომთა ბელადის ერთ-ერთ დიდ ყორღანს ზურტაკეტის პლატოზე I პექტარი ფართობი უკავია.

<sup>60</sup> Б.А.Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ.მუზეუმის მოამბე. XII-В, თბ., 1944 წ., გვ.308.

თრიალეთის (ზურტაკეტის) ამ უდიდესი ყორღანის ქვაყრილის დიამეტრია 100 მ., სიმაღლე – 8 მ. მისი შიდა დარბაზის ფართობი 175 კვ.მ., დარბაზის სვეტები ფურცლოვანი ოქროთი ყოფილა გარშემოკრული, როგორც ამას აღმოჩენილი ფრაგმენტები მოწმობენ. ტომთა ბელადი აქ ხშირად ოთხთვალა ეტლზეა. ზოგჯერ მას მსხვერპლად ატანდნენ შეწირულ მსახურს ან მონას. ყორღანში აღმოჩენილია სპილენძის, ბრინჯაოს საომარი იარაღ-საჭურველი, თიხისა და ლითონის ჭურჭელი, ოქრო-ვერცხლის სამკაული; მრავალი მათგანი მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნებისა და ხელოვნობის ნიმუშებს უტოლდება. თრიალეთში ამ ტიპის რამდენიმე ყორღანია.

თრიალეთის დიდი ყორღანების აგება ძალიან შრომატევადი იყო და დიდ დროს მოითხოვდა. ცხადია, მასში მონაწილეობას დებულობდა მრავალრიცხოვანი კოლექტივი – მთელი ტომი ან ტომთა კავშირი. ეს უზარმაზარი ყორღანები დიდი ძალაუფლების მქონე ბელადებს ეკუთვნოდათ. შედარებით უფრო პატარა ყორღანები კი ცალკეულ ტომთა თუ გვარების ხელმძღვანელ-უფროსთა ან სხვა დაწინაურებულ წევრებისა იყო. ეს ზედა დაწინაურებული ფენა ეკონომიკურად და უფლებრივად საკმაოდ ძლიერი ჩანს, „გაბატონებული არისტოკრატიული. ნაწილი პატივითაა მოსილი“, რასაც ნათლად მოწმობს სწორედ ეს ყორღანები თავიანთი ინვენტარით.

თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ გამოირჩევა ოქრომჭედლური ტექნიკის მაღალი დონით. ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა ნივთები შესრულებულია შესანიშნავი მხატვრული ხელოვნებით. რთული და ფაქიზი ოქრომჭედლური ნაკეთობანი მაღალ ოსტატობას დაუფლებულ და დახელოვნებულ ხელოსანთა არსებობას მოწმობს. მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ ხელოსანთა დიდმა ოსტატობამ დაუდო საფუძველი ქართულ ოქრომჭედლობას.<sup>61</sup> „თრიალეთის კულტურის“ ეპოქაში შეიქმნა პირობები ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებისა, საზოგადოების არისტოკრატიულ ნაწილს გაუჩნდა დახვეწილი გემოვნება.

<sup>61</sup> სინ, I, გვ. 201-210



მუშავდება რთული ორნამენტული სახეები, ფერადოვანი, დეკორაციული მხატვრული სტილი. იქმნება სხვადასხვა დანიშნულების ნაწარმი: ოქროს სასმისები, თელები, ოქროს საკინძები, ოქროსა და ვერცხლის თასები რელიგიური რიტუალებით და სხვა სახის ნაწარმი; ასევე, თრიალეთის კულტურაში წარმოდგენილია მოხატული ბრწყინვალე კერამიკა.

თრიალეთის კულტურის (ძვ.წ-ის II ათასწლეულის I ნახევარი) მძლავრ აყვავებას თავისი ეკონომიკური საფუძველი გააჩნდა: იმ დროის შესაფერი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეტალურგია, რომელიც განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა. ამ სამეურნეო-ეკონომიკურ და სამრეწველო განვითარებას კი ხელს უწყობდა აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები. თრიალეთის კულტურა მოიცავდა საქართველოს სხვა რეგიონებსაც. ამ კულტურის მსგავსი ძეგლები ცნობილია შიდა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში. თრიალეთის კულტურა მტკვარ-არაქსის კულტურის გაგრძელება და მემკვიდრეა, აღმოცენდა წინამორბედი კულტურის ტრადიციებზე, თავისი დამახასიათებელი ნიშნებით კი იგი, ძირითადად, თავისთავადია და დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს.

ცხადია, თრიალეთის კულტურა, მიუხედავად თავისთავადობისა, გარესამყაროსაგან მოწყვეტილი როდი იყო, და, მართლაც, მას ძვ.წ-ის III ათასწლეულის ბოლოდან მჭიდრო კავშირურთიერთობა ჰქონდა ძველადმოსავლურ ცივილიზებულ სამყაროსთან, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო თრიალეთის კულტურის აღმავლობას. როგორც მიაჩნიათ, ეს ურთიერთობა ჯერ კიდევ ამ კულტურის წინა საფეხურზე შეინიშნება, როგორც შუმერთან, ისე ხეთურ, ხურიტულ და წინა აზიის სხვა ქვეყნებთან.<sup>62</sup>

არქეოლოგმა ბ.კუფტინმა თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ ძვ.წ-ის II ათასწლეულის შუა საუკუნეებს მიაკუთვნა. ამ საქმეში ბ.კუფტინი საერთოდ წინა აზიის (ხეთა-მითანის და სხვ.), ხოლო ძირითადად შუმერული კულტ-

<sup>62</sup> გ.მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965 წ., გვ. 134.

ურის ანალოგიებს ემყარებოდა.<sup>63</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ რიგ მკვლევართა შეხედულებით, თრიალეთის კულტურის ყორღანებში ბელადების ეტლთან ერთად დაკრძალვის წესი ძველადმოსავლურ, კერძოდ, ხეთურ საბუთებში აღწერილ მეფეთა დაკრძალვის წესს ჰგავს, რაც გავრცელებული იყო წინა აზიაში. ნიშანდობლივია, რომ წინა აზიის ეს ეტლები კონსტრუქციით ახლოა თრიალეთურთან. ჩანს, ეს წესი წინა აზიიდან ამიერკავკასიაში საკმაოდ ადრეულ ხანაში გავრცელდა.<sup>64</sup>

ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მიღებული შეხედულებით, ზემოგანხილული თრიალეთის დიდი კულტურის ბოლოს, ძვ.წ-ის II ათასწლეულის შუა ხანაში, ჩანს, საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლურ ქართულ ტომთა მსხვილ და მყარ გაერთიანებას. ამიტომ, საფიქრებელია, თრიალეთის მაღალმთიან პლატოზე აღმოჩენილი ყორღანები სწორედ ამ ქართველ ტომთა წინამძღოლების, ბელადებისაა.<sup>65</sup>

ამრიგად, მიაჩნიათ, რომ „საზოგადოებამ, რომელმაც თრიალეთის კულტურა დაგვიტოვა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია. გვაროვნული საზოგადოების რღვევის პროცესი უკვე შორსაა წასული. გვაროვნულმა არისტოკრატებმა, როგორც ქონებრივად, ისე ძალაუფლების მხრივ საკმაოდ დიდ სიძლიერეს მიაღწია“.<sup>66</sup>

ჩვენ თრიალეთის კულტურის საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაციისა და პოლიტიკური სტრუქტურის სურათის საკითხს შემდგომში კვლავ დავუბრუნდებით. ამჟამად მოკლედ შევეხებით შუა ბრინჯაოს ხანის კულტურას საქართველოს სხვა რეგიონებში, ხოლო შემდგომ, ასევე მოკლედ, გვიანი ბრინჯაო – ადრე რკინის ხანას.

<sup>63</sup> Б.А.Курфин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 294, 307; სიბ, I, 225-226

<sup>64</sup> სიბ, I, გვ. 208

<sup>65</sup> Г.А.Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 162; სიბ, I, გვ. 229

<sup>66</sup> სიბ, I, გვ. 229

შუა ბრინჯაოს ხანის კულტურა გამოვლენილია დასავლეთ საქართველოშიც. სახელდობრ, ამ ხანაში მძლავრი მეტალურგიული კერა არსებობდა რიონის ზემო წელზე, ღების (რაჭა) მდამოებში (ზღვის დონიდან 1500-2000 მ.). განვითარებული ჩანს აქ სამთამადნო წარმოება და მეტალურგია, აღმოჩენილია ლითონის სხვადასხვა სახის იარაღები – სამეურნეო, საომარი. სამთამადნო წარმოებისა და მეტალურგიის განვითარებისათვის აქ სათანადო ბაზა და ხელსაყრელი პირობები არსებობდა; რიონის ეს მხარე მდიდარი იყო საბადოებით და ტყით. მადნის დამუშავება მიმდინარეობდა თვით საბადოების რაიონში. რიონის სათავეებთან გამოვლენილი მეტალურგიული გამონამუშევრები მოწმობს, რომ აქ დიდი სამთამადნო-მეტალურგიული წარმოება ყოფილა გაჩაღებული.

დასავლეთ საქართველოში მეორე ძლიერი მეტალურგიული კერა არსებობდა აგრეთვე ყვირილის ზემო წელზე. საჩხერის რეგიონის ყორღანებში გამოვლენილია ლითონის სხვადასხვა სახის იარაღები და საყოფაცხოვრებო ნივთები.

როგორც ჩანს, შუა ბრინჯაოს ხანის ბოლოდან (ძვ.წ-ის II ათასწლეულის შუა ხანა) გაძლიერებას იწყებს ჭოროხის აუზის მეტალურგიული კერა (ურეკის განძი), რომელიც მომდევნო გვიანი ბრინჯაო – ადრე რკინის ხანაში კოლხეთის კულტურის ერთ-ერთ წამყვან მეტალურგიულ ცენტრად იქცა.<sup>67</sup>

შუა ბრინჯაოს ხანაში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად, მეტალურგიულ-ხელოსნური წარმოება მოსახლეობის სარსებო საქმიანობას შეადგენდა.

ძვ.წ-ის II ათასწლეულის II და I ათასწლეულის I ნახევარი (ძვ.წ-ის 1500-500 წწ.) გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანაა. ცხადია, ეს ხანა საქართველოს ტერიტორიაზე წინარე, შუა ბრინჯაოს, პერიოდის შემდგომი ბუნებრივი გაგრძელებაა.

---

<sup>67</sup> სინ, I, გვ.230-242.

უპირველეს ყოვლისა, გვიანი ბრინჯაოს ხანის მეტალურგია აღინიშნება კალიანი ბრინჯაოს სხმულების საყოველთაო გავრცელებით; კალა გაცილებით მეტ სიმტკიცეს აძლევდა ბრინჯაოს, ვიდრე დარიშხანი, რომელსაც ურევდნენ სპილენძს წინა პერიოდებში. ნამდვილ „კლასიკურ“ ბრინჯაოდ სწორედ კალაშენადნობი სპილენძი მიაჩნიათ. რადგან სათანადო (ძარღვისეული, ქვიშრობი) კალის სამრეწველო საბადონი კავკასიაში გამოვლენილი არაა, ამიტომ მკვლევარნი ფიქრობენ, რომ კალის ნედლეულს სპილენძის შესარევად და ბრინჯაოს მისაღებად აქაური საწარმოები ღებულობდნენ ირანიდან, მცირე აზიიდან, ანდა ხმელთაშუა ზღვის აუზის კიდევ უფრო შორეული რაიონებიდან, რაც თავის მხრივ ფართო საექსპორტო სასაქონლო წარმოებასა და ვაჭრობას გულისხმობს მოცემულ ეპოქაში. სპილენძ-კალიანი შენადნობის ბრინჯაოს სხვადასხვა დანიშნულების იარაღებმა გაცილებით დიდი როლი შეასრულა, როგორც სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, ისე თავდაცვით-საომარ სამხედრო საქმეში.

ამავე ხანაში დიდი გარდატეხა ხდება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკის წარმოებაში. XV-XIV საუკუნეებიდან საქართველოს ბარის რეგიონებში იშვიათად ვხვდებით ხელით ნაძერწ თიხის ჭურჭელს, რაც მოწმობს, რომ კერამიკული წარმოება „სამანქანო“ საფუძველზე გადასულა, რაც, ცხადია, დიდად აამაღლებდა შრომის ნაყოფიერებას.

დიდად მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო ამ დროს, ასევე, მოშინაურებული ცხენის – სატრანსპორტო (გადასაყვან-საზიდარი) და საომარი დანიშნულების ცხოველის გამოჩენა საქართველო-კავკასიურ სამყაროში. ცხენით ძველი აღმოსავლეთი უფრო ადრე, ძვ.წ-ის II ათასწლეულის დამდეგიდან სარგებლობდა (ევროპა კიდევ უფრო ადრე). ამიერკავკასიაში კი, მკვლევართა აზრით, ცხენი მხოლოდ გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის მოვლენა იყო.<sup>67</sup> თუმცა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არაა მანამდეც ყოფილიყო აქ მოშინაურებული ცხენი.

<sup>67</sup> სინ, I, გვ. 249-250.

როგორც ცნობილია, ცხენმა დიდი როლი შეასრულა საზოგადოების ცხოვრებასა და განვითარებაში. მისი საშუალებით შემოკლდა მანძილი ღროში, იყო შესანიშნავი ტვირთმზიდავი სატრანსპორტო საშუალება, გაცხოველდა კავშირურთიერთობა შორეულ მხარეთა შორის, საომარი და ტვირთმზიდავი ცხენები დიდ როლს ასრულებდნენ ომებში, ამასთან, გაჩნდა საომარი ცხენიანი ეტლები.

ამ პერიოდში გამოჩნდა რკინაც, რითაც დაიწყო ბრინჯაოს ხანის დასასრულის დაწყება. მათ შორის 2-3 საუკუნოვან შეჯიბრში რკინა გამოვიდა გამარჯვებული, დაიწყო რკინისა და ფოლადის წარმოება-მიღება.

მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ გამორიცხული არაა მსოფლიოში რკინის წარმოების ერთ-ერთი უძველესი კერა ქვემო ქართლი ყოფილიყო, რასაც მოწმობს უამრავი სამთო გამონამუშევარი და ქურების ნანგრევები. ერთ-ერთი ასეთი ლითონდამუშავებელი სახელოსნო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა აღმოჩენილია ბორჯომის ხეობაში, სოფ. წალვერის მახლობლად 1911 წელს ექ.თაყაიშვილის მიერ. ბ.კუფტინის აზრით, რკინის ხანა საქართველოში XII საუკუნეა. მართლაც ძვ.წ-ის XII-XI სს-ში არქეოლოგიურ ფენებში გვხვდება რკინის იარაღი და საჭურველი (დანა, სატევარი და სხვ.). უკვე ძვ.წ-ის I ათასწლეულის I მეოთხედის ბოლოს ყოველგვარი იარაღი და საჭურველი მხოლოდ რკინისაა, მათ შორის ნაჯახი და თოხიც. მიაჩნიათ, რომ რკინის დამზადების ხარისხმა ამ დროს არნახულს მიაღწია, რამაც დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის პერიოდი დაიწყო ძვ.წ-ის XV-XIV საუკუნეებში და, როგორც მკვლევარ-არქეოლოგებს მიაჩნიათ, გაგრძელდა 800 წელი და დამთავრდა VII ს-ის ბოლოს. აქედან პირველი 2-3 საუკუნე (XV-XIII სს.), მათი აზრით, წმინდა გვიანდელი ბრინჯაოს ხანაა, შემდეგი 5 საუკუნე – ბრინჯაოსა და რკინის თანაარსებობის პერიოდი, ხოლო VII საუკუნიდან დადგა წმინდა რკინის ხანა (ამასთან, სწორად მიაჩნიათ, რომ აქ აბსოლუტურ პერიოდიზაციამზე პრეტენზია არაა). მთელი ეს ისტორიული პერიოდი კარგადაა ასახული მრავალფენიან ნამოსახლარებზე: ნა-

ცარგორას ცხინვალთან, ხოვლეგორას კასპის რაიონში, სამთავროში მცხეთასთან, ბრილში ღებთან.

\* \* \*

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, სახელდობრ, ძვ.წ-ის II და I ათასწლეულთა მიჯნაზე და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში, ქართული ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, უაღრესად დიდმნიშვნელოვანია აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთის ტერიტორიაზე ბოლო დროს ჩატარებული დაზვერვითი ძიებანი და გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები (კ.ფიცხელაური). რაც ადასტურებს აქ ცივილიზაციის კიდევ ახალ კერებს და საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ აქ ცალკე პოლიტიკური გაერთიანებანი ქალაქური ტიპის დასახლებებით.

ერთ-ერთი ასეთი კერა არის მდ.იორსა და მტკვარს შორის, დაჯით გარეჯის უღაბნოს ზეგანზე, აეროფოტოგადაღებებით დეშიფრირების შედეგად აღმოჩენილი, წინასწარ შედგენილი და გეგმარებული პროექტით განაშენებული დიდი სამოსახლოები. დასახლებათა ჯგუფებს აქვთ თავიანთი ცენტრალური დასახლებანიც.

ერთ-ერთი ჯგუფის ცენტრალური ნამოსახლარი მოსახლეობაში „ნაომარი გორის“ სახელწოდებითაა ცნობილი, რომელიც ერთი კმ-ის სიგრძეზეა გაშენებული მთის თხემის გაყოლებით. აღმოსავლეთით, მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში, კვადრატული ფორმის ციტადელია ქვის ოთხი გალავნით და დამცველი თხრილებით. შიდა გალავანს, რომლის სიგანე 4 მეტრია, კუთხეებში კოშკები ჰქონია. როგორც გალავნების, ისე საცხოვრებელ შენობათა კედლების ქვედა ნაწილი ნაგებია კლდის დიდი ნაგლეჯი ქვებით. გალავნის კედლების შიდა და გარე მხარე (პერანგი) კლდის მოზრდილი ქვებითაა ნაწყობი, ხოლო მათ შორის ფართობი მცირე ქვების ნაყარითაა შევსებული.<sup>68</sup>

<sup>68</sup> K.Pizchelauri. Eine neue altorientalische Kultur der eisenzeit im innern des Kaukasus, Anadolu arastirmalari, XIV, Istanbul - 1996, გვ. 426.

ციტადელის აღმოსავლეთ მონაკვეთში ბორცვია, – ნამოსახლარის ყველაზე მაღალი წერტილი. როგორც მიაჩნიათ, ბორცვის ცენტრალურ ნაწილში ქვით ნაგები დიდი შენობა უნდა იდგეს, რომელიც წმინდა ნაცრიტა და დამწვარი ნამტვრევი ქვებითაა დაფარული. ნაყარში აქ აღმოჩენილი გამომწვარი თიხის ჭურჭელი ტიპიურია ძვ.წ-ის II-I ათასწლეულთა მიჯნის იორ-ალაზნის აუზის არქეოლოგიური ძეგლებისთვის.<sup>69</sup>

ციტადელის ბორცვი თავისი სტრუქტურით ემსგავსება კახეთში გათხრილ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამლოცველოებს და ფიქრობენ, რომ „ნაომარ გორაზე“ იგი მსგავს დანიშნულებას ასრულებდა.<sup>70</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნამოსახლარის სამხრეთ ნაწილში გალავნის გარეთ არსებულ ტერასაზე დაკრძალულია, აშკარად ჩანს, ბრძოლაში აჩეხილი მეომრები, რომელთა ნაწილის ნაშთებს აკლიათ ზოგს თავი, ფეხი ან ხელი. ყველა ეს სამაროვანი, მეომრების ნაშთებთან ერთად აღმოჩენილი ინვენტარით, მიაჩნიათ, რომ კარგად თარიღდება ძვ.წ-ის IV საუკუნით. აშკარაა, ამ „ნაომარ გორა“ ბორცვზე ბრძოლა გამართულა და ეს წარმოქმნილი სიტყვა-ტოპონიმიც „ნაომარი გორა“, საფიქრებელია, ძვ.წ-ის IV საუკუნის ამბების ამსახველია. ამასთან, რაც მთავარია, ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა, რომლის ხსოვნამაც ეს ფაქტი და ტოპონიმი („ნაომარი გორა“) შემოინახა 2400 წლის განმავლობაში, აშკარაა, ეთნიკურად არ შეცვლილა.<sup>71</sup>

როგორც „ნაომარი გორის“ ირგვლივ მდებარე მცირე სამოსახლოებს, ისე გარეჯის უდაბნოს სხვა ნამოსახლარ ბორცვებს, როგორც წესი, აქვთ თავდაცვითი თხრილები და მიწაყრილები. ყველა ეს არქეოლოგიური ძეგლი, ზედაპირულად შეკრებილი თიხის ჭურჭლის მიხედვით, ქრისტემდე II-I ათასწლეულთა მიჯნის ახლო ხანებით თარიღდება.<sup>72</sup>

<sup>69</sup> K.Pizchelauri. დასახ.ნაშრომი, გვ. 426

<sup>70</sup> იქვე

<sup>71</sup> იქვე, გვ. 427

<sup>72</sup> იქვე

ამგვარად, გარეჯის უდაბნოს ნამოსახლართა გეგმარებით თუ ვიმსჯელებთ, მიაჩნიათ, რომ აქ აშკარად ცივილიზაციის დონე ჩანს, მაღალგანვითარებული კულტურული კერის გაჩენა. ამასთან, მიაჩნიათ, რომ, შესაძლოა, ვივარაუდოთ აქ წინააზიური დაწინაურებული კულტურის მძლავრი გავლენა, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ აქ ამგვარი დაწინაურებული გაერთიანებისა და ცივილიზაციის წარმოქმნისათვის ადგილზეც ყოფილიყო საჭირო სამეურნეო-ეკონომიკური საყრდენი.<sup>73</sup> პირადად ჩვენ ეს მეორე მოსაზრება მიგვაჩნია სწორად.

როგორც ცნობილია, უძველესი ცივილიზაციის თითქმის ყველა აკვანი მდინარეთა აუზებში აღმოცენდა და უმთავრესად სოფლის მეურნეობის მაღალი დაწინაურების საფუძველზე. ზოგან ბუნებრივი პირობებით, ზოგან მაღალი საირიგაციო სისტემით, გარეჯის უდაბნო კი გეოგრაფიულად ისეთ რეგიონშია, სადაც სოფლის მეურნეობის მაღალი დაწინაურებისათვის ბუნებრივი პირობები არ არის და იგი არც ხელოვნური რწყვით იქნებოდა შესაძლებელი, რადგან ეს მხარე მთაგორიანი ზეგანია, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე და ასევე მდინარეების ივრისა და მტკვრის ზედაპირისაგანაც საკმაოდ მაღლა მდებარეობს.

ისმის კითხვა: აბა, რას უნდა გამოეწვია აქ მაღალგანვითარებული ცივილიზაციის წარმოქმნა?

ყურადღება მიიპყრო უდაბნოს ტოპონიმიკამ და ტოპოგრაფიამ. უდაბნოს ყველაზე მაღალ მთას „რკინის მთას“ უწოდებენ. გამოირკვა, რომ ამ მთის მიდამოებში განფენილია უდაბნოს ნამოსახლართა ძირითადი ნაწილი. ამ ნამოსახლართა ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩნდა რკინის მადნის ბუნებრივი გამოსავლები, ხოლო ერთ-ერთ ნამოსახლარზე რკინის წილის მრავალი ფრაგმენტიც. გეოლოგიის სპეციალისტთა დიდი ჯგუფის მიერ საძიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად უდაბნოში აღმოჩნდა მაღალი ხარისხის რკინის მადანი და მისი ძველი გამონამუშევრები. არქეოლოგებმა კი უდაბნოში დაადასტურეს რკინის მადნის პირველადი დამუშავების მრავალი სახელოსნოც, რომელთა კულტურული ფე-

<sup>73</sup> K.Pizchelauri. დასახ.ნაშრომი, 427-428



ნა ზოგჯერ 2-3 მეტრი სისქისაა მრავალი შრიტ. რკინის მადნის ძველ გამონამუშევრებზე გამოვლენილი კერამიკული მასალა ძვ. წ-ის II-I ათასწლეულის მიჯნის ახლო ხანებისაა, ხოლო რკინის გამოსადნობი სახელოსნოების ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკული მასალა, – როგორც ამ პერიოდის, ისე ადრეფეოდალური ხანისაა,<sup>74</sup> რაც აქ რკინის წარმოების დიდი ხნის მანძილზე არსებობას მიუთითებს.

ამრიგად, გარეჯის უდაბნოს ტერიტორიაზე ძვ.წ-ის II-I ათასწლეულების მიჯნაზე დასტურდება მეტალურგიული წარმოების განვითარება.

უდაბნოს ნიადაგების და ნამოსახლარების კულტურული ფენების პალინოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ შავმიწანი-ადაგიანი ეს მხარე ძვ.წ-ის II-I ათასწლეულების მიჯნაზე ხშირი ტყით იყო დაფარული. რკინის დამუშავების დიდი მასშტაბები უდაბნოში საჭიროებდა ხის ნახშირის დიდ რაოდენობას, რამაც გამოიწვია აქ ტყეების განადგურება. სწორედ ამას მოჰყვა აქ ძვ.წ-ის I ათასწლეულში ეკოლოგიური კატასტროფა – ტყის მასივები ჯერ ბუჩქნარმა, ხოლო ბოლოს ბალახის საფარმა შეცვალა, რის გამო ადამიანმა საბოლოოდ მიატოვა საცხოვრებლად ეს მხარე.<sup>75</sup> უდაბნოში ცხოვრება კვლავ იღვიძებს მხოლოდ ახ.წ-ის შემდეგ VI ს-ში, როცა აქ ჩნდება ქრისტიანული სამონასტრო კომპლექსი „დავით-გარეჯი“.<sup>76</sup>

ამგვარად, როგორც არქეოლოგი კ.ფიცხელაური აღნიშნავს, ძვ.წ-ის II-I ათასწლეულის მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე, კახეთში, დავით-გარეჯის უდაბნოს რეგიონში აღმოჩნდა ცივილიზაციის კიდევ ერთი კერა, – ცალკე პოლიტიკური გაერთიანება ქალაქური ტიპის დასახლებითა და ქალაქური ცივილიზაციით (საბოლოო პასუხი კი ამ საკითხზე და პრობლემურ ვარაუდებზე აქ არსებული არქეოლოგიური ძეგლების სრული შესწავლის შემდეგ გაიცემა).

<sup>74</sup> K. Pizchelauri. დასახ. ნაშრომი, გვ. 428-429; იქვე ლიტერატურა

<sup>75</sup> იქვე, გვ. 429; იქვე ლიტერატურა

<sup>76</sup> იქვე, ლიტერატურა გვ. 429

გარდა ზემოაღნიშნული უდაბნოს ცივილიზაციისა, მეტად ნიშანდობლივი და განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო წლებში დიდი არქეოლოგიური აღმოჩენებით ივრის ზეგანის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილშიც გამოვლინდა უდაბნოს ქალაქური ცივილიზაციის მომდევნო დროის, ძვ.წ-ის VIII-VII საუკუნეების მცირე ქალაქთა მთელი სისტემა, რომელიც ხასიათდება თიხის არქიტექტურის მკაცრი გეგმარებით, ქვის მოკირწყლული ქუჩებით, კანალიზაციის სისტემით და, რაც მთავარია, მძლავრი საირიგაციო ქსელით და მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით.

ყოველივე ეს სრულიად ახალი ფურცელია ძვ.წ-ის II-I ათასწლეულთა მიჯნისა და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ცივილიზაციის ისტორიაში. მიგვაჩნია, რომ ჩვენ აქ საქმე უნდა გვექონდეს ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან აღნიშნულ ისტორიულ პერიოდში.

\* \* \*

გვიან ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში მოსახლეობა საქართველოში, როგორც მიაჩნიათ, საკმაოდ ინტენსიურადაა დასახლებული. აღმოსავლეთ საქართველოში იგი, როგორც დაბლობში, უფრო მეტად ბუნებრივ ბორცვებზე და გორაკებზე, ისე მთისწინეთშია განფენილი.

ქართველ არქეოლოგთა დიდი კოლექტივის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ასეულობით „გორა“-ნამოსახლარები ძვ.წ-ის XV-IV საუკუნეებისა. სახელდობრ, აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი ნამოსახლარებია: ცხინვალის „ნაცარგორა“, ზოვლეგორა, „ყათნალიხევის გორა“ უფლისციხის ნაქალაქარის დასავლეთით, „თრელიგორები“ თბილისსა და სოფ.დილომს შორის, „ზალაანთ გორი“ სოფ.ახალ ნიჩბისთან, „ნატასტარი“, პატარძეულში „ბეჟიტაანთ გორა“, ნასტაკისის გორა, გორა-„საქარეთი“ ოძისში, მუხრანის „მელიების გორა“, „კასპის გორა“, წეროვნის დასავლეთით

„დიდი გორა“, „ციხე-გორა“ ხანდაკთან, „ავაზას გორა“, „ტახტის მუხა“, „საბადურის გორა“ სოფ. კაკაბეთის მახლობლად, „თელეთის გორა“ სოფ.ბადიაურის ჩრდილოეთით, „სამგლე სერი“ სოფ.მელაანის სამხრეთით, „საყდრის გორა“ გურჯაანის რ-ში, „თამარის გორა“ სოფ.ჯაფარიძის სამხრეთ-დასავლეთით, „თეფა“, „ციცქარაანთ გორა“, „ელეას მთა“, „ხატის გორა“ – წითელწყაროს (ამჟ.დღელოფლის წყაროს) რ-ში და უამრავი სხვ.<sup>77</sup>

მოცემულ ხანაში, უმთავრესად კი ძვ.წ-ის II ათასწლეულის დასასრულს, დასტურდება, რომ მოსახლეობა სამოსახლო-საცხოვრებლად ამჟობინებს შემალღებულ ადგილებს – გორებსა და ბორცვებს. მკვლევარები ფიქრობენ, რომ საამისო მიზეზი თავდასაცავად რაღაც საშიშროება უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ვარაუდობენ „ეგეოსურ შემოსევას“, რამაც მცირე აზიაში ხეთების სამეფო გაანადგურა, ხოლო ამას, შესაძლოა, სათანადო რეზონანსი ჰქონდა ამიერკავკასიაში. ჩემი აზრით, ეს ნაკლებად მისაღებია. გორა-ნამოსახლარების და ბორცვი-სამოსახლოების გაჩენა მაინც ადგილობრივი ფაქტორებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. გორა-ბორცვები მოსახლეობისათვის თავიდანვე ხელსაყრელი სტრატეგიული პუნქტები უნდა ყოფილიყო საკუთარი თავისა და ქონების თავდასაცავად. როგორც ცნობილია, ტერმინი „გორა“, როგორც მოცემული ხანის სოციალური ინსტიტუტის შესახებ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ნ.ბერძენიშვილმა. მოცემული ხანის გორა-ბორცვების მოსახლეობა მთის მოსახლეობას კი არ განეკუთვნებოდა, არამედ ბარულ მოსახლეობას, რადგან ეს გორა-ბორცვები ბარის ბუნებრივი შემალღებული ადგილები იყო.

მოსახლეობის ძირითად საარსებო წყაროს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა შეადგენდა. მოცემულ ხანაში, უეჭველია, არსებობდა მიწის სათანადო სახენელი იარაღი, კავი თუ გუთანნი, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა აღმოსავლეთ საქართველოში მძიმე მიწის დამუშავება. მართალია, ჯერ ეს იარაღები მოცემული ხანისა მიკვლეული არაა, მაგრამ ეს გარემოება ვერ უარყოფს მათ

<sup>77</sup> დაწვრ.სრული სია(სკალა) იხ.კ.ფიცხელაურის ნაშრომში „აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები ძვ.წ-ის XV-VII საუკუნეებში“, „მეცნიერება“, 1973 წ.

არსებობას აღნიშნულ ეპოქაში. მიწის გასაფხვიერებლად კი მთელ საქართველოში ხმარობდნენ ბრინჯაოსა და რკინის თოხს. მარცვლულ მეურნეობაში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, რაც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შემონახული ცხინვალის ნაცარგორას ბელელში და სხვა წარმართულ სამლოცველოებში. მარცვლულს ფქვავდნენ ხელსაფქვავეთ. პურს აცხობდნენ ღუმელებში, რომელნიც აღმოჩენილია ხოვლეგორასა და ზოგიერთ ნასოფლარზე. სათანადოდ იყო განვითარებული მოსახლეობის მეორე ძირითადი საარსებო წყარო მესაქონლეობაც. სათანადო დონეზე იდგა, ასევე, მოსახლეობის შინამრეწველური ხელოსნური დარგებიც.

დასავლეთ საქართველოშიც მოსახლეობა აღნიშნულ ხანაში საკმაოდ ინტენსიურადაა დასახლებული, ოღონდ აქ დასახლების სისტემა და ტიპები რიგ ადგილებში განსხვავებულია. ცნობილია, კოლხეთის ჭაობში საცხოვრებელი სახლი არ დაიდგმება, ამიტომ IV-III ათასწლეულებში და შემდეგაც, სახელდობრ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშიც, მოსახლეობას სამოსახლოდ ამოყავდა მიწის ხელოვნური გორაკები ჯგუფ-ჯგუფად ახლო-მახლო, ან გაფანტულად, — ერთმანეთის მოშორებით. ამ ხელოვნურ გორაკებს ანუ ბორცვებს ირგვლივ ფართო და ღრმა თხრილი ჰქონდა (წყალი, თავდაცვა). ცხადია, კოლხეთის ჭაობიან დაბლობზე ამგვარი სამოსახლო კომპლექსი მოითხოვდა შრომის დიდ ორგანიზაციას. მაგრამ კოლხეთში (დასავლეთ საქართველო) იყო აგრეთვე დაბლობის შედარებით ამოწეული ნაწილებიც, სადაც უხვადაა სტრატეგიულად მოხერხებული ბუნებრივი გორაკები, ქედები და ზეგნის ტიპის ადგილები, ასევე მთისწინეთი, სადაც შეიძლებოდა ადამიანთა კოლექტივების უშიშრად დასახლება. ერთ-ერთი ასეთი რეგიონი დასავლეთ საქართველოში იყო „ქუთაისის ქვეყანა“. ამრიგად, გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში აქ სამოსახლოები მოცემული იყო ხელოვნურად აგებულ ან ბუნებრივ ხელსაყრელ ადგილებში გამაგრებული საცხოვრებელი კომპლექსის სახით. ბარში, როგორც წესი, აგებდნენ ხის სახლებს, ხოლო მთაში მასთან ერთად უნდა ყოფილიყო ქვის ნაგებობანიც.

როგორც არქეოლოგიური მასალებით დგინდება, მეურნეობა დასავლეთ საქართველოშიც მნიშვნელოვნად ყოფილა განვითარე-

ბული: ბარში წამყვანი იყო მიწათმოქმედება, ხოლო მთაში მესაქონლეობა, ხოლო სადაც წიაღისეული არსებობდა, – გაჩაღებული იყო სამთამადნო-მეტალურგიული წარმოება.

მთელ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც სათანადო არქეოლოგიური კვლევის შედეგად ირკვევა, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორა-ბორცვების მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედნი არიან, ფართოდ უნდა ყოფილიყო განვითარებული მესაქონლეობაც და, ამასთან, აღინიშნება მევენახეობის დაწინაურებაც. იმ დროის შესაფერისად განვითარების მაღალ დონეზე იღვამრეწველობაც: ხელოსნობა და მეტალურგია.

მოსახლეობის ძირითადი საზრდო იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის პროდუქცია: მარცვლეული, ბოსტნეული, ღვინო, ხორცი, რძე, რძის ნაწარმი და სხვ. რაც შეეხება ტანსაცმელს, მოცემულ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობა ძირითადად იმოსებოდა სელისა და შალის ქსოვილებით, ბეწვით, ქეჩით, ამზადებდნენ ქინძისთავებს, ღილებს, საკიდებს და სხვ.\*

\* \* \*

ქართველ არქეოლოგებს და ისტორიკოსებს რატომღაც არ დაუსვამთ საკითხი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, კერძოდ, ძვ.წ-ის XV-X საუკუნეებში, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, სახელდობრ, ქართლის (თრიალეთის კულტურის რეგიონი) და კახეთის (მტკვარ-იორის და იორ-ალაზნის შუამდინარეთის) მიწაწყალზე, რომელნიც ქართველ ტომებს ეჭირათ, საზოგადოების დასახლებათა როგორი ტიპი ან ტიპები (სახეები) არსებობდა. როგორც ცნობილია, ისტორიულად დაბა-სოფლებად დასახლებას წინ უსწრებდა დიდ გვაროვნულ ოჯახებად, დიდ სახლისეულ ერთობებად (კომუნებად) დასახლება, რომლებშიც შედიოდა რამდენიმე თაობა. შემდგომ კი ჩნდება დაბა-სოფლები და მოსახლეობის სოფლურად დასახლება. ამასთან, დიდი ოჯახების გვერდით წარმოიშვიან ინდივიდუალური ოჯახებიც.

\* „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ (სინ I) ბრინჯაო-რკინის ხანის ისტორიის ავტორებია: ტ.ჩუბინიშვილი, ო.ჯაფარიძე, გ.გობეჯიშვილი.

მოცემულ ეპოქაში, ძვ.წ-ის XV-X საუკუნეებში, გამოვლენილი მატერიალური კულტურის მიხედვით, რითაც ჩემი ღრმა რწმენით, მოსახლეობა ბინადარია, უფრო ჩანს, რომ ქართველი ტომი თუ ტომები უკვე პატარა დაბა-სოფლებად არიან დასახლებულნი და ამ დაბა-სოფლებს, ცხადია, თავიანთი სახელწოდებანი უნდა ჰქონოდათ, რათა საზოგადოებას ისინი გაერჩიათ ერთმანეთისაგან. ამასთან, ეს დასახლებანი შერეული ტიპის უნდა ყოფილიყო: ნაწილი სოფლებისა დასახლებული უნდა ყოფილიყო გვაროვნულად, ე.ი. ერთი მონათესავე გვარის ოჯახებისაგან, ხოლო ნაწილი – ე.წ. „სამეზობლო“ ანუ შერეული სახით: სხვადასხვა გვარის (მონათესავე და არამონათესავე) ოჯახებისაგან. გარდა ამისა, სასოფლო-სადაბო ეს საზოგადოებანი შედგენილი და დასახლებული უნდა ყოფილიყო, როგორც დიდი სახლისეული ერთობის (კომუნის) რამდენიმე თაობისაგან შემდგარი ოჯახებისაგან, ისე ინდივიდუალური, როგორც წესი, ორი-სამი თაობისაგან შემდგარი ოჯახებისგან.

მოსახლეობის დაახლოებით ასეთივე სახის დასახლება უნდა ყოფილიყო აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც.

ისიც უნდა ითქვას, შესაძლოა, ასეთი ტიპის დასახლებანი ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ადრეულ ხანაშიც, ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაშიც (ძვ.წ-ის III-II ათასწლეულის დასაწყისი), მაგრამ გადაჭრით ამის შესახებ რაიმეს თქმა ძნელია.

\* \* \*

მკვლევარმა არქეოლოგებმა და ისტორიკოსებმა დასვეს საკითხი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ეთნიკური კუთვნილების შესახებაც. როგორც ცნობილია, ძველადმოსავლური წერილობითი წყაროები აღნიშნულ ხანაში დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა შესახებ, საერთოდ, არა-

ფერს გვაუწყებენ. რაც შეეხება ბერძნულ და რომაულ წყაროებს, ისინი გვიანდელ ამბებს ასახავენ.

მართალია, ამ მხრივ ჩვენ მაინც გვაქვს ქართული წერილობითი წყარო, მაგრამ ძალიან გვიანდელი, XI საუკუნისა – ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. ამასთან, უნდა ითქვას, ლეონტისეულ ბიბლიურ მამამთავართა მიხედვით ქართველი ხალხის წარმოშობას ისტორიული ღირებულება არა აქვს, რადგან მან თვითნებური არმენოფილური ბიბლიური სქემა შეადგინა, ნაცვლად იმისა, რომ აფთენტური ბიბლიური სქემა მიეღო და მას გაჰყოლოდა, რომლის მიხედვით, „ბიბლიის“ თუბალები და მუშქები („თუბალი“ და „მეშეხი“ – „მესეხი“) ყველა ანტიკურ ავტორს იმ დროის იბერების (ქართველების) ეთნიკურ წინაპრებად მიაჩნდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სხვა მხრივ, სწორია ლეონტის კონცეფცია ამიერკავკასიაში ქართველი ტომების (ქართლოსიანების და ეგროსიანების (ეგრისელების) დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ-ის არა თუ IV საუკუნემდე (ალექსანდრე მაკედონელამდე), არამედ გაცილებით ადრეულ (არქაულ) ეპოქაშიც, კერძოდ, მეფე ნაბუქოდონოსორამდე, ძვ.წ-ის VI ს-მდე, სახლობისა და ცხოვრების შესახებ.<sup>78</sup> მაგრამ, ლეონტის ეს შეხედულება თავისთავადი ზეპირი განცხადებაა მიხედვით ბიბლიური სქემის საფუძველზე, მისდროინდელი ამიერკავკასიის ხალხთა აქუძველეს დროში, ბაბილონის გოდოლის „შენების“ შემდგომი დროიდან დასახლებისა. ძველადმოსავლური წყარო კი, რომელიც ნათელ ცნობებს იძლეოდეს ძვ.წ-ის II და I ათასწლეულის ბირგელ ნახევარში დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა შესახებ, არ არსებობს.

სამაგიეროდ, თანამედროვე ქართულ ისტორიულ-არქეოლოგიურ მეცნიერებას მოპოვებული მატერიალური კულტურის საფუძველზე, სავსებით შეუძლია ამ მხრივ სწორი, რეალური მეცნიერული შეხედულება ჩამოაყალიბოს.

სახელდობრ, სამეცნიერო არქეოლოგიურ ლიტერატურაში სათანადო მასალების შესწავლის საფუძველზე აღნიშნულია, რომ

<sup>78</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.3-16

ადრეფიციდალურ ხანაში VIII საუკუნემდე არქეოლოგიური კულტურა საქართველოში ისეთივეა, როგორც იყო ძვ.წ-ის II-I ათასწლეულის მიჯნაზე.<sup>79</sup> ეს კი მეტყველებს მატერიალური კულტურის უწყვეტ ჯაჭვს საქართველოში 1700 წლის მანძილზე, რომლის შემოქმედი, ცხადია, ერთი და იგივე ეთნოსია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები – ქართველი ხალხი. ამის საფუძველზე, ჩემი აზრით, ასევე, ძვ.წ-ის II-I ათასწლეულის მოსახლეობა საქართველოში, მატერიალური კულტურის მონაცემებით, – ბინადარია, მაღალი კულტურით, იგი ცოცხალი თავით არსად წამსვლელი არაა ამ ტერიტორიიდან, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო გეოგრაფიული რეგიონია: ბარი, მთა, ზღვა, ნაყოფიერი ნიადაგი, ზომიერი კლიმატი, ბუნება უხვად აჯილდოებს ადამიანის შრომას. აქ მოსახლე ტომები – ქართველებია. მაშასადამე, არქეოლოგიური მატერიალური კულტურა უდავოდ მეტყველებს, რომ გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან, ძვ.წ-ის II ათასწლეულის შუა ხანიდან მაინც (ჩემი აზრით, კი, უფრო ადრეული, მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქიდან (ძვ.წ-ის III ათასწლეული), შესაძლოა, კიდევ უფრო არქაული ეპოქიდანაც) დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ტომები და მათი წინაპრები ცხოვრობდნენ.

ამრიგად, აღნიშნული მეტერიალური კულტურა ბუნებრივ საშუალებას იძლევა, რომ დღ.საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა გაბმული (უწყვეტი) ეთნიკური ისტორია ძვ.წ-ის II ათასწლეულის II ნახევრიდან მაინც დაიწყო; როგორც აღნიშნავენ, „უკვე ძვ.წ-ის II ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც კავკასიის, კერძოდ ამიერკავკასიის, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძირითადად ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც შემდეგში“<sup>80</sup> და რომ ბრინჯაოს ხანიდან აღმოსავლეთ საქართველოში მთელ ამ პერიოდში ეთნიკური სუბსტრატი არ შეცვლილა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კი ძველი ბერძნული წყარო (მითი)

<sup>79</sup> კ.ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის..., გვ. 127.

<sup>80</sup> გ.მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 103.



„არგონავტიკა“ ძვ.წ-ის II ათასწლეულის II ნახევარში ასახელებს კოლხების ეთნოსს, ქვეყანა კოლხეთს და მის დედაქალაქ აიას.

მკვლევრები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ლეონტის მიერ დასახელებულ ქართველ (ქართლოსიანთა) მამამთავართა კუთვნილი ტერიტორიების სახელწოდებებსა და საზღვრებს (ქართლოსი, პეროსი, კახოსი, კუხოსი და სხვ.), მიაჩნიათ, რომ მასში არეკლილია განსაზღვრული ეპოქის მდგომარეობა.

სახელდობრ, მიაჩნიათ, რომ ლეონტისთან ასახული აღმოსავლეთ საქართველოში კუთხეებად დანაწილება: კახეთი, კუხეთი, პერეთი – გეაროვნული საზოგადოების პერიოდში მომხდარი ფაქტია და ძვ.წ-ის IV საუკუნეზე ადრინდელი ეპოქისაა. შემდეგში, კლასობრივ საზოგადოებაში ჩატარებული ადმინისტრაციული დაყოფა კი, ეს ადრეული ტრადიციების გაფორმებაა, რომ მათ შემორჩათ ძველი გეაროვნული ეთნიკური სახელები: კახოს – კახეთი, კუხოს – კუხეთი და ა.შ.<sup>81</sup>

ამ მხრივ გვისახელებენ კონკრეტულ ქრონოლოგიასაც. სახელდობრ, მიაჩნიათ, რომ ლეონტი მროველის მიერ მოცემული კახეთის, კუხეთის და პერეთის საზღვრები ასახავს ძვ.წ-ის IV-III საუკუნეების ვითარებას.<sup>82</sup>

ირაკვევა, რომ ქართველებს წინაქრისტიანულ ხანაში გააჩნდათ თავისი ქვეყნის ისტორიის ცოდნა და საამისო წყაროები. როგორც ნ.ბერძენიშვილი წერს: „იბერიას თავისი პოლიტიკური წარსულის ცოდნა მწყობრად გამართული თხრობის სახით, ჯერ ისევე წინაქრისტიანულ ხანაშივე მოეპოვებოდა“.<sup>83</sup> ეს ვითარება კი ნათლად ჩანს, როგორც ლეონტი მროველის „ქართველთა მეფეთა ცხოვრების“ ცნობებში, ისე განსაკუთრებით „ქართლის მოქცევის“ ისტორიულ მატრიანეში, უმთავრესად მასში დაცულ ძველი

<sup>81</sup> ლევან ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958 წ., გვ. 19

<sup>82</sup> დ.მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, „მეცნიერება“, 1966 წ., გვ. 5-37. იხ. ასევე დართული რუკა

<sup>83</sup> ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკ. II, 1961 წ., გვ. 161

იბერიის წარმართ მეფეთა ქრონიკაში, რაც წინაქრისტიანულ ქართლში ისტორიული წყაროების არსებობაზე მეტყველებს, რომელნიც, შესაძლოა შემორჩენილი იყო ქართლში ადრექრისტიანულ საფეხურზე.

როგორც დავინახეთ, ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიულ-არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის გამორკვეულ-დადასტურებული, რომ ძვ.წ-ის II ათასწლეულის შუა ხანებიდან (და, შესაძლოა, უფრო ადრეული ეპოქებიდან) დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველი ტომები, რომელნიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დიდად დაწინაურებულნი ჩანან. ამჟამად კი კითხვა ისმის მატერიალური კულტურის მონაცემების საფუძველზე მოცემულ ხანაში ქართველ ტომთა პოლიტიკური სტრუქტურის შესახებ, – შესაძლოა თუ არა ვიმსჯელოთ მოცემულ ხანაში მათი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში შესვლისა და ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შესახებ, ანუ როგორც დასაწყისში ითქვა, შეიძლება თუ არა, ლეონტი მროველის მოცემული ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის საწყისი თარიღის (ძვ.წ-ის IV ს.) არქაიზაცია დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, და თუ შეიძლება, მაშინ რა ქრონოლოგიურ სიღრმეში შეიძლება მისი გადატანა?

\* \* \*

საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისა და პოლიტიკური სტრუქტურის თვალსაზრისით, ქართველ ისტორიკოს-არქეოლოგებს მიაჩნიათ, რომ ძვ.წ-ის II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში ამიერკავკასიის მოსახლეობა ადის „სამხედრო დემოკრატიის“ (მორგანის ტერმინი) საფეხურზე, მონათესავე ტომთა გაერთიანება ყველგან აუცილებელი ხდება, რაც იწვევს ცალკეულ ტომთა ტერიტორიების გაერთიანებას.

„სამხედრო დემოკრატიის“ პერიოდი კი, როგორც ცნობილია, პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების განვითარებას.

რების უმაღლესი და უკანასკნელი ეტაპია და გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივზე გარდამავალი პერიოდი. მოცემულ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარების მაღალ საფეხურზე დგას. ამჟამად ქონებრივი დიფერენციაცია – მდიდრებისა და ღარიბების ფენის წარმოქმნა, რაც იწვევს სოციალური (უფლებრივი) დიფერენციაციის ჩანასახის გაჩენას. თანდათან ყალიბდებოდა ინდივიდუალური ოჯახები, რასაც მოსდევდა კერძო საკუთრების გაჩენა. ამჟამად პერიოდში ინტენსიურად ხდება საზოგადოებიდან გვაროვნული არისტოკრატიის გამოყოფა.

ქართველ მკვლევარ-არქეოლოგთა შემაჯამებელი დასკვნით, ჯერ თრიალეთის დიდი „ბრწყინვალე კულტურის“ ხანაში საწარმოო ძალების დიდმა განვითარებამ მიწათმოქმედება-მესაქონლეობასა და მეტალურგიაში, შემდგომ კი გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში მომხდარმა დიდმა ძვრებმა და სიახლეებმა ეკონომიკისა და ტექნიკის სფეროში – რკინის იარაღის წარმოებამ და მისმა გამოყენებამ, ასევე, მოშინაურებული ცხენის გამოყენებამ მეურნეობაში, დიდად დააწინაურა და განავითარა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, დიდად გაზარდა მოსახლეობის შრომის ნაყოფიერება, განმტკიცდა სატომთაშორისო კავშირურთიერთობა, გამოიწვია საზოგადოებრივი ქონებრივი დიფერენციაცია, სოციალური დიფერენციაციის საწყისები – გვაროვნული არისტოკრატიის კლასად გამოყოფის პროცესი; ხოლო ყველა ამ სიახლეებმა მოამზადა ნიადაგი საზოგადოების შესაყვანად სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ, გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანა (XV-XI სს.) ქართველი ტომებისათვის პირველყოფილ გვაროვნულ წყობილებაზე მძლავრი შეტევის და სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა წარმოქმნის გასაღებს წარმოადგენდა, და რომ, ამ ხანაში აღნიშნულმა მოვლენებმა „დაამთავრა გვაროვნული საზოგადოების შლის პროცესი და ქართველი ტომები სახელმწიფოებრივი ცხოვრების გზაზე გაიყვანა“.<sup>84</sup>

<sup>84</sup> სინ, I, გვ. 251-253.

საკითხი ნათელია. ქართველ არქეოლოგთა შეხედულებით, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ძვ.წ-ის XV-XI სს-ის საქართველოში ყველა სოციალურ-ეკონომიკური პირობაა მომზადებული სახელმწიფოს შესაქმნელად, მაგრამ ჯერ მაინც ქართული სახელმწიფო სახეზე არ გვაქვს. აქ გასაგებია მათი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა ამ კარდინალურ საეტიპო საკითხში.

მიუხედავად აღნიშნული სიფრთხილისა და საკითხის მეტად სირთულისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მთელი მატერიალური კულტურა, განსაკუთრებით კი „თრიალეთის დიდი ბრწყინვალე კულტურა“ (ქართლი), ასევე, „უდაბნოს ცივილიზაციის“ (კახეთი) და კიდევ ზოგიერთი, საფუძველს იძლევა დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ან წარმონაქმნები დავადასტუროთ ძვ.წ-ის XV-X საუკუნეებში – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ისეთი დიდი ეთნიკური გაერთიანება, რომლის ცენტრი დიდი თრიალეთის „ბრწყინვალე კულტურა“ იყო, ჩანს, გასცდენილი იყო „სამხედრო დემოკრატიის“ ფარგლებს. ამ დიდ სატომო-ეთნიკურ გაერთიანებას, აშკარაა, ჰქონდა თავისი ტერიტორია გარკვეული საზღვრებით (მკაცრად გარკვეული საზღვრები ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით მომთაბარე ეთნოსებისას, ცხადია, არ გააჩნდა). თრიალეთის სატომო გაერთიანებას სათავეში უდგას ბელადი – მხედართმთავარი, რომლის სუვერენიტეტის ტერმინი, თუ რა იყო, უცნობია: „მხედართუფროსი“, „უფალი“, „მეფე“ თუ სხვ. ამასთან, უნდა ვიფიქროთ, თრიალეთის ეთნიკური გაერთიანების უფალ-ბელადთან არსებობდა გეაროვნული არისტოკრატიისაგან შემდგარი საბჭო, რომელთან ერთად „უფალ“-უზუცესი – მხედართმთავარი მართავდა ქვეყანას. ასეთი დიდი ეთნიკური ტერიტორიული გაერთიანება თავისი მძლავრი სოციალურ-ეკონომიკური ბაზისით და მმართველობის სტრუქტურით – მიწათმოქმედებამესაქონლეობით, ხელოსნობის მაღალი დახვეწილი დონითა და მეტალურგიით, ტექნიკური პროგრესით, მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნებისა და ხელოსნობის ნიმუშებით, ოქრომჭედლური ტექნიკის და მხატვრული ხელოვნების მაღალი დონით, დიდი ძალა-

უფლების მქონე მმართველი ბელადი-მხედართმთავრით თუ „უფალით“ და პატივით მოსილი გაბატონებული მსახურეული არისტოკრატით, საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციითა და სოციალური განფენების საწყისებით – გვაროვნული არისტოკრატის წარმოქმნით, – ჩვენ მიგვაჩნია უძველესი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ბირველად ფორმად, რომლის განვითარება და სრულყოფა საუკუნეებში ხდებოდა.

თრიალეთის დიდი ქვეყნის გაერთიანებაში, შესაძლოა, მოქცეული ყოფილიყო შიდა ქართლიც, უფლისციხის რეგიონი. თუმცა, გამორიცხული არაა „უფლისციხის ქვეყანა“ ცალკე ქართული ეთნიკური გაერთიანების მეორე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნიც ყოფილიყო. ძვ.წ-ის I ათასწლეულის I ნახევრის (VII ს.) უფლისციხის ნაქალაქარი, ვფიქრობთ, ასევე, უდავოდ, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ნათელი ნაშთი და დადასტურებაა.

უფლისციხე ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქართული გაერთიანების ცენტრი უნდა ყოფილიყო ძვ.წ-ის I ათასწლეულის I ნახევარში. არქეოლოგებს (კერძოდ, დ.ხახუტაიშვილი) მიაჩნიათ, რომ უფლისციხეში გრანდიოზული ციხე-ქალაქის შექმნა ადრეანტიკურ ხანაზე (ძვ.წ-ის VI-IV სს.) უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო.<sup>85</sup> ამასთან, მიაჩნიათ (გ.მელიქიშვილი), რომ უფლისციხე არის ანალოგია ურარტუს სახელმწიფოსა და საერთოდ მცირე აზიაში გავრცელებული კლდეში ნაკვეთი კომპლექსებისა, რომლის აქ შექმნა, ალბათ, მცირე აზიიდან შემოდწეულ მესხურ ელემენტს უკავშირდებაო.<sup>86</sup> მცხეთა უფლისციხეზე უფრო გვიანდელია. „ქართლის ცხოვრებით“ (ლეონტი) ქართველთა მამამთავრის ქართლოსის უფროსი ძე მცხეთოსია (მცხეთის ეპონიმი), ხოლო მცხეთოსის უფროსი ძე უფლოსი, რომელსაც წილად ზედა ქართლის მთელი „ზენა სოფელი“, ანუ შიდა ქართლი, მდ.არაგვიდან და თბილისიდან ტაშისკარამდე და ფარავნის ტბამდე.<sup>87</sup> ჩვენი აზრით, ლეონტი აქ ისტორიულ რიგს ვერ იცავს, რადგან

<sup>85</sup> სინ, I, გვ. 435, 623-625 (აქვე იხ.ლიტერატურა)

<sup>86</sup> იქვე, გვ. 435

<sup>87</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ.9-10

იგი აქ გვიანდელი ისტორიული რეალიებიდან აგებს ქართველთა მამამთავარ-ეპონიმთა სქემას (მცხეთის პირველობა ელინისტურ ხანაში და წყაროებით მისი უძველესი დედაქალაქობა), უფლისციხის უფრო სიძველე კი მცხეთასთან შედარებით, მის დროს ცნობილი არ იყო. უფლისციხის მცხეთაზე სიძველე უცნობია „ქართლის მოქცევის“ ავტორებისთვისაც. მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნავენ (გ.მელიქიშვილი), „ქართლის ცხოვრებაში“ (ლეონტიძისთან), შესაძლოა, შიდა ქართლში უფლისციხის ოდინდელი პეგემონობაა ასახული წინარეელინისტური ხანისა, რადგან ელინისტური ხანის დასაწყისიდან მცხეთის პირველობა საეჭვო არაა.<sup>88</sup>

„უფლისციხის ქვეყნის“ პოლიტიკურ გაერთიანებასთან მიმართებით და, საერთოდ, ქართლის სახელმწიფოებრივი სიძველის თვალსაზრისით, ჩემი აზრით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიკოსის ტაციტუსის (I-II სს.) ცნობა I საუკუნეში მისი თანამედროვის იბერიის (ქართლის) მეფის ფარსმან I-ის შესახებ, რომელმაც თავისი ძმა მითრიდატე სომხეთის სამეფო ტახტზე დასვა. ამ დიდმნიშვნელოვანი ცნობისთვის ქართველ ისტორიკოსებს რატომღაც ყურადღება არ მიუქცევიათ. ტაციტუსი აღნიშნავს, რომ იბერიის მეფე ფარსმანს „მამეული ხელისუფლება“ აქვს და იგი იბერებს ფლობს „მფლობელობის ძველისძველი უფლების თანახმად“.<sup>89</sup> ჩემი აზრით, სიტყვა „ძველისძველი“ გულისხმობს, ვთქვათ, არა თუ 300 წელს, არამედ „ძველისძველში“ 500 წელიც ცოტაა. მიმაჩნია, რომ ისტორიულად „ძველისძველი მფლობელობა“ ათასწლეულს გულისხმობს. ამასთან, I ს-ის ქართლის (იბერიის) მეფის „ძველისძველ“ „მამეულ ხელისუფლება“-ში ტაციტუსი აქ ფაქტობრივად ქართლის სამეფოს (სახელმწიფოს) „ძველისძველი“ დროიდან არსებობას აღნიშნავს. თუ ეს ასეა, I საუკუნის ქართლს და ქართველებს (იბერიას და იბერებს) მეფე ჰყოლიათ და სახელმწიფო (სამეფო) ჰქონიათ დაახლოებით 1000 წლის წინათ, ე.ი. ძვ.წ-ის I ათასწლეულის

<sup>88</sup> სინ, I, გვ. 436

<sup>89</sup> ს.ჯანაშია, შრომები, II, გვ.159

დასაწყისში. ასე რომ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ I ს-ის ქართლის მეფის ფარსმანის „მამეულ“ სამეფო ანუ „სახელმწიფო „ძველისძველ უფლებასში“ მეტად შორეული წარსული, ათასწლეული, იგულისხმება. საფიქრებელია, ეს არაპირდაპირი ეპოქალური ცნობაც მნიშვნელოვანი მოწმობაა ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ქართლში სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობაზე.

ასევე, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის პირველადი ფორმა უნდა ყოფილიყო ბოლო დროს, XX ს-ის დასასრულს, არქეოლოგიური დაზვერვებით გარე კახეთში გამოვლენილი უდაბნოს დიდი „ნაქალაქარის ცივილიზაცია“ (კ.ფიცხელაური), რომელიც ძვ.წ-ის II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. ანალოგიური წარმონაქმნი, შესაძლოა, ყოფილიყო აგრეთვე კახეთში ცოტა მომდევნო პერიოდის ივრის ზეგნის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობის ქვეყანაც.

ასე რომ, საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანის მთელი მატერიალური კულტურა ძვ.წ-ის XV-X საუკუნეებისა, ასევე, ძვ.წ-ის I ათასწლეულის I ნახევრისა, პირველ რიგში თრიალეთის დიდი ეთნიკური გაერთიანების „დიდი ბრწყინვალე კულტურა“, ასევე, უდაბნოს დიდი „ნაქალაქარის ცივილიზაცია“ და უფლისციხის ნაქალაქარი („უფლისციხის ქვეყანა“) პირადად ჩვენი თვალსაზრისით, ქართველი ტომების არქაული, პირველადი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შემოქმედებაა, მათი ნამოღვაწარია.

თრიალეთის ქვეყნის გრანდიოზული ყორღანების შემომქმენი საზოგადოების ბელად-მხედართმთავარ მმართველებს, „უფლებს“ თუ „მეფეებს“, აშკარაა, ისეთივე რელიგიურ-მისტიკური სულიერი მსოფლმხედველობა ჰქონდათ, როგორც ძველი ეგვიპტის მმართველ მეფეებს (ფარაონებს). თრიალეთის ვეებერთელა და, საერთოდ, დიდი და მცირე ყორღანები, თუ ეგვიპტის გრანდიოზული პირამიდები, ერთი და იგივე მსოფლმხედველობითი განზომილების სხვადასხვა ხარისხობრივი მოვლენებია, „სულის უკვდავყოფის“ მენტალიტეტის სხვადასხვა სიდიდისა და ხარისხობრივი მატერიალური ქმნილებები. თრიალეთის ქვეყნის მმარ-

თველები, „სამხედრო დემოკრატიისა“ და მას გამცდარი სა-  
ხელმწიფოებრივი საზოგადოების „უფლები“ თუ ეკვიპტის ფა-  
რაონები, ამ საერთო მსოფლმხედველობის თავის ისეთ სულიერი  
უკვდავყოფის ძეგლებს ჰქმნიან, როგორც მათ მატერიალურ  
ძალას შესწევთ, – ერთნი სამაროვნის დიდ ხელოვნურ გორებს,  
მეორენი კი ვეება ქვის ლოდებისაგან გრანდიოზულ პირამიდებს.  
ამასთან, ზოგიერთი გრანდიოზული ყორღანების „უფალთა“ მომ-  
ცველი დიდი ტერიტორიული ქვეყანა, ეპოქის შესაფერი მძლავრი  
ეკონომიკით, დაწინაურებული სოფლის მეურნეობითა და ხე-  
ლოსნობით, მეტალურგიითა და ტექნიკით, ხელოვნებისა და კუ-  
ლტურის სხვა დარგების მაღალი დონით, ქვეყნის სათავეში დიდი  
ძალაუფლების მქონე მმართველებით, ქონებრივად დიფერენცი-  
რებული საზოგადოებით, საზოგადოებიდან გამოყოფილი „პატ-  
იით მოსილი“ საგვარეულო და სამოხელეო არისტოკრატით,  
რაც სოციალური (კლასობრივი) დიფერენციაციის საწყისებს ნიშ-  
ნავს, – როგორც აღინიშნა, ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ სახელმწი-  
ფოებრივი წარმონაქმნების თავდაპირველ ფორმად. ასეთ სა-  
ხელმწიფოებრივი წარმონაქმნების პირველად ფორმად გვიანბრინ-  
ჯაო-ადრერკინის ხანაში, ძვ.წ. XV-X საუკუნეებში, აღმოსავლეთ  
საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენ მიგვაჩნია თრიალეთის  
„ბრწყინვალე კულტურის“ დიდი რეგიონის ქვეყანა, გარე კახეთში  
უდაბნოს დიდი „ნაქალაქარის ცივილიზაციის“ ქვეყანა, მოგვი-  
ანებით კი უფლისციხის რეგიონის ქვეყანა, რომელიც, თუ სინქრო-  
ნული არა, თრიალეთის ქვეყნის მემკვიდრე სახელმწიფოებრივი  
წარმონაქმნი უნდა ყოფილიყო. ასეთივე სახელმწიფოებრივი წარ-  
მონაქმნის პირველადი ფორმა შესაძლოა, ყოფილიყო აგრეთვე  
კახეთის ივრის ზეგანის უკიდურესი აღმოსავლეთის რეგიონის ბი-  
ნადარი საზოგადოების ქვეყანა. ამ თვალსაზრისს, ვფიქრობთ, გვი-  
დასტურებს მატერიალური კულტურის მდიდარი არქეოლოგიური  
მონაცემები: გარკვეული ეთნიკური ტერიტორიის არსებობისა, ამ  
ტერიტორიაზე მოსახლე ბინადარი საზოგადოების დროის შესა-  
ფერი განვითარებული ეკონომიკისა და ქონებრივი დიფერენცი-  
აციისა, რაც მთავარია, ქალაქური ტიპის დასახლებების გაჩენისა,  
რაც, ეჭვს გარეშეა, მაშინდელ ჯერ კიდევ უწოდებრიო საზოგადო-



ებაში გულისხმობს ამ საზოგადოების სოციალური (კლასობრივ) დიფერენციაციის საწყისებს – ტომის თუ ტომთა კავშირების გვაროვნული დიდკაცობა-არისტოკრატიას ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, დაბა-სოფელთა მიწათმოქმედ-მეჯოგე მოსახლეობას. ასეთ ვითარებაში ეჭვი არაა, უნდა არსებულიყო დიდი თუ პატარა ინდივიდუალური ოჯახებიც და კერძო საკუთრებაც წარმოების საშუალებებზე, მათ შორის, მიწაზეც (საკარმიდამო, ბაღ-ვენახი), უმთავრესად კი წარმოების იარაღებზე (საოჯახო, სამეურნეო-სამიწათმოქმედო, სახელოსნო). ამ ფაქტორების არსებობით ასეთი საზოგადოების ქვეყანაში სახეზე უნდა იყოს სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები: ტერიტორია (თავისი საზღვრებით), განუვითარებელი სახით კერძო საკუთრება და სოციალური დიფერენცირება, გარკვეული სახის საჯარო ხელისუფლება თავისი ფუნქციებით, საზოგადოების მმართველი ზედა ფენის წარმოშობა, სამხედრო-საპოლიციო საქმის ორგანიზაცია ქვეყნის ტერიტორიის, საზოგადოების და მისი ქონების დასაცავად, რაც, ყოველივე ეს, სახელმწიფოებრიობის წარმონაქმნის პირველად ფორმაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ქართული სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე თავის გამოქვეყნებულ ნაშრომში გ.ყორანაშვილი თრიალეთის კულტურის საზოგადოების შესახებ წერს: „თითქოს ისე ჩანს, რომ შესაბამის საზოგადოებაში (თრიალეთის – დ.გ.) ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია ძალზე შორს იყო წასული, რასაც თავის მხრივ უნდა გამოეწვია სახელმწიფოს გაჩენა“.<sup>89</sup> მკვლევარმა თითქოს შესაძლებლად ჩათვალა აქ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობა, მაგრამ თავისმა კონცეფციამ ქართული სახელმწიფოს წარმოშობის თარიღზე (ძვ.წ-ის IV ს.) არ მისცა მას საშუალება გაეგრძელებინა ამ მხრივ სახელმწიფოებრიობის მტკიცება და მისი დასკვნით, თრიალეთის ქვეყანა ეს იყო „სამხედრო დემოკრატია“ და, რომ, „სოციალური

<sup>89</sup> გ.ყორანაშვილი, საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი, თბ., 2000 წ., გვ. 16-17

კლასებისა და სახელმწიფოს, ამით ცივილიზაციის წარმოქმნამდე აქ (ქვემო ქართლში) დიდი მანძილი იყო გასავლელი”.<sup>90</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო დროსვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში გამართულ ერთ-ერთ სესიაზე წარმოდგენილ მოხსენებაში არქეოლოგებს გ.მინდიაშვილს და გ.ნარიმანაშვილს, როგორც ამას ვ.ჯაფარიძე გვაუწყებს, წალკის პლატოს ახალ მონაცემებზე დაყრდნობით, თრიალეთის კულტურის მოსახლეობის სოციალური დონე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისთვის დაუკავშირებიათ.<sup>91</sup> ცხადია, საინტერესოა, როგორც ახალი მასალა, ისე ავტორთა არგუმენტაციაც, რომელნიც ჯერ არ დაბეჭდილა. როგორც ვხედავთ, არქეოლოგები უკვე მისულან სათანადო თვალსაზრისამდე.

ამრიგად, ქართული არქეოლოგიური მეცნიერების მონაპოვრებისა და ზოგიერთი წერილობითი წყაროს ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობთ, მართებული საფუძველი გვაქვს ლეონტი მროველის მიერ მოცემული დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ქრონოლოგიური სათავის (ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლო მეოთხედი) არქაიზაცია მოვახდინოთ, ქრონოლოგიურად მისი დასაბამი გაცილებით წარსულში გადავიტანოთ – ქართული სახელმწიფოებრიობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ძვ.წ-ის XV-X სს-ში, წარმოქმნილად მივიჩნიოთ. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, ორიგინალურ-მონუმენტური ძველი ქართული დამწერლობაც, რომელიც მსოფლიოში მხოლოდ ათეულზე ცოტა მეტ ერს გააჩნია, დამატებით მიანიშნებს ქართველი ერის არქაულ სახელმწიფოებრივ მენტალიტეტზე, ქართული სახელმწიფოებრიობის დიდ სიძველეზე.

ცხადია, ლეონტი მროველისთვის, რეალურ-ისტორიული თვალსაზრისით, აღნიშნული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა (ძვ.წ-ის XV-X სს.) ბურუსით იყო მოსილი, რომლის მატერიალური კულტურა XX ს-ის ქართულმა არქეოლოგიურმა მეცნიერებამ

<sup>90</sup> გ.ჯორანაშვილი, საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი, თბ., 2000 წ., გვ.17

<sup>91</sup> ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან (კრებ.) „მემატიანე“, თბ., 2001 წ., გვ.155

გამოავლინა. ლეონტიისთვის, ასევე, უეჭველია, უცნობი უნდა ყოფილიყო აგრეთვე ძველადმოსავლური ისეთი წყაროებიც, რომელნიც აღნიშნულ ხანას ეხებიან და, რომელნიც, ასევე, გვიან, XIX-XX საუკუნეებში გამოვლინდა. ლეონტის დროს ცნობილი „ბიბლია“ და ბერძნულ-რომაული ან სხვა წყაროები კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოშობის თარიღზე, ან სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებზე აღნიშნულ ხანაში, ძვ.წ-ის XV-X სს-ში, რაიმე პირდაპირ ცნობებს არ იძლევიან.

გარდა ზემოაღნიშნულ დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისა, ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ჩანს, დასტურდება აგრეთვე დღევანდელი და ისტორიული საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც, რომლის შესახებ ცნობები მოიპოვება ძველადმოსავლურ წყაროებში, რასაც ამჟამად შევეხებით.

#### 4. ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ აველავოსავლურ წყაროებში

##### ა) ქართველი ტომები უკველს წყაროებში. ეთნოსის ავტოქტონობის განმსაზღვრელი ნიშანი

ვიდრე ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს შევეხებოდეთ ძველდამოსავლურ წყაროებში, მოკლედ აღვნიშნავთ ცნობებს უძველეს ქართველ ტომებისა და მათი ბინადრობის ადგილის შესახებ, რომელთაც გვაწვდიან სხვადასხვა უძველესი წყაროები და ძველი მწერლები.

როგორც ცნობილია და მკვლევარ-მეცნიერთა დიდ ნაწილს დღეს მიაჩნია, უძველესი ქართველი ტომები „ბიბლიაშია“ მოხსენიებულნი – „თუბალები“ და „მეშეხები“. პირველად ამას ყურადღება მიაქცია I ს-ის ებრაელმა მწერალმა იოსებ ფლავიუსმა, რომლის მოსაზრებით, ბიბლიური თუბალები არიან მერმინდელი იბერები, ხოლო „მეშეხის“ (მეშეხის) შთამომავალნი არიან „მოსოხონები“, ანუ „მესხენები“ (მესხები).<sup>92</sup> ამასთან, მისივე აზრით, „ბიბლიის“ „მეშეხი“ – მესეხი არის მერმინდელი კაპადოკიელების წინაპარი, ხოლო კაპადოკიის დედაქალაქი მაზაკა დაკავშირებულია „მეშეხის“–მესეხის სახელწოდებასთან.<sup>93</sup> ასევე მიაჩნია „ბიბლიის“ თუბალები და მუშქები („მეშეხები“) ქართველთა წინაპრად ევსტატი ანტიოქელს (280-360),<sup>94</sup> თეოდორიტე კვირელს (393-457 წწ.);<sup>95</sup> ქართველ ტომთა (იბერების, მესხების, კოლხების) მამამთაერები „ბიბლიაში“ ასახულად მიაჩნიათ აგრეთვე ეპიფანე კვირელს (314-403 წწ.) და იპოლიტე რომაელს (III ს.).<sup>96</sup>

<sup>92</sup> გეორგიკა, I, გვ. 271, ს.ყუხჩიშვილის გამოცემა; ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, „მეცნიერება“, 1983 წ.; გვ. 81, თ.ყუხჩიშვილის გამოცემა

<sup>93</sup> გეორგიკა, I, გვ.34-35, 271, ტ.V, 1963 წ., გვ.3-4

<sup>94</sup> იქვე, გვ.35

<sup>95</sup> იქვე, გვ.221-222

<sup>96</sup> იქვე, გვ.12-13, 39-41

ქართველ ტომთა შესახებ ზემოაღნიშნულმა მოსაზრებებმა გვიან ხანაში, მართლაც, კპოვა დადასტურება. XIX ს-ში გამოვლინდა ძველი ასურული ლურსმული წარწერები, სადაც ძვ.წ-ის II-I ათასწლეულებში მცირე აზიაში თუბალებისა და მუშქების (მეშხების) დიდი სატომო ეთნიკური გაერთიანებები ან სამეფოებია აღნიშნული. ამასთან, ამავე XIX ს-ის გამოჩენილმა დასავლეთეუროპელმა ისტორიკოსებმა – ლენორმანმა, მასპერომ და სხვებმა ქართველ ტომთა – იბერების და მესხების წინაპრებად მიიჩნიეს ასურული წყაროებით მცირე აზიაში დამოწმებული თაბალები და მუშქები ძვ.წ-ის XII-VII საუკუნეებში. მალე აღმ.მცირე აზიაში, იმავე ასურულ და შემდგომ ხეთურ წყაროებშიც აღმოჩნდა ქაშქები, რომელნიც კოლხების ძველ წინაპრებად მიიჩნიეს.<sup>97</sup> ქართველთა წინაპრებად მეცნიერებმა მიიჩნიეს აგრეთვე ძვ.წ-ის V ს-ის დასასრულს (ძვ.წ-ის 400 წ.) ბერძენი მწერლისა და სარდლის ქსენოფონტეს მიერ ზემო მესოპოტამიაში, ისტორიული „გორდუენეს“ მიწაწყალზე მოხსენიებული კარდუხები („ქართუხები“, „ქართუ-ები“), რომელთა სახელწოდება ძლიერ ჰგავს ქართების თვითსახელწოდებას – „ქართუ“-ს (აქედან ქართველები). ცნობილ სპეციალისტს კ.ლემან-ჰაუფტს მიაჩნდა, რომ ქართვეები ანუ იბერები ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან (შუამდინარეთიდან) მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენ.<sup>98</sup>

მართალია, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რითაც ზოგიერთი ცდილობს თუბალები და მუშქები სხვა ეთნოსებს დაუკავშიროს (მაგ., მუშქები ფრიგიელებს), მაგრამ მეცნიერთა დიდ ნაწილს

<sup>97</sup> А.Хаханов, Древнейшие пределы расселения грузин по Ма – лой Азии, ЗКОИРГО, т.XXII, №4, 6; ივ.ჯავახიშვილი, თხზ., ტ.1, გვ.43; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.317-318

<sup>98</sup> К.Ф.Леман – Хаупт, Вступительная лекция по истории и культуре халдов, თსუ შრომები, VI, I სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, 1938 წ.; ს.გორგაძე, „მოამბე“, 1905 წ., IX, გვ. 47-48; მისივე, „ძველი საქართველო“, I, 1909 წ., განყ. II, გვ.44-45; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.318.

ბოლო დროსაც თუბალები და მუშქები ქართველ ტომებად, – იბერებად და მესხებად, – მიაჩნია.<sup>99</sup>

აღნიშნულ ქართველ ტომებთან დაკავშირებით, დაისვა კითხვა მათი მცირე აზიიდან, ანუ სამხრეთიდან დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლების შესახებ. ქართველ ტომთა ასეთი მიგრაციის კონცეფცია ეკუთვნის ივ.ჯავახიშვილს.<sup>100</sup>

არქეოლოგ ბ.კუფტინის კონცეფციით, საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური მასალების საფუძველზე, უძველესი დროიდან კულტურული განვითარების ადგილობრივი უწყვეტი ჯაჭვია და საჭირო არაა ქართველთა სახლობისა და კულტურის ცენტრების შორეულ მესოპოტამიაში და მცირე აზიაში ძიება, რომ ამიერკავკასია იყო ქართველი ხალხის უძველესი სამშობლო და სწორედ აქ ჩამოყალიბდა ეთნოსად. ბ.კუფტინი გადაჭრით ილაშქრებდა ქართველი ტომების სხვა ოლქებიდან კავკასიაში გადმოსახლების წინააღმდეგ.<sup>101</sup>

ს.ჯანაშიამ, ასევე, უარყო ქართველთა გადმოსახლების თვალსაზრისი და თავიდანვე ავტოქტონ ეთნოსად აღიარა ამიერკავკასიაში, ოღონდ იმ საფუძველზე, რომ მთელი ხეთა – სუბარეთის ხალხები, რომელთაც ეკავათ ტერიტორია მესოპოტამიიდან კავკასიონამდე, – ქართველთა წინაპრებად მიიჩნია (ეს კი, ცხადია, რეალურ-ისტორიულად მეტად პრობლემური და სადავოა). მისი აზრით, სამხრეთით, მცირე აზიაში, ძვ.წ-ის I ათასწლეულში ხეთურ-სუბარული სამეფოების განადგურების შემდეგ, სახელმწიფოებრივმა ცენტრმა სუბარეთის ჩრდილოეთში, სამხრეთ კავკასიაში გადმონაცვლა, სადაც ქართველმა ტომებმა ძვ.წ-ის VI საუკუნიდან შექმნეს ქართული სახელმწიფოები – კოლხეთი და იბერია.<sup>102</sup>

<sup>99</sup> სინ, I, გვ. 319-321

<sup>100</sup> ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზ. ტ. I, გვ. 43; ასევე, თხზ. ტ. XI

<sup>101</sup> Б.Купфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, „საქართველოს სახ.მუზეუმის მოაპბე“, XII-В, თბ., 1944 წ.; მისივე, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ., 1949 წ., გვ. 10, 37.

<sup>102</sup> საქართველოს ისტორია, თბ., 1943 წ., გვ. 14-15, ს.ჯანაშიას რედაქციით.

გ.მელიქიშვილის აზრით, „ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ამასთანავე, საფიქრებელია, რომ ისინი ნაწილობრივ დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოსახლეობდნენ, კერძოდ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე“, <sup>103</sup> რომ „ბევრი რამ მეტყველებს უძველეს ხანებში ქართველი ტომების გავრცელებაზე დღევანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მომიჯნავე მცირე აზიის ოლქებში“. <sup>104</sup>

დღეს ისტორიულ მეცნიერებაში ძირითადად ეს ორი თვალსაზრისია ქართველ ტომთა ავტოქტონობის თუ მიგრაციის საკითხზე, ნაწილი მკვლევარებისა ემხრობა ერთს, ნაწილი – მეორეს.

მოცემულ საკითხზე ჩემი თვალსაზრისი დუალისტურია. სახელდობრ, ჩვენი თვალსაზრისით, 1) ადგილი ჰქონდა ან ქართველ ტომთა წინაპრების (ჯერ კიდევ ეთნოსად, ტომად ჩამოუყალიბებულ) მიგრაციას ამიერკავკასიაში სხვა რეგიონიდან, უფრო მცირე აზიიდან (რადგან ამიერკავკასია არ ითვლება ადამიანის წარმოშობა-გაჩენის ცენტრად) და აქ, საქართველოს ტერიტორიაზე მათ ტომებად, ეთნოსად ფორმირებას, ანდა, ადგილი ჰქონდა ჩვენი წინაპართაგან უკვე ტომებად ჩამოყალიბებული ქართველი ხალხის, ეთნოსის, მიგრაციას სამხრეთიდან, უფრო მცირე აზიიდან, ჩრდილოეთში, ამიერკავკასიაში, დღ.საქართველოს ტერიტორიაზე. 2) ამასთან, რაც მთავარია, ორივე ვარიანტის შემთხვევაში ქართველი ხალხი მისი სამშობლოს, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, ითვლება ავტოქტონ ეთნოსად, ავტოქტონ ერად.

აბსოლუტური მკვიდრი – ავტოქტონის პრეტენზიას კი მსოფლიოში ვერცერთი ეთნოსი და ერი ვერ დაიჩემებს იმ ტერიტორიაზე, სადაც დღეს ცხოვრობს, რადგან „აბსოლუტურ ავტოქტონად“ გაიზარება მხოლოდ ის ეთნოსი და ერი, თუკი იგი მის დღევანდელ სამშობლო ტერიტორიაზე დასაბამიდან აქ წარმოშობილი

---

<sup>103</sup> სინ, I, 341-342

<sup>104</sup> იქვე, გვ.343

ადამიანის შთამომავალია. ასეთი კი მსოფლიოში არცერთი ეთნოსი და ერი არ არის. საქმე იმაშია, რომ დღევანდელმა მეცნიერებამ იცის დედამიწაზე ადამიანის წარმოშობა-გაჩენის მხოლოდ ორი კერა: აფრიკა და ევრაზიის სამხრეთი რეგიონები. გაჩენის შემდეგ ადამიანი გამრავლდა, ათეული და ასეული ათასი საუკუნეების მანძილზე ჯერ ადამიანთა ჯგუფები („პირველყოფილი ჯოგი“), შემდეგ კი ამა თუ იმ ერთ ენაზე მოლაპარაკე ჩამოყალიბებული ტომები, ეთნოსები, დედამიწაზე განუწყვეტელ მოძრაობაში, მიგრაციაში იმყოფებოდნენ, მიღი-მოდიოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. პირველად ტომთა ჯგუფები მომთაბარემეჯოგე მეურნეობას ეწეოდნენ და გვიან გადავიდნენ მიწათმოქმედებასა და ბინადარ ცხოვრებაზე, მაგრამ ბინადარ მეურნეობაზე გადასვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა ტომებისა და ტომთა გაერთიანებების მიგრაცია. თეთრი, ნეგროიდული თუ მონგოლოიდური რასები, ინდოევროპელები თუ სემიტური მოდგმის ეთნოსები განუწყვეტელ მიგრაციაში იმყოფებოდნენ. მაგალითად, ინდოევროპული ეთნოსი გამრავლდა და მისი ჯგუფები გაიფანტა აზიაში, ევროპაში და ამერიკაში, რომელნიც დიდი ხანია დიდ და პატარა ერებად არიან ჩამოყალიბებულნი.

ამიტომ, ცხადია, საერთოდ შეუძლებელია დედამიწის რომელიმე ტერიტორიაზე, ქვეყანაში, მოსახლე კაცობრიობის რომელიმე ეთნოსზე, ერზე თქვა, რომ იგი აბსოლუტურად მკვიდრია, რომ იგი სწორედ ამა თუ იმ ტერიტორიაზე, ქვეყანაში, არის აქ წარმოშობილი პირველყოფილი ადამიანის შთამომავალი. კიდევ მეტი, ასეთ რამეს ვერ იტყვი იმ ხალხზეც, ეთნოსზე, რომლის საცხოვრებელი რეგიონი დღეს მეცნიერებაში მიღებულია ადამიანის წარმოშობის კერად. ასეთ რთულ ვითარებაში ისმის კითხვა: რა უნდა მივიღოთ ხალხის, ეთნოსის, ერის, ამა თუ იმ ტერიტორიაზე მკვიდრობის ამოსავალ საწყისად და განმსაზღვრელ ნიშნად?

ჩემი აზრით, ერის, ხალხის, ეთნოსის ამა თუ იმ ტერიტორიაზე, ქვეყანაში მკვიდრობის ამოსავალი საწყისი და განმსაზღვრელი ნიშანი, ეს არის მათი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, სახელმწიფოს წარმოქმნის დრო.



განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც ცნობილია, ეთნოსის სატომო-გვაროვნული ორგანიზაციები ამა თუ იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი ბინადრობენ, ქმნიან პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, სახელმწიფოს, რომელსაც გააჩნდა შინაგანი საჯარისო პოლიტიკური ხელისუფლება და სამოხელეო სტრუქტურები, ჯარი და სახელმწიფო ტერიტორიის საზღვრები, სახელმწიფო სამართალი.

როგორც წესი, თავის სახელმწიფოს ქმნიდა ერთი ეთნოსი, რომელსაც ერთი საერთო ენა – ტომისა და ეთნოსის ეს ძირითადი ნიშანი გააჩნდა. ზოგჯერ სახელმწიფოს ორი ან მეტი მონათესავე ეთნოსი – სატომო გაერთიანებები ჰქმნიდა. აი, სწორედ, ამა თუ იმ ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოშობის დროიდან მასში მცხოვრები ეთნოსი, ხალხი, ერი, ითვლება ამ ტერიტორიის, ამ ქვეყნის მკვიდრად. შემდეგში სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ასეთ ქვეყანაში მოდიოდნენ და სახლდებოდნენ უცხო ტომები და ხალხები, რომლებიც ამ მიწაწყლის მკვიდრნი არ იყვნენ და ასეთები დღემდე არ ითვლებიან მკვიდრ-ავტოქტონად და ასეთად არც მომავალში ჩაითვლებიან.<sup>105</sup>

ქართველი ეთნოსი (ტომები), ან მისი უძველესი წინაპრები ამიერკავკასიაში, მართალია, მოსულნი არიან უძველესი დროიდან, წინაისტორიულ ეპოქაში, მაგრამ ამავე დროს იგი მისი დღევანდელი სამშობლო საქართველოს ტერიტორიის ერთადერთი აბორიგენი-ავტოქტონი ერიც არის, რადგან ამ ტერიტორიაზე პირველად მან შექმნა სახელმწიფო, რომელიც დღესაც არსებობს და, სადაც ქართველი ხალხი დღემდე უცვლელად მოსახლეობს. ამა თუ იმ ტერიტორიაზე სახელმწიფოს შემქმნელი ერი არის ამ ტერიტორიის ავტოქტონი, აბორიგენი ერი. გარდა ქართული სახელმწიფოსი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან სხვა სახელმწიფო არ ჩანს.

---

<sup>105</sup> დაწერ. იხ.დ.გოგოლაძე, „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბ., 1995 წ., გვ. 36-39

ამ მხრივ რეალურ-ისტორიული ვითარება ასეთი იყო: როგორც დავინახეთ, საქართველოს ტერიტორიის მთელი არქეოლოგიური მასალა ძვ.წ-ის III-II ათასწლეულებისა, ასევე, ძველადმოსავლური წყაროები, რომელსაც ქვემოდ შევეხებით, მოწმობს, რომ უკვე ძვ.წ-ის III-II ათასწლეულებში, მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურის ეპოქაში, ასევე I ათასწლეულში, ქართველი ტომები: ქართვები, მეგრელ-ჭანები (ზანები) და სვანები განფენილია კაპადოკიის აღმოსავლეთი საზღვრიდან ჩრდილოეთით კავკასიონამდე, ხოლო აღმოსავლეთით ისტორიული ალბანეთის ტერიტორიამდე. კიდევ მეტი, კოლხური ტომების განფენამ, ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში მდ.ყუბანამდე („მცირე ხაზარეთის“ მდინარემდე) მიაღწია. გარდა ამისა, რაც მთავარია, ისტორიულ და დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო (იბერია, კოლხეთი) შექმნეს მხოლოდ და მხოლოდ ქართველმა ტომებმა და არა სხვა რომელიმე ეთნოსმა. ამიტომ ითვლება მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხი დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ ავტოქტონ ერად.

ქართველმა ტომებმა, როგორც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, სახელდობრ, მის მოსაზღვრე სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში, მცირე აზიის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში, შექმნეს მსხვილი პოლიტიკური გაერთიანებებიც, რომელთაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ წინა აზიის რიგ ძლიერ სახელმწიფოებთან, რასაც ამჟამად შევეხებით.

**ბ) ქართველ ტომთა უკველში პოლიტიკური  
ბაერთიანებაი (სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები)  
კველალმოსავლურ წყაროებში**

ძვ.წ-ის IV ათასწლეულის დამლევსა და III ათასწლეულში წინა აზიაში წარმოიშვიან პირველი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები. დიდი გაერთიანებების გარდა, დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო აგრეთვე თითქმის ყოველ ქალაქში. დიდი სახელმწიფოები იყო ბაბილონეთი, ასურეთი, სირია, ხეთების სამეფო, ფრიგია, მითანი, ურარტუ და სხვ.

აღნიშნული დიდი სახელმწიფოების განსაკუთრებული სამხედრო-პოლიტიკური აქტივობა გამოისახა ძვ.წ-ის II-I ათასწლეულებში. ძვ.წ-ის XV-XIII სს-ში ხურიტების მითანის სახელმწიფო ექსპანსიას ეწევა ხეთების სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხეთების სამეფო, თავის მხრივ, განსაკუთრებით მისი ძლევამოსილების ხანაში (ძვ.წ-ის XV-XIII სს.), სასტიკ ექსპანსიას ახორციელებს ჩრდილოეთით, – სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და, ასევე, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებშიც. როგორც ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში დღეს გამორკვეულია ქართველი ტომები ამ მხარეში ძირითადად ცხოვრობდნენ ჩრდილო ანატოლიის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე. ასევე ქართველ ტომთა ნაწილი, უეჭველია, ცხოვრობდა აგრეთვე ჩრდილო ანატოლიის ქედის სამხრეთითაც, რომელიც ხეთებისთვის ხელმისაწვდომი მხარე იყო.<sup>106</sup> აქ ცხოვრობდნენ „ქაშქები“, რომელნიც, ბოლო დროსაც, რიგ მკვლევართ ქართულ-კოლხურ ტომად მიაჩნიათ. სახელდობრ, გ.მელიქიშვილის აზრით, „ქაშქები“ მთიელთა კრებითი სახელი იყო და იგი ქართველ ტომებსაც მოიცავდა.<sup>107</sup> გრ.გიორგაძის აზრით, კი ქაშქები ქართულ-

<sup>106</sup> სინ, I, გვ. 359-360

<sup>107</sup> იქვე, გვ.360

კოლხური ტომი იყო.<sup>108</sup> ხეთურ წყაროში (მურსილ II-ის ანალები) აღნიშნულია, რომ ქაშქების ერთ-ერთი ბელადი ხუფუნია „მეფურად მართავდა“ ქვეყანასო.<sup>109</sup> ქაშქებში ასეთი სუვერენული ხელისუფალი „მეფე“, ცხადია, მოწმობს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს. ხეთები საუკუნეების მანძილზე ეწეოდნენ მძიმე ბრძოლებს ქაშქებთან, ხოლო ქაშქებიც, თავის მხრივ, თავს ესხმოდნენ ხეთებს და მათ დედაქალაქ ხატუსას.<sup>110</sup>

ასურული და ურარტული ლურსმული წარწერების წყაროებით, ძვ.წ-ის XIII-VIII სს-ში ასურეთის სახელმწიფოს მეფეები ჩრდილოეთში ლაშქრობისას ბრძოლებს ეწეოდნენ სამ დიდ დაჯგუფებასთან: სუბართუს, ნაირის და „ზემო ზღვის“ სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან. „ზემო ზღვა“ („დიდი ზღვა“), როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლადაა გარკვეული (გ.მელიქიშვილი), არის შავი ზღვა და არა ვანის ტბა (როგორც ეს მიაჩნია ი.დიაკონოვს). XII-XI საუკუნეებში ასურეთს ბრძოლა მოუხდა „ზემო ზღვის“ სანაპირო ქვეყნების მუშქებთან და ქაშქებთან. ასურულ წყაროში დასახელებულია 20.000 მუშქი და მათი 5 მეფე. როგორც ცნობილია, როგორც ანტიკურ მწერლებს, ისე XIX-XX სს. მკვლევარ-მეცნიერთა უმეტესობას მუშქები უცილობლად მიაჩნიათ ქართველ ტომად (მესხებად, მოსხებად).

კიდევ უფრო აღმოსავლეთით, ე.ი. ისტორიული საქარველოს სამხრეთ-დასავლეთით, სამხრეთით და, ასევე, მათ მოსაზღვრე რაიონებში, მოგვიანებით ქართველ ტომთა სოციალურ-ეკონომიური განვითარება უფრო შორს წავიდა და უკვე ჩამოყალიბდა „საკმაოდ დიდი და მყარი გაერთიანებები, რომლებიც, შეიძლება, უკვე კლასობრივი საზოგადოების დაბალ საფეხურს – ადრეკლასობრივ (განუვითარებულ კლასობრივ) საზოგადოებას განასახიერებენ“, <sup>111</sup> ე.ი. წარმოადგენენ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს.

<sup>108</sup> გრ.გიორგაძე, ხეთური ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისათვის, ჟურნ.არტანუჯი, 10, 2000 წ. გვ.12-16.

<sup>109</sup> სინ, I, გვ.361.

<sup>110</sup> იქვე, გვ.360

<sup>111</sup> იქვე, გვ.361.

ასეთი გაერთიანებები, როგორც ისტორიულ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია გამოჩნდებოდა (პ.უშაკოვი, გ.მელიქიშვილი და სხვ.) იყო დიაოხი (ტაოხი, ტაო) და კოლხა (კოლხეთი).

მყარი პოლიტიკური გაერთიანება „დიაოხი“ იყო „ნაირის ქვეყნების“ ყველაზე გამოჩენილი ძლიერი ერთეული ძვ.წ-ის XII-XI საუკუნეთა მიჯნაზე, რომელიც მდებარეობდა ასურეთის სამეფოს ჩრდილოეთით მდებარე მხარეში. ასურელები მას ეძახდნენ „დაიაენი“-ს, ხოლო ურარტელები უწოდებდნენ „დაიუხი“-ს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ამ ორი დიდი გაერთიანების შესახებ ცნობები მოცემულია ძვ.წ-ის XIII-VIII სს-ის ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებში. ასურელები აღნიშნულ მხარეებში მცხოვრებ ხალხებთან კონტაქტში ექცევიან ძვ.წ-ის XIII საუკუნიდან, როცა მათ გაანადგურეს მითანის სახელმწიფო და დაიწყეს ჩრდილოეთში მისი მემკვიდრეობის ათვისება.<sup>112</sup>

დიაოხის უფრო კონკრეტულ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, მიაჩნიათ, რომ დღევანდელი არზრუმისა და დასავლეთ ევფრატის სათავეების რაიონი ალბათ წარმოადგენდა დიაოხის სამხრეთ პერიფერიას, რაზეც მიუთითებს ის, რომ ურარტული წყაროები დიაოხის მეზობლად ჩრდილო-აღმოსავლეთით მიუთითებს „ზაბახას“, ანუ ჯავახეთს.

დიაოხი „ნაირის“ ქვეყნებში ყველაზე ძლიერი წამყვანი ძალა იყო და ამ ქვეყნების სათავეში იდგა, რასაც მოწმობს ასურული წყაროების დაწვრილებითი ცნობები იმ ბრძოლებისა, რომელიც წარმოებდა ასურეთსა და დიაოხს შორის.<sup>113</sup> მართალია, აღნიშნავენ, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება სათანადო პირდაპირი მონაცემები რა სახის გაერთიანება უნდა ყოფილიყო დიაოხი,<sup>114</sup> მაგრამ ასურული წყაროებით დიაოხის ქვეყანა (დაიაენი) მეფით სათავეში აშკარად ძლიერი ჩანს ეკონომიკური რესურსებით, მოსახლეობის რიცხობრივი რაოდენობით და სამხედრო თვალსაზრისითაც, რაც,

<sup>112</sup> სინ, I, 361

<sup>113</sup> იქვე, გვ. 365-371

<sup>114</sup> იქვე, გვ.380

ჩვენი აზრით, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი დიდი და ძლიერი ქვეყანა „მეფით“ სათავეში პოლიტიკური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო.

გ.მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ეჭვს არ იწვევს დიაოხის ქვეყანაში საწარმოო ძალთა განვითარების მაღალი დონე, ამის მონაცემებია წყაროებში მეტალურგიისა და მესაქონლეობის მაღალი განვითარება, ასევე ძვირფასი ლითონების სიუხვე (ასურეთისა და ურარტუს ნადავლი ომებში).

ამასთან, მისივე აზრით, ამ გაერთიანების სათავეში მუდამ ერთ ბირს ვხედავთ — მეფეს. ასურული და ურარტული წყაროები ძალიან ხშირად მათ სახელებით იხსენიებენ (სიენი, ასია, უტუფურსი) და არასდროს არ ლაპარაკობენ „დიაოხის მეფეების“ შესახებ. მეზობელი სახელმწიფოს მესვეურთ სწორედ დიაოხის ამ ხელისუფალთან (მეფესთან) აქვთ საქმე, როგორც თავის ქვეყანაში სუვერენიტეტის განმასახიერებელთან. აქ სუვერენიტეტად არ გვევლინება „ხალხი“ და „უხუცესები“ (წინასახელმწიფოებრივი საზოგადოებისა — დ.გ.), როგორც ეს ხშირადაა ხეთურ წყაროებში ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიელთა შესახებ.<sup>115</sup>

აღსანიშნავია, წყაროები ასახელებენ ასურეთისა და ურარტუს მიერ აღებულ დიაოხის ასეულობით (453) „ქალაქს“, მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, იგულისხმება ქალაქური ტიპის სასოფლო დასახლებანი, არა გაფანტული, არამედ ერთ ადგილას კომპაქტური დასახლებანი. ამასთან, ცხადია, დიაოხში იქნებოდა იმ დროის დამახასიათებელი ნამდვილი ციხე-ქალაქებიც.

ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში კვლავ დაადასტურეს ძველადმოსავლური წინა აზიის დიდი პოლიტიკური გაერთიანებების დაიანის და დიაუხის ქართულ სამყაროსადმი კუთვნილება.

წინა აზიაში ძვ.წ-ის XIV ს-ში დიდი პოლიტიკური გაერთიანების ხურიტული მითანის განადგურების შემდეგ ვანისა და ურმიის ტბების ირგვლივ მდებარე რაიონებში ძლიერდება მათი მონა-

<sup>115</sup> სინ, I, გვ. 380

თესავე ურარტული ეთნოსი, რომელიც შედიოდა „ნაირის ქვეყნების“ კრებით ცნებაში.

„ნაირის ქვეყნების“ რიცხვში, აღინიშნა, შედიოდა აგრეთვე „დაიაენი“ და „დიაუხი“. „დაიაენი“ მოხსენებულია მხოლოდ ძვ.წ-ის XII-VIII სს-ის ასურულ წყაროებში, ხოლო „დიაუხი“ მხოლოდ ძვ.წ-ის VIII ს-ის ურარტულ ლურსმულ წარწერებში. მართალია, მათი იგივეობა ამ წყაროებში აღნიშნული არაა, მაგრამ ეს ქვეყნები ლოკალიზდებიან დაახლოებით ერთსა და იმავე რეგიონში. სახელდობრ, დაიაენი ლოკალიზდება ერზერუმის რაიონისა და დასავლეთ ეფფრატის ზემო დინების ტერიტორიაზე და ვრცელდებოდა ჩრდილოეთით. ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, დაიაენი თავსდება მდ.ჭოროხის აუზის ტერიტორიაზე, კერძოდ, ერზერუმის რაიონიდან ჭოროხის ველამდე. ამასთან, დაიაენის ტერიტორიას, მკვლევართა უმრავლესობის თანახმად, უნდა მიეღწია შავ ზღვამდე, ანუ ასურული წყაროებით „ზემო ზღვამდე“ („დიდი ზღვა“). როგორც ითქვა, დაახლოებით ამავე რეგიონში ლოკალიზდება ურარტული წყაროების დიაუხი, მაგრამ ვრცელდებოდა თუ არა მისი ტერიტორია შავ ზღვამდე, წყაროებით ცნობილი არაა.<sup>116</sup>

XX ს-ის დასაწყისიდან მკვლევარ-მეცნიერებმა (ედ.მაიერი, დ.ბელკი, ს.ლემან-ჰაუპტი, ა.სვანიძე) ასურული წყაროების დაიაენის ქვეყანა ვარაუდით დაუკავშირეს ბერძნული წყაროების ტაოხების ქვეყანას, ანუ შუა საუკუნეების ქართულ ტაოს, ქართულ სამყაროს. ცოტა მოგვიანებით კი მეცნიერებმა (პ.უშაკოვი, გ.ლაფანციანი) ურარტული წყაროების დიაუხის ქვეყანაც, ეჭვის გარეშე, დაუკავშირეს და გააიგივეს ტაოხების ქვეყანასთან. ამის შედეგად, რახან დაიაენი და დიაუხი (ორივე ცალ-ცალკე) იყო ტაოხი, ტაოს ქვეყანა, მაშინ, ცხადია, მარტივი ლოგიკით დადგინდა, რომ დაიაენი ყოფილა იგივე დიაუხი.<sup>117</sup> მაშასადამე, ძვ.წ-ის XII-VIII სს-ის ასურული და ურარტული წყაროების დაიაენი და

<sup>116</sup> გრ.გიორგაძე, დაიაენი - დიაუხი არაქართველური სამყარო? კრბ. „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, „მემატიანე“, თბ., 2001 წ., გვ. 10, 12-13.

<sup>117</sup> იქვე, გვ. 13-14

დიაუხი ყოფილან ქართველ ტომთა ტაოხების ქვეყანა – ბერძნული წყაროების ტაოხი, ქართული ტაო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველი ზემო ნათქვამი კარგა ხანია აღნიშნულია და დღესაც კვლავ მიაჩნიათ, რომ „ჯერჯერობით ეჭვი არავის შეუტანია იმაში, რომ დიაუხი – ეს იგივე ტაოხია, ტაოა, რაც დამაჯერებლად მტკიცდება ამ სახელთა ფონეტიკური ანალიზითაც. იგივე უნდა ითქვას ასურული წყაროების დაიაენის შესახებაც, რადგან მკვლევარნი ადრეული ხანებიდანვე მას უკავშირებდნენ ტაოხებს“.<sup>118</sup> ასევე, კვლავ მიაჩნიათ, რომ „სრულიადაც არ უნდა იყოს მოულოდნელი, რომ დიაუხი ქართველური წარმოშობის ეთნოსით უნდა ყოფილიყო დასახლებული, მით უმეტეს, რომ მკვლევარნი კარგა ხანია აკავშირებენ დიაუხის ქვეყანას ტაოხების ქვეყანასთან, ხოლო დიაუხის მეზობელ რაიონებს, რომლებიც ურარტულ ტექსტებში მოიხსენიებიან, ქართველური ტომებით დასახლებულად მიიჩნევენ“.<sup>119</sup> მაშასადამე, ურარტული ტექსტების დიაუხი, – ბერძნული წყაროების ტაოხია, ანუ ქართული ტაო, და ამ უკანასკნელთა გაიგივება დიაუხისთან გულისხმობს ტაოხი-ტაოს კავშირს ძველ ქართველურ სამყაროსთან.

იგივე აზრის არიან ძვ.წ-ის XII-VIII ს-ის ასურული წყაროების დაიაენის შესახებაც, რომელსაც დიაუხისთან აიგივებენ. კვლავ აღნიშნავენ, რომ „დაიანელთა მიჩნევა ქართველურ ეთნოსად ასევე სრულიადაც არ უნდა იყოს მოულოდნელი, რაც ადრეულ ხანებშივე იქნა შემჩნეული მკვლევართა მიერ XX ს. დასაწყისიდან“, როცა დაიაენის ქვეყნის დაკავშირება-გაიგივება ივარაუდეს ტაოხების ქვეყანასთან. გარდა ამისა, გრ.გიორგაძის აზრით, „დაიაენის ქვეყნის ქართველურად მიჩნევა მით უფრო დასაშვებია, რომ ძვ.წ-ის XII საუკუნის ასურული წყაროების მიხედვით, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში პირველად ჩნდებიან ე.წ. აღმოსავლელი მუშქები, მოგვიანო ხანის მესხები, ე.ი. ქართველური წარმოშობის ტომები, რომლებიც ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ ძალზედ გააქტიურდნენ აღნიშნულ რაიონში. როგორც ჩანს, ამ რაიონში

<sup>118</sup> გრ.გიორგაძე, დასახ.ნაშრომი, გვ. 6-7

<sup>119</sup> იქვე, გვ. 9



სხვა ქართველური ტომებიც უნდა გააქტიურებულიყვნენ (ქას-ქა/ქაშქა, აბეშლა)".<sup>120</sup> „ამგვარად... დიაუხის, ისევე როგორც დაი-აენის მიკუთვნება ქართველური სამყაროსადმი ეჭვს არ უნდა იწვევდეს”.<sup>121</sup>

ამასთან, მკვლევრებმა დასვეს საკითხი „დაიაენის” და „დიაუხის” სახელწოდებათა შესახებაც. მიაჩნიათ ისინი უძველეს წინა აზიაში ხურიტულ და ურარტულ ტოპონიმებად „ნი” და „ხი” სუფიქსებით. მაგრამ გრ.გიორგაძის სავესებით სწორი აზრით, ეს ყველგან უკლებლივ ასე არ უნდა ყოფილიყო და არაა გამორიცხული, რომ ტოპონიმ „დაიაენის” და „დიაუხის” სუფიქსები „ნი” და „ხი” სწორედ ქართველური სუფიქსები იყოს, ხოლო ეს ტოპონიმები თავიანთი ძირებით („დაიაე” და „დიაუ”) – ქართველური, ქართველური ლექსიკის.<sup>122</sup> ასევე, მისივე განცხადებით, როგორც ცნობილია, არაერთი მაგალითია, როცა ძველ ეთნიკურ ტოპონიმებს ახალი ეთნოსები ეუფლებიან და არ ცვლიან მათ ახლით (მოაქვს ფაქტები).<sup>123</sup>

აღნიშნული მოსაზრება სავესებით სწორია. სავესებით შესაძლოა ტოპონიმები „დაიაენი” და „დიაუხი” „ნი” და „ხი” სუფიქსებით ქართველური იყოს. აქ, ამ მხრივ, ჩვენი აზრით, საეჭვო კითხვა არც უნდა დაისვას, რადგან „ნი” და „ხი” სუფიქსიანი ტოპონიმები სავესა ძველ და ახალ ქართულ ლექსიკაში და ისტორიულ სინამდვილეში: 1. ვანი (5), ვარევანი, ვახანი, ზევანი, ბზვანი, მაჩხაანი, ზენობანი, ზენუბანი, შეუბანი, წინუბანი, აფენი, ახალუბანი (5), ახალშენი (14), ახატანი, გარდაბანი, ბაისუბანი, ბარდუბანი, ბედიანი და სხვა უამრავი (ათეულობით თუ ასეულობით). 2. ათნოხი, არგოხი, გუდარეხი, გუდარახი, გუდრუხი, ერწუხი, კალმახი, კატეხი, კრიხი, კუხი, ხორხი, კარდანახი, კარწახი, კაცხი (2), კირცხი, კიცხი, კორტოხი, კორხი, კოხი, ლაგოდენი, ლიხი, ლუხი, მეტეხი (3), ნეძიხი, პარეკი, რეკი, როხი, რუხი, ტურცხი, ურეხი, ღანუხი, შუარეკი, წინარეკი, ქუთხი, ჩაბარუხი, ჩათახი,

<sup>120</sup> იქვე, გვ. 10-11

<sup>121</sup> გრ.გიორგაძე, დასახ.ნაშრომი, გვ. 12

<sup>122</sup> იქვე, გვ. 15-16

<sup>123</sup> იქვე, გვ. 11

ჩარდახი, ჩოხი, ცახი, ძულუხი და სხვ. „ნი“ და „ხი“ სუფიქსებით გვაქვს აგრეთვე ქართული და არაქართული ეთნიკური ტერმინებიც: სვანი, ალვანი, კახი, კოლხი, მესხი, ჯავახი, სომეხი.

რაც შეეხება „დაიანი“-ს და „ღიაუხი“-ს სხვადასხვა სუფიქსებს, „ნი“ და „ხი“-ს და, გნებავთ, მაინცდამაინც არა მსგავს ფუძეებს („დაიაე“, „ღიაუ“), ეს სრულიად არ უშლის ხელს ამ ქვეყნების იგივეობას, რადგან ცნობილია, რომ სხვადასხვა ხალხი ერთი და იგივე ქვეყანას (სახელმწიფოს) სხვადასხვა ტერმინს, სახელს, უწოდებდნენ. მაგალითისათვის, სომხები საქართველოს (ქართლს) სულ სხვა სახელს უწოდებდნენ, ვიდრე ბერძნები, მათგან სხვაგვარად კი – სპარსელები და სხვები. ასევეა აქაც: ასურელები ერთ-ერთ აღნიშნულ ქვეყანას „დაიანი“-ს უწოდებდნენ, ხოლო ურარტელები იმავე ქვეყანას – „ღიაუხის“.

აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგიც. „დაიანის“ და „ღიაუხის“ ამ ქვეყნებს უწოდებდნენ ასურელები და ურარტელები, რაც ფიქსირებულია კიდევ მათ ენათა წყაროებში, ხოლო თუ რას უწოდებდნენ თვით „დაიანელები“ და „ღიაუხელები“ თავიანთ ქვეყანას, ეს, მართალია, იმ დროის წყაროებში მოცემული არაა, მაგრამ, როგორც ეჭვის გარეშე სათანადო მტკიცებით დადასტურებულია, „დაიანი“-„ღიაუხი“ იგივე ქართული ტაოხია, ანუ ტაო. მაშასადამე, დაიანი – ღიაუხის ქვეყნის თვითსახელწოდება ძვ.წ-ის XII-VIII სს-ში ქართული ტაოხი ან ტაო (შუასაუკუნეების) უნდა ყოფილიყო. ამასთან, შესაძლოა, „ტაო“ (ტაოხი) ერთ-ერთი კუთხე ყოფილიყო ქართული კუთხეების გაერთიანებისა და მათი პოლიტიკური მეთაური. ამის გამო, შესაძლოა, ამ გაერთიანებას ასურული და ურარტული წყაროები მეთაური კუთხის სახელს დაიანი – ღიაუხი-ს (ტაოხი-ს) უწოდებდნენ. თუ ეს ასეა, ამ ქართულ გაერთიანებაში მეთაური ქვეყნის – ტაოხისთან (ტაოსთან) ერთად, შესაძლოა, სხვა ქართული სახელწოდების კუთხეებიც ყოფილიყო, კერძოდ, ძვ.წ-ის V ს. ბერძნული სახელწოდების „მოსხიკე“ (ქსენოფონტე) ანუ იგივე ქართული სახელწოდების „მესხეთი“ (ხალხი „მესხები“) და, ასევე, „ქარდუხი“ (ქართუხი, ხალხი „ქართუები“), მით უმეტეს, რომ „დაიანი – „ღიაუხის“ რეგიონში და მის სამხრეთით ჩრდილო

(ზემო) მესოპოტამიაში, ძველი წყაროებით, დამოწმებულია ქვეყნების სახელწოდებანი: „მოსხიკე“ და ქარლუხი” (ქარლუხი).

„დაიაენი“-„ღიაუხის“ ქვეყნების ქართველურ სამყაროსადმი კუთვნილებასთან დაკავშირებით, გრ.გიორგაძის დასკვნითი აზრით, „დაიაენი“ – „ღიაუხი“ უნდა „განვიხილოთ როგორც ადრინდელი ქართველური სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი“, <sup>124</sup> რომელთაც სათავეში მეფეები ედგათ.

დაიაენი – ღიაუხი ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებად მიაჩნია აგრეთვე დ.მუსხელიშვილს. მისი აზრით, „ვალდებულნი ვართ ანგარიში გავუწიოთ იმ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტსაც, რომ ძველი წელთაღრიცხვის XII-VIII საუკუნეებში ასურული და ურარტული ლურსმული ტექსტები ისხენიებენ დაიაენი-ღიაუხის ადრეკლასობრივ გაერთიანებასაც, რომელსაც მეცნიერები დიდი ხანია ძველბერძნული ტაოხის ანუ ძველქართული პროვინციის ტაოს სახელწოდებას უკავშირებენ. ამის გათვალისწინებით (და სხვა რეალიების გამოც) არსებობს სრული საფუძველი დაიაენი-ღიაუხი აღმოსავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად ჩაითვალოს“.<sup>124ა</sup>

ღიაოხისთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ურარტულ წყაროებში ღიაოხის გარდა, მოცემულია ცნობები I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში არსებულ სხვა ქართული კუთხეებისა და ტომების შესახებაც. ასეთები არის: ზაბახა, ვიტერუხი, ერიახი, ქათარზა და სხვ.

ზაბახა, როგორც მკვლევრებს დიდი ხანია მიაჩნიათ, არის ჯავახეთი. აღნიშნავენ, რომ „ზაბახა“ თავსდება ჩილდირის ტბის დასავლეთით. ზაბახა ღიაოხის ემეზობლებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ამასთან, მართალია, ზაბახა ცოტა უფრო სამხრეთით ჩანს, ვიდრე დღევანდელი ქართული „ჯავახეთი“, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ იგი იმ დროს დღევანდელ ჯავახეთამდე აღ-

<sup>124</sup> გრ.გიორგაძე, დასახ.ნაშრომი, გვ.16

<sup>124ა</sup> კრებ., „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“ „მემატიანე“, თბ., 2001, გვ.4

წევლა. ქართული წყაროების ჯავახეთიც სამხრეთით დიდ მანძილზე, მტკვრის სათავეებამდე ვრცელდებოდა.<sup>125</sup>

**ვიტერუსი** – მიაჩნიათ, რომ არის ოძრკე. „ოძრკე“ კი, როგორც ცნობილია, სამცხის უძველესი სახელი უნდა ყოფილიყო. ამასთან, სახელწოდება „ვიტერუსი“ შემოინახა ანტიკურ წყაროებში შავიზღვისპირას, მდ.ჭორხის შესართავთან დამოწმებული ტომის – ბიჭერების სახელმა.

**„ერაახი“** -ს შესახებ ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, იგი ძველი ქართული ტომის – ჰერების – სახელწოდება იყოს.

**„ლუსა“** – მიაჩნიათ მერმინდელი ლაზების სახელწოდებად, რომელიც (ლუსა) ვიტერუსის (ოძრკეს) დასავლეთით უნდა ყოფილიყო.<sup>126</sup>

განსაკუთრებით ჩემს ყურადღებას იქცევს ძვ.წ-ის IX ს-ის ურარტულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული ისტორიული ოლქი **ქათარზა**. მიაჩნიათ, რომ ეს „სახელი შემორჩა „მოსხურ მთებთან მდებარე კოტარძენეს“ ოლქს, რომელსაც ასახელებს კლავდიოს პტოლემეაიოსი და, ასევე, გოდერძის გადასავალს სამცხიდან აჭარაში. აქ, ალბათ, ცხადია, მიაჩნიათ ვარიანტებად: „კოტარძენე“ – ქოთარზენე – ქათარზენე (ქათარზა). ასევე, მიაჩნიათ, რომ „ეს სახელი უნდა გვექონდეს აგრეთვე კლარჯეთსა და კლარჯეთის სახელწოდებაშიც“ (ურარტულ დამწერლობაში მარცვალთმონაცვლეობის საფუძველზე): „ქათარზა“ – „კლარჯა//კლარჯი“.<sup>127</sup>

ურარტული ლურსმული წყაროები (ძვ.წ-ის IX ს. ბოლო მეოთხედი) **ქათარზას**, ვიტერუსის და ლუსას ხშირად ერთად იხსენიებენ. მაგ., ერთ-ერთ სტელაზე ურარტუს მეფეების იშფუინის და მისი ძის მენუას წარწერაში აღნიშნულია: „უკუაგდეს მათ ვიტერუსის ტომი, ლუსას ტომი, ქათარზას ტომი“ და, ასევე, მათ დასახმარებლად მოსული „ეთიუხის ქვეყნის (სამხრეთ ამიერ-

<sup>125</sup> სინ, I, გვ.382-383

<sup>126</sup> სინ, I, გვ.382-383

<sup>127</sup> იქვე, გვ.382

კავკასიის – დ.გ.) მრავალრიცხოვან მეფეთა მაშველი ჯარები”.<sup>128</sup> ამ ტომებს ებრძოდა აგრეთვე მენუას მემკვიდრე არგიშთი I (786-764 წწ.). ქათარზას, ვიტერუხის და ლუსას ტომები სამხრეთ ამიერკავკასიის სხვა ტომებთან ერთად იკრიბებოდნენ დიაოხის გარშემო და გაერთიანებული ძალებით დიდი ხნის მანძილზე ებრძოდნენ ურარტუს.

მიაჩნიათ, რომ ქათარზა და ვიტერუხი მეზობლები უნდა ყოფილიყვნენ. სახელდობრ, ქათარზა (კლარჯეთი) ვიტერუხის (ოძრკეს) დასავლეთით უნდა ყოფილიყო, ასევე, დასავლეთით უნდა ყოფილიყო ლუსას ტომი.<sup>129</sup>

როგორც ვხედავთ, მკვლევრებს „ქათარზა”, „კოტარძენე” და „კლარჯეთი” („კალარჯა” – „ქათარზა”) სინონიმებად მიაჩნიათ და ქართულ ისტორიულ ოლქს კლარჯეთს აღნიშნავენ. უფრო ზუსტად, ძვ.წ-ის IX საუკუნის ურარტულ წარწერებში მოხსენიებული „ქათარზა” იყო ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ოლქი – კლარჯეთი და ჭოროხის აღმ. რეგიონი.

როგორც ითქვა, მკვლევრებს „კოტარძენე”, „ქათარზა” – „კლარჯეთი” („კალარჯა”) უცილობელ სინონიმებად მიაჩნიათ და თითქოს მართლაც დამაჯერებლად გამოიყურება. მაგრამ, ჩემი აზრით, შესაძლოა, აქ კიდევ ერთი ტერმინოლოგიური ვარიანტი იყოს. სახელდობრ, შესაძლოა, „ქათარზა”, ასევე, გამოთქმის ვარიანტებით „ქართს” აღნიშნავდეს: „ქათარზა” – ქართაზა – ქართა – ქართი. ასევე: „კოტარძენე” – ქოთარზენე – ქართუზენე – ქართი. ცხადია, თუ ეს ტერმინოლოგიური სახეცვლილებათა ძიებანი ცდუნება არაა, შესაძლებლობა გვაქვს ძვ.წ-ის I ათასწლეულში ურარტულ წყაროში ქართული ეთნოტოპონიმი „ქართი” (ქართული) დავადასტუროთ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მიწაწყალზე, კლარჯეთ-ჭოროხის რეგიონში. მკვლევარნიც ხომ აქ ეძიებენ ქართული ეროვნული ტრადიციის („მოქცევაჲ ქართლისაჲ”) „არიან-ქართლს”. ეს გასაკვირი სრულიადაც არაა,

<sup>128</sup> იქვე, გვ.384

<sup>129</sup> სინ, I, გვ.383

რადგან ძვ.წ-ის II ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც, ქართველი ტომები (ქართვები, კოლხები, სვანები) ტერიტორიულად განფენილია მცირე აზიიდან, შუამდინარეთის (მესოპოტამიის) ჩრდილოეთიდან (კაპადოკიიდან) აღმოსავლეთით – ვიდრე ისტორიულ ალბანეთამდე და ჩრდილოეთით კავკასიონამდე. ქართის ტომებს დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ემეზობლებოდნენ ქართველური ტომები – კოლხები და სვანები (კოლხო-სვანები).

დიდ დიაოხთან შედარებით, ზემოაღნიშნული მცირე ქართული სატომო გაერთიანებები – ქათარზა, ვიტერუხი და ლუსა, თუ როგორი სახის გაერთიანებები იყო, კარგად არ ჩანს, მაგრამ, შესაძლოა, ისინიც სამხედრო დემოკრატიის საფეხურს გამცდარი და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ეტაპზე შემდგარი ყოფილიყვნენ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მეორე დიდი გაერთიანება დიაოხის შემდეგ XIII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ წყაროებში არის კოლხა (კოლხეთი) „ზემო ზღვის“ ანუ შავიზღვისპირა ტერიტორიაზე. XII-XI სს-ში კოლხური გაერთიანება მჭიდრო კავშირში იყო ნაირის ქვეყნებთან, სადაც, როგორც ითქვა, წამყვანი იყო დიაოხი.

ძვ.წ-ის XII-XI სს-ში კოლხეთის (ასურული წყაროები მას უწოდებენ „კილხის“, ხოლო ურარტული – „კოლხას“) ქვეყნის მოსახლეობა ჯერ კიდევ, ჩანს, გვაროვნული წყობილების ან მისი უმაღლესი ეტაპის – სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე ცხოვრობენ. როგორც აღნიშნავენ, ამაზე მიუთითებს თუნდაც დიდი მრავალრიცხოვნება „ზემოზღვისპირა მხარის“ (კილხა//კოლხეთის) მეფეებისა: ნაირისა და ზემოზღვისპირა 40 მეფე, მეორე ცნობით 60 მეფე. მაგრამ განვითარების შედეგად (მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეტალურგიის) მოხდა მოსახლეობის კონსოლიდაცია, ძვ.წ-ის I ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა ძლიერი კოლხური გაერთიანება – კოლხეთის სამეფო. ძვ.წ-ის VIII ს. შუა ხანებში, როდესაც მას ბრძოლები უხდება ურარტუს ძლიერ სახელმწიფოსთან, კოლხეთი (კოლხა) უკვე ერთიანი პოლიტიკური სახელმწიფოებრივი ერთეულია „თავისი „მეფით“, „სამეფო ქალაქებით“, პროვინციების გამგებელი მეფის ნაცვლებით და

ა.შ.<sup>130</sup> გ.მელიქიშვილს მიაჩნია, რომ კოლხეთის თემა არგონავტებზე მითში კოლხეთის ძლიერების პერიოდში ძვ.წ-ის XI-VIII სს-ში უნდა გაჩენილიყო, რადგან ბერძენი მეზღვაურები ამ დროს გაეცნენ ისტორიულ კოლხეთს. მას სწორად არ მიაჩნია ზოგიერთ მკვლევართა თვალსაზრისი ამ მითის VIII ს-ის ბოლოს ან კიდევ უფრო გვიან გაჩენის შესახებ, რადგან ამ დროს კოლხეთის სამეფო განადგურდა კიმერიელების შემოსევის შედეგად.<sup>131</sup> რიგ მკვლევართა აზრით, კი, მითი არგონავტებზე უნდა შექმნილიყო ტროას ომის დროს (ბერძნული ტრადიციით ძვ.წ-ის XII ს.), ან მის წინარე პერიოდში. არგონავტებზე მითში, ცხადია, ისტორიული სინამდვილეც არის ასახული.

როგორც ცნობილია, ურარტუს სამეფოსთან ხანგრძლივ ომებში დასუსტდა დიაოხი. მის ნაცვლად წამყვან ადგილს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ძვ.წ-ის VIII ს-ში იჭერს კოლხა. კოლხასა და ურარტუს შორის მდებარეობდა დიაოხი. დიაოხს კოლხასთანაც ჰქონდა საუკუნოებრივი ჭიდილი, ამანაც ხელი შეუწყო დიაოხის დასუსტებას და ბოლოს ეს ქვეყანა ურარტუმ და კოლხამ გაიყვეს. მალე იწყება საომარი კონფლიქტები ურარტუსა და კოლხას შორის, – ურარტუს მეფის სარდურ II-ის ლაშქრობები კოლხაში.

ურარტული წყაროები ასახელებს კოლხეთის მეფეს და მის „სამეფო ქალაქ ილდამუსა“-ს. ილდამუსაში მსხდარან კოლხას მეფის ნაცვლები, რომლებისგან ურარტუს მეფე ვერ ხედავდა თავისი მოხელეების განსხვავებას,<sup>132</sup> რაც დამატებით ადასტურებს კოლხეთის სახელმწიფოს არსებობას.

მიაჩნიათ, რომ კოლხეთის სამეფოს ცენტრი (დედაქალაქი) უნდა ყოფილიყო არა ჩრდილოეთით, მდ.ფაზისზე (რიონზე), არამედ უფრო სამხრეთით, ჭოროხის აუზში, მდ.ჭოროხის ქვემო წელზე. ამასთან, ჭოროხის აუზი წარმოადგენდა გვიანბრინჯაოს ხანის განთქმული კოლხური კულტურის სამშობლოს, მის უმთ-

<sup>130</sup> სინ, I, გვ.371

<sup>131</sup> სინ, I, გვ. 388

<sup>132</sup> იქვე, გვ.388

ავრეს სამრეწველო რაიონს.<sup>133</sup> კოლხას სამეფო, რომელიც უმთავრესად ქართველური ტომებისგან (ქართვები, მეგრელ-ჭანები, სვანები) შედგებოდა და ძვ.წ-ის XI-VIII სს-ში არსებობდა, გ.მელიქიშვილის თვალსაზრისით, „ქართველი ტომების უძველეს სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა“.<sup>134</sup>

VIII საუკუნიდან დაწყებული ზემოგანხილული ქართული და არაქართული სახელმწიფოები წინა აზიაში (კოლხა, ურარტუ და სხვ.) კიმერიელების, სკვითების და მიდიელების შემოსევებმა გაანადგურეს. მაგრამ ამით ქართული სახელმწიფოებრიობა არ მოსპობილა, მისმა ცენტრებმა ან ჩრდილოეთში გადაინაცვლეს, ანდა ამ დროს ჩრდილოეთში, პარალელურ-სინქრონულად, უკვე სხვა ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები არსებობდა ძვ.წ-ის I ათასწლეულის დასაწყისიდან. ფაქტი ისაა, რომ წინა აზიაში დიაოხის და კოლხას ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების განადგურების შემდეგ, წერილობითი წყაროებით, ძვ.წ-ის I ათასწლეულში, სახელდობრ, ძვ.წ-ის VI საუკუნიდან ისტორიის ასპარეზზე არსებობენ დასავლეთ საქართველოში კოლხეთის სამეფო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ქართლის (იბერიის) სამეფო, ცენტრით მცხეთაში.

---

<sup>133</sup> იქვე, გვ. 389

<sup>134</sup> სინ, I, გვ.389



## დასკვნა ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის თარიღზე

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, თუ ჩვენ გადავხედავთ მტკვარ-არაქსის და, განსაკუთრებით, თრიალეთის კულტურის პერიოდს საქართველოს ტერიტორიაზე და დიდ სატომო გაერთიანებებს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, მათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბაზისა და კულტურის დონეს, თუ ჩვენ ანალიზს გავუკეთებთ ძველალმოსავლურ წყაროებში დაცულ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, მოსაზღვრე წინა აზიაში ქართველ ტომთა დიდი გაერთიანებების წარმონაქმნებს, ასევე, I ს. ისტორიკოსის ტაციტუსის მეტად მნიშვნელოვან, ეპოქალურ ცნობას ქართლის (იბერიის) სამეფოს „ძველისძველი“ დროიდან არსებობის შესახებ, ვფიქრობ, უნდა ვირწმუნოთ, რომ ძვ.წ-ის IV-III სს-ის მიჯნაზე არსებულ ფარნავაზიანთა ქართლის სამეფომდე, ძვ.წ-ის II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულში დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, - სამხრეთ-დასავლეთით კაპადოკიამდე, ჩანს, ბევრი ქართული პოლიტიკური, სახელმწიფოებრიობის პირველადი ფორმების წარმონაქმნი უნდა არსებულებოდა: ქართლში - თრიალეთის, უფლისციხის ქვეყნის, კახეთის რეგიონში - უდაბნოს და ივრის ზეგანის ცივილიზაციის, სამხრეთ-დასავლეთით - ქათარზას, ოძრხეს, მუშქების (მოგვიანებით, შესაძლოა, ბერძნული „მოსხიკე“), დიაოხის (ჭოროხის რეგიონი) და კოლხას, ასევე, შესაძლოა, რომელიმე სხვაც. ქართველ ტომთა ეს გაერთიანებები, ჩანს, გაცდენილია სამხედრო დემოკრატიის სტრუქტურებს და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს შეადგენენ მეფით სათავეში.

თუ ძვ.წ-ის II ათასწლეულის შუა ხანის თრიალეთის „ბრწყინვალე კულტურას“ ისტორიულ მეცნიერებაში, საბოლოოდ, სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად გაიაზრებენ და მიიღებენ, მაშინ ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა 3500 წლით დათარიღდება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, ასეთ შორეულ წარსულში ქართული (და საერთოდ) სახელმწიფოებრი-

ობის წარმოქმნის ზუსტი თარიღის განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ-ის II ათასწლეულის II ნახევრიდან – ძვ.წ-ის I ათასწლეულის დასაწყისამდე (500 წლის მანძილზე) ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, საფიქრებელია, უნდა გაჩენილიყო და ძვ.წ-ის II-I ათასწლეულთა მიჯნაზე (XII-X სს-ში), ე.ი. დაახლოებით, 3000 წლის წინ, როგორც დავინახეთ, ძველადმოსავლური (ასურულ-ურარტული) წერილობითი წყაროებისა და ქართული არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. ისინი უკვე სახეზე უნდა გვქონდეს (ღიაოხი, კოლხა, უდაბნოს და ივრის ზეგნის ცივილიზაცია და, შესაძლოა, სხვა(ც)), რომელნიც ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების პირველად ფორმას წარმოადგენდნენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, მართალია, კატეგორიულობა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საწყისი თარიღის შესახებ ძვ.წ-ის II-I ათასწლეულთა მიჯნაზე, ცხადია, რთულია, რადგან არ გვაქვს არც თანადროული და არც შემდგომი ხანის პირდაპირი ეროვნული ან უცხოური წყარო, სადაც მოცემული იქნებოდა აღნიშნულ ხანაში „ქართული“ (ქართველთა) ან უცხოური ენის შესატყვისი მისი (ქართული, ქართველთა) სახელწოდების სახელმწიფოს (სამეფოს) არსებობა. მაგრამ, უფლისციხის, გარეჯის უდაბნოსა და ივრის ზეგანის ნაქალაქართა „ქვეყნები“ არქეოლოგიური „დოკუმენტაციით“ ეთნიკურად ქართულია და მათი ქალაქური ტიპის დასახლებანი და საქალაქო ცხოვრება, ჩემი აზრით, ჩანს, მოითხოვდა სხვადასხვა ფორმის მმართველობისა (მონარქიული, დემოკრატიული...) და გარკვეული იძულების აპარატს საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, რაც იმის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ საქალაქო ტიპის დასახლებანი თავისი ადმინისტრაციული სტრუქტურით გაცდენილია გვაროვნული საზოგადოების კლასიკური სახის „სამხედრო დემოკრატია“ და „ცივილიზაციის“. სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის პირველად ფორმას წარმოადგენენ. ამრიგად, საქალაქო ტიპის დასახლების „ქვეყნები“ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების პირველადი ფორმა უნდა ყო-

ფილიყო. მისი განვითარება და სრულყოფა კი საუკუნეებში ხდებოდა.

ზემოაღნიშნულ ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სიმრავლეში გასაკვირი არაფერია. ძვ.წ-ის IV ათასწლეულის დამლევებიდან მცირე აზიაში, სახელდობრ, შუამდინარეთში (მესოპოტამია) წარმოიშვიან მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები: თითქმის ყოველი ქალაქი და შედარებით დიდი თუ მცირე ტერიტორიული პოლიტიკური ერთეულები – ჯარით, მოხელეებით, მცველებით და საპყრობილეებით. ამასთან უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ასეთივე ვითარება იყო ძველ ეგვიპტეშიც. ეგვიპტის ორი დიდი სამეფო-სახელმწიფოს (ჩრდილოეთის და სამხრეთის) შექმნამდე, თავდაპირველად, ეგვიპტის ტერიტორიაზე ოთხ ათეულამდე მცირე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არსებობას აღნიშნავენ: მეფით სათავეში, ჯარით, პოლიციით, საპყრობილეებით, მონათმფლობელებით და მონებით (იხ. ეგვიპტის ისტორია).

ჩანს, არსებითად, ასეთივე გზა განვლო ქართულმა პოლიტიკურმა ფენომენმა; სახელდობრ, ქართულმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნებმაც შემდგომში კონსოლიდაცია-გაერთიანების გზით, ჩანს, უფრო მსხვილი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები შექმნეს, ბოლოს კი, ასეთივე გზით, ძვ.წ-ის VI-IV სს-ში ორი დიდი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე – ქართლი(იბერია) და კოლხეთი.

ყოველი ზემოთქმულის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის სამხრეთ-დასავლეთით კაპადოკიამდე (მცირე აზიაში) წარმოიშვიან და არსებობენ ძვ.წ-ის II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის 3.000 წლოვან ისტორიაზე მეტყველებს. ჩვენ არ ვიცით რამდენად არის უწყვეტი ჯაჭვი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების მემკვიდრეობისა, განსაკუთრებით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, მათი წარმოქმნიდან ძვ.წ-ის IV ს-ის ფარნავაზიანთა ქართლის სამეფომდე. შესაძლოა, ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები

გარკვეულ პერიოდებში ქრებოდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ უარყოფს ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების საწყის-სათავის ქრონოლოგიურ თარიღს.

რაც მთავარია, მიუხედავად საკითხის სირთულისა, ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისის ეროვნული ტრადიციის (ძვ.წ-ის IV ს.) არქაიზაცია ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის პრობლემატიკაში მეცნიერულ-ისტორიული თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, სავსებით სწორი ჩანს. აშკარაა, რომ „ქართლის მოქცევისა“ და „ქართლის ცხოვრების“ (ძველი ნაწილის) ავტორებისთვის დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ძველი პერიოდის, ალექსანდრე მაკედონელისა და ფარნავაზის წინადროინდელი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები უცნობი იყო და, ამიტომ, მას ისინი აღმოსავლეთ საქართველოში („მცხეთის ქართლში“), როგორც წესი, საყოველთაოდ ცნობილი ალექსანდრე მაკედონელის დიდად მქუხარე ეპოქიდან, ძვ.წ-ის IV ს-ის ბოლო მესამედიდან იწყებდნენ. მხოლოდ XIX-XX სს-ის ისტორიული მეცნიერების მიერ ძველადმოსავლური და ანტიკური წყაროების კვლევა-ძიებამ და ქართულმა არქეოლოგიურმა დიდმა მიღწევებმა წარმოაჩინეს დიდძალი მასალები, რომლის ანალიზი საშუალებას იძლევა ქართული სახელმწიფოებრიობის პირველადი ფორმების წარმოქმნა გავიაზროთ და დავადასტუროთ გაცილებით ძველი, თუ უფრო ადრე არა, 3.000 წლის წინა დროით, ძვ.წ-ის II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისიდან.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ჩვენი აზრით, უსაფუძვლო სრულიადაც არ ჩანს ქართული სახელმწიფოებრიობის, მით უმეტეს, მისი პირვანდელი ფორმების, 3000 წლოვანი ისტორია.

К вопросу о происхождении грузинского  
государства

РЕЗЮМЕ

В исследовании, на основе изучения и анализа источников (грузинских, иностранных, грузинской археологии) и специальной литературы, доказывается, что существование 3000—летней истории грузинских государственных образований, тем более её первичных форм, вовсе не является неосновательным.

D.GOGOLADZE

Towards the Problem of the Origin of Georgian State

SUMMARY

On the basis of the analysis of historical and archeological sources on the one hand and special literature on the subject on the other, the author proves that the hypothesis for existence of 3000-year Georgian statehood, moreover of its primary formations looks quite valid.

Zur Ursprungsfrage des Georgischen Staates

ZUSAMMENFASSUNG

Im Beitrag wird als Ergebnis der Quellenanalyse (der georgischen, ausländischen Quellen, der georgischen archäologischen Quellen) und des Studiums der Fachliteratur nachgewiesen, daß die 3000 Jahre alte Geschichte der Existenz der Georgischen Staatgebilde, insbesondere ihrer anfänglichen Formen, gar nicht unbegründet scheint.

შესავალი. საკითხის ისტორიიდან.....	3
1. ამოსავალი ვითარება. სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი ძირითადი ნიშნები (საკითხის თეორიული მხარე).....	16
2. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისი და ქართლის სამეფოს წარმოშობა „ქართლის მოქცევისა“ და „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.....	24
ა) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.....	24
ბ) ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის წინა და საწყისი პერიოდი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. „სამხედრო დემოკრატიის“ ქართული მოდელი.....	28
გ) ლეონტი მროველის კონცეფცია საქართველოს ისტორიის ორ დიდ პერიოდზე და ქართული ისტორიოგრაფია.....	51
დ) ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.....	55
3. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების რეალურ-ისტორიული ქრონოლოგიური პერიოდი.....	64
4. ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ ძველადმოსავლურ წყაროებში.....	96
ა) ქართველი ტომები უძველეს წყაროებში.....	96
ბ) ქართველ ტომთა უძველესი პოლიტიკური გაერთიანებები (სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები) ძველადმოსავლურ წყაროებში.....	103
დასკვნა ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის თარიღზე.....	117
Резюме .....	121
Summary.....	121
Zusammenfassung.....	122